დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მამუკა ხამხაძე

წევრები:

თამარ ხუციშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნონა ლაგვილავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნანა ქურთიაშვილი - საზოგადოებრი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ელენე გაფრინდაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ხოსროშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ანგელინა ეფრემიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნინო საღარაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჯოჯიშვილი - დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	248386651

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხელვაჩაური სოფელი განთიადი
ფაქტობრივი მისამართი	ხელვაჩაური სოფელი განთიადი
საფოსტო ინდექსი	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge https://skolebi.emis.ge/schools/525?schoolName=%E1%83
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	kheGantiadi@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	5591989096

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 19 თებერვლის № 18605
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	19-20 მარტი 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	I-VI კლასები	ქართული	ხელვაჩაური, სოფელი განთიადი. სკოლის ძირითადი შენობა და სპორტული დარბაზი (2 ნაგებობა)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	VII-X კლასები	ქართული	ხელვაჩაური, სოფელი განთიადი. სკოლის ძირითადი შენობა და სპორტული დარბაზი (2 ნაგებობა)
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	XI-XII	ქართული	ხელვაჩაური, სოფელი განთიადი. სკოლის ძირითადი შენობა და სპორტული დარბაზი (2 ნაგებობა)

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

მიმდინარე წლის 19 და 20 მარტს სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელი დამატებითი დოკუმენტების სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით (ადგილზე ვიზიტი), რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, ექთანს, ბუღალტერს, სპეც. მასწავლებელს, სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრ მასწავლებლებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან, საბაზო და საშუალო საფეხურის 12 მოსწავლესთან და სამივე საფეხურის 8 მშობელთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო ყველა საგნობრივ ექსპერტს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტის დროს პროცესში ჩართული იყო დაწყებითის საგნობრივი ექსპერტიც, რომელიც მონაწილეობდა შესაბამისი საგნების მასწავლებლებთან ინტერვიუებში და საგნობრივი კურიკულუმის შეფასების ფორმის შედგენაში. ვიზიტის მე-2 დღეს ონლაინ ფორმატში გაიმართა ექსპერტების შემაჯამებელი შეხვედრა-გასაუბრება საგნობრივ კათედრებთან, სადაც მოხდა შესწავლილი მასალების გაანალიზება და ძირითადი მიგნებების გაცნობა.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო ყველა საჭირო მტკიცებულების წარმოდგენა. მასწავლებელთა გუნდი და ადმინისტრაცია გამოირჩეოდა მაღალი მიმღებლობით. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ **შეესაბამება**

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	1. სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სრულყოფა (სპორტული დარბაზის ჩათვლით) და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმება შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში - 12.29.2026წ. **2.** სკოლამ უზრუნველყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება ყველა შენობა-ნაგებობისთვის (სპორტული დარბაზის ჩათვლით) შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში – 12.29.2026წ.
ინდიკატორი N3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განახლებული მონაცემების შეტანა (სპორტული დარბაზის ჩათვლით), უძრავი ქონების ამონაწერის განახლება - დათქმულ ვადაში 29.12.2026წ.
ინდიკატორი N3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულება - სართულებს შორის შორის დამაკავშირებელი პანდუსების/ ლიფტის მოწყობა, შშმ პირთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით გეგმით დათქმულ ვადებში 29.12.2027წ.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საბაზო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** შესაბამისობის გეგმის თანახმად, რეკომენდებულია, სკოლამ დათქმულ ვადაში (29.12.2026) უზრუნველყოს შესაბამისი რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(საშუალო საფეხური)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** შესაბამისობის გეგმის თანახმად, რეკომენდებულია, სკოლამ დათქმულ ვადაში (29.12.2026) უზრუნველყოს შესაბამისი რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	**მიზანშეწონილია** სკოლაში ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიმდინარე პროცესები თანხვედრაში იყოს დოკუმენტების დაოქმების პროცესთან და ერთმანეთს ემთხვეოდეს განხორციელებული

		აქტივობა და მისი შესაბამისი ოქმი (ოქმის ნუმერაცია და თარიღი). **იხ. ინდიკატორის აღწერა**
ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	**მიზანშეწონილია** სტრატეგიული მიზნები უფრო მკაფიოდ და პრაქტიკულად იყოს ჩამოყალიბებული (მაგ. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ნაცვლად იყოს ასეთი ფორმულირება - „სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა“, მოსწავლეთა მხარდაჭერის ნაცვლად იყოს ასეთი ფორმულირება - „მოსწავლეთა მხარდაჭერის გაძლიერება“). ასევე **მიზანშეწონილია** სტრატეგიული მიზნები დროში რეალურად იყოს გაწერილი და ყველა სტრატეგიული მიზნის განხორციელების პერიოდი არ მოიცავდეს სტრატეგიული გეგმის მოქმედების მთელ შვიდწლიან პერიოდს. ასევე **მიზანშეწონილია** ერთმანეთთან თანხვედრაში იყოს რეალურ დროში დოკუმენტების შემუშავების თანმიმდევრობა და შესაბამისი დოკუმენტების ნუმერაცია/დათაღირება. **იხ. ინდიკატორის აღწერა**
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	**მიზანშეწონილია** სკოლამ ერთად მოუყაროს თავი სკოლის საქმიანობის შესახებ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების/პირების ანგარიშებს, რისთვისაც შესაძლოა გამოიყენოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი ანგარიშების წარმოდგენის მექანიზმი (სამოქმედო გეგმის მონიტორინგის გზები) და შეადგინოს სკოლის საქმიანობის სრული/ყოვლისმომცველი წლიური ანგარიში, რაც გახდება ეფექტიანი სამოქმედო გეგმის დასახვის წინაპირობა მომდევნო სასწავლო წლისათვის. იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი N1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	**მიზანშეწონილია** სამოქმედო გეგმის აქტივობები არ იყოს ზოგადი ხასიათის და მათში გაწერილი იყოს კონკრეტული ნაბიჯები, რაც სკოლას მისცემს შესაძლებლობას რეალისტურად და პრაქტიკულად შეაფასოს აქტივობის განხორციელება და შეიმუშავოს მათი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები. იხ. ინდიკატორის აღწერა

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**მიზანშეწონილია** სტრუქტურის ორგანოგრამაში შეტანილი იყოს მხოლოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულები/პირები და რგოლები (და არა კლუბები და ღონისძიებები). ასევე მიზანშეწონილია სტრუქტურის ორგანოგრამაში საგნობრივი კათედრები იმ დასახელებით იყოს მოცემული, როგორც ის ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (მაგ. დაწყებითი საფეხურის კათედრა და არა - დაწყებითი კომბინირებული).
ინდიკატორი N3.1.1.2.	სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას	სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურის სქემაში მითითებულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლის საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული მტუკ-ის შტატი. სკოლის დოკუმენტში „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია მტუკ-ი (ამ ფუნქციას რეალურად ასრულებს ექთანი). **მიზანშეწონილია** სკოლამ სტრუქტურის სქემა და სათანადო მარეგულირებელი დოკუმენტები მოარგოს სკოლის რეალობას და შეიტანოს შესწორება აღნიშნულ დოკუმენტებში.
ინდიკატორი #3.1.2.6.	სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი	**მიზანშეწონილია** თანამშრომელთა აღიარება და წარმატებული გამოცდილების გაზიარება სკოლის სოციალურ ქსელში მოხდეს უფრო კვალიფიციური ფორმით (განთავსებული ინფორმაცია შეიცავდეს ცნობებს რა წარმატებას მიაღწია მასწავლებელმა და როგორ, რა მეთოდები გამოიყენა განხორციელებული აქტივობისათვის, რათა უფრო ქმედითი და პრაქტიკული გახდეს აღნიშნული ფორმატი).
ინდიკატორი #3.2.1.1.	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	**მიზანშეწონილია** პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ისეთი კონკრეტული მექანიზმების შემუშავება, რომლებშიც ასახული იქნება შეფასების სახე, შეფასების პერიოდი და სისტემატური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის/პირისათვის, შემფასებლები, მონიტორინგის შედეგების ანალიზის და მათი გამოყენების ფორმები/სახეები.

ინდიკატორი #3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	**მიზანშეწონილია** სკოლამ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევ შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის განვითარების მიზნი შეიმუშავოს კონკრეტული/ქმედითი გეგმა (ან ერთწლიან სამოქმედო გეგმაშ მოცემულ აქტივობებში ასახოს კონკრეტული მონაცემები), სადაც ასახულ იქნება სტრუქტურული ერთეულის/პირის კონკრეტული საჭიროება, საჭიროებაზე რეაგირების კონკრეტული აქტივობა და პერიოდი.
ინდიკატორი #3.3.1.2.	იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები	**მიზანშეწონილია** დოკუმენტების მომზადებისას სკოლა მეტი ყურადღებით მოეკიდოს შაბლონურ დოკუმენტებზე მუშაობას და გამოყენებული მასალა გადაამუშავოს იმგვარად, რომ დოკუმენტი რეალურად იყოს მორგებული სკოლის კონტექსტსა და საჭიროებებს და თავიდან აირიდოს ტექნიკური თუ სხვა ხასიათის შინაარსობრივი უზუსტობების დაშვება. **იხ. ინდიკატორის აღწერა**
ინდიკატორი #3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას...	**მიზანშეწონილია** სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება გადამზადების ვადიანი სერტიფიკატი/დიპლომი. სკოლას შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც მას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.
ინდიკატორი #3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი #1.2. სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის გათვალისწინებით **მიზანშეწონილია** სკოლამ გამოაცხადოს კონკურსი ექიმის პოზიციაზე. იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი #3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	**მიზანშეწონილია** სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს ვიზიტორთა შემოსვლის და გასვლის აღრიცხვის ჟურნალი და სკოლის დირექტორის ბრძანებით

		დამტკიცებული „სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“. იხ. ინდიკატორის აღწერა.
ინდიკატორი #3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	**მიზანშეწონილია,** სკოლას ჰქონდეს ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი - სპეციალურად შედგენილი ფორმა, რომლითაც აღირიცხება გრაფიკის მიხედვით ჩატარებული საზედამხედველო აქტივობები შესაბამისი თარიღის მითითებით და გამოვლენილი საჭიროებები.
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N4.1.1.1	სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა	**მიზანშეწონილია** სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასკოლო რეგულაციები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, კერძოდ “სკოლის მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციის წესიდან ამოიღოს მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისიის საქმიანობის ამსახველი ჩანაწერი. იხ. ინდიკატორის აღწერა
ინდიკატორი N4.2.1.5	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/ არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	**მიზანშეწონილია** სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგანმანათლებლ მომსახურების ნაწილში (არაფორმალური განათლება) სკოლამ ასახო კლუბური მუშაობა. იხ. ინდიკატორის აღწერა

სტანდარტი N2	*სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)*	*რჩევა*

ინდიკატორი N2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, **სასურველია,** სკოლამ შექმნას კურიკულუმის დიზაინის ერთიანი ფორმა, საფეხურების მიხედვით (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). **მაგ: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი, რომელშიც შეტანილი იქნება შემდეგი კომპონენტები:** სკოლა/სასწავლო წელი პროგრამის სახელწოდება, პროგრამის განხორციელების ენა, კლასები, შინაარსი/შესავალი, პროგრამის განხორციელების ადგილი, სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი გაკვეთილების განრიგი/დღის რეჟიმი (გაკვეთილების დაწყება/დასრულება), სწავლების შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით (სახელმწიფო ენა, მათემატიკა და ა.შ), მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა (შეფასების მიზანი, განმავითარებელი და განმსაზღველი შეფასება, კლასის და საფეხურის დაძლევა, გაცდენები), ესგს გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (გამოცდები, რემედიაცია) საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, დანართი (შემაჯამებლების რაოდენობა, საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი). **სასურველია,** სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების უკეთ გათვალისწინების მიზნით, შეიმუშაოს ჩართულობის სხვადასხვა სახის ფორმები. მაგ: კითხვარები (მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის); ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვ. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
N2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, **სასურველია**, სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მრავალმხრივი კვლევა. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მოპოვების პროცესი არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციით. ამისთვის კი სასურველია, სკოლამ შექმნას მიზნობრივი კითხვარები, რომლებიც მორგებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე (მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები). *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*

N2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**სასურველია,** კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმებისა და პრაქტიკის უკეთ წარმოსაჩენად, სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებში აისახოს სხდომებზე მიმდინარე სამუშაო პროცესი, მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთდეს და შინაარსობრივად ასახოს სხდომის ოქმში.
N2.1.1.4.	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**სასურვლია,** სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის გაზიარების ერთიანი ფორმა-მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.) კი გახადოს მდგრადი.
N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	***<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:</u>*** **სამივე საფეხური - სასურველია,** კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** **სამივე საფეხური - სასურველია**, კურიკულუმების შედგენისას მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>მათემატიკა:</u>*** სასურველია ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. თემის, საკითხის სვეტი სწორად იყოს შევსებული. მაგალითად, ამოღებულ იქნას სიტყვა ,,გამეორება'' და ჩაისვას ის, რისი გამეორებაც სურთ. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***<u>უცხოური ენები:</u>*** **სასურველია**, კურიკულუმებშიც იყოს გაწერილი დიფერენცირებული სწვალების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწვალეთათვის კომპელქსური დავალების მხრივ, შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი). სასურველია, ასევე

		ყველა კურიკულუმში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. ***ესთეტიკური აღზრდა:*** **სასურველია,** კურიკულუმებში უზრუნველყოფილი იყოს სტრუქტურული ერთიანობა - თემატური ბლოკები, თემები და ქვეცნებები წარმოდგენილი იყოს ყველა კლასში თანმიმდევრულად. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***სპორტი:*** სამომავლოდ, სასურველია,ყველა კლასის კურიკულუმში, იყოს შეტანილი თემა თეორიული მიმართულებით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ტექნოლოგიები:*** სასურველია, პედაგოგებმა გააგრძელონ მუშაობა ციფრული რესურსების კიდევ უფრო მეტ გამრავალფეროვნებაზე და კურიკულუმში პერიოდულად ასახონ ისეთი ახალი პლატფორმები ან ინსტრუმენტები, რომლებიც კიდევ უფრო გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს შეუწყობს ცოდნის ტრანსფერს. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***დაჩყებითი საფეხური:*** ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, დაასახელეს მაგალითები, აქტივობები, **სასურველია**, აღნიშნული მიდგომები კურიკულუმებშიც გაიწეროს. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** **სამივე საფეხური - სასურველია,** საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს ესგ-ს საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კურიკულუმში გაუმჯობესებას საჭიროებს ძირითადი კონტექსტ მაგალითი, ქვეცნებები, ქვესაკითხები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***უცხოური ენები:*** **სასურველია,** ჩასწორდეს ცნებების ნაწილი ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში. მაგალითად : მე - 5 კლასის კურიკუმულში ცნება ჟანრი, შესაცვლელია ცნება - ტექსტით.

		ესთეტიკური აღზრდა: **სასურველია** ყველა კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები იყოს საჭიროებისამებრ გაწერილი. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ტექნოლოგიები:*** **სასურველია,** კათედრამ გააგრძელოს მუშაობა კომპლექსური დავალებების ბანკის გამდიდრებაზე, რათა კიდევ უფრო მეტად მოხდეს საგნობრივი სტანდარტის შედეგების (ინდექსების) ინტეგრირება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში და შენარჩუნდეს სპირალური სწავლების მაღალი ხარისხი. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** **სამივე საფეხური - სასურველია,** ყველა თემის ფარგლებში გამრავალფეროვნდეს და დაკონკრეტდეს საგანმანათლებლო რესურსები. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ესთეტიკური აღზრდა:*** **სასურველია**, რესურსები უფრო დეტალურად იყოს დაკონკრეტებული თითოეული თემის ფარგლებში. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ტექნოლოგიები:*** **სასურველია** სკოლამ გააგრძელოს მუშაობა საკუთარი ციფრული ბიბლიოთეკის/ბანკის შექმნაზე, სადაც თავმოყრილი იქნება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი საუკეთესო ელექტრონული რესურსები, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების გაზიარებას კოლეგებს შორის. ***დაწყებითი საფეხური:*** **სასურველია**, ყველა თემის ფარგლებში გამოყენებული იქნას მეტი რესურსი. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** **სამივე საფეხური - სასურველია** (დაწყებითი საფეხური - ჩვენი საქართველო; საბაზო საფეხური - გეოგრაფია, ისტორია) ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტი. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ტექნოლოგიები:*** **სასურველია**, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა სხვა საგნის პედაგოგებთან ერთად დაგეგმონ ინტეგრირებული დავალებები, რაც საშუალებას მისცემს განსხვავებული ინტერესების მქონე მოსწავლეებს, თავიანთი ტექნოლოგიური უნარები

		გამოიყენონ მათთვის საინტერესო სხვა სფეროებში (მაგ. ისტორია, ხელოვნება, ბუნებისმეტყველება). ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***დაწყებითი საფეხური:*** სასურველია, სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები გაიწეროს კურიკულუმებშიც.
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** **სამივე საფეხური** - შეფასების რუბრიკების შექმნისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი ,ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ესთეტიკური აღზრდა:*** **სასურველია**, შეფასების სისტემა გადაიხედოს და ყველა რუბრიკა დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, რათა შეფასება გახდეს უფრო ვალიდური. სასურველია შემაჯამებელი და მიმდინარე დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული ანალიზზე, ინტერპრეტაციასა და შემოქმედებით აზროვნებაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალი დონის კოგნიტური უნარების განვითარებას და უფრო მეტად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ***მათემატიკა:*** **სასურველია,** მასწავლებლრბმა თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ტექნოლოგიები:*** **სასურველია**, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა დანერგონ ციფრული პორტფოლიოების სისტემა, სადაც მოსწავლეები განათავსებენ თავიანთ ნამუშევრებსა და მათზე გაკეთებულ უკუკავშირებს წლის განმავლობაში. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ დაინახონ საკუთარი პროგრესი დროში და გააძლიეროს შეფასების პროცესის დოკუმენტირება. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***

N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** **სამივე საფეხური - სასურველია,** ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ტექნოლოგიები:*** **სასურველია**, პედაგოგებმა გააძლიერონ საგნობრივი კათედრის ფარგლებში გამოცდილების გაზიარება დაგეგმარების პროცესზე, რათა მოხდეს წარმატებული პრაქტიკის (მაგალითად, რომელიმე კონკრეტული აქტივობის ეფექტურობის) ასახვა მომავალი წლის კურიკულუმებში. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.2.1.1.	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	**სასურველია**, სკოლამ სხვადასხვა ბრძანებით დამტკიცებული წესები (ადაპტაციის, რემედიაციის თუ ინტერვენციის გეგმები) ერთიან სისტემად აქციოს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესები არ შემოიფარგლოს მხოლოდ საჭიროებაზე რეაგირებით და გადავიდეს სისტემური მდგრადობის ფაზაში, რაც გულისხმობს მონიტორინგისა და უკუკავშირის უწყვეტ ციკლს კურიკულუმის ხარისხის მუდმივი განვითარებისთვის.
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** **სასურველია,** სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***უცხოური ენები:*** **სასურველია,** წარმოდგენილ შეფასების ანალიზში ასახული იყოს რაოდენობრივი მაჩვენებლები. კონკრეტული თემების დამუშავებისას, გამოკვეთილი სირთულეების გადაჭრისა და დაძლევის გზები. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ესთეტიკური აღზრდა:*** **სასურველია**, შეფასების რუბრიკები განახლდეს და დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ტექნოლოგიები:*** **სასურველია** მასწავლებლებმა პერიოდულად ჩაატარონ „შეფასების ვერიფიკაცია“ კოლეგებთან ერთად (მაგალითად, ერთი და იმავე ნამუშევრის შეფასება სხვადასხვა მასწავლებლის მიერ), რათა კიდევ უფრო

		გამყარდეს შეფასების ობიექტურობა და მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
N2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სკოლაში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის განმტკიცების მიზნით, **სასურველია**, ვერიფიკაციის პროცესი სრულად დაეფუძნოს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რისთვისაც აუცილებელია მოქმედ დოკუმენტში დეტალურად გაიწეროს ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები და ნაშრომთა შერჩევის კონკრეტული სტრატეგია (მათ შორის, შერჩევის შემთხვევითობა, მაღალი და დაბალი შეფასებების პროპორციული გადანაწილება და გენდერული ბალანსი). ამასთანავე, სასურველია, სკოლამ აქტიურად გამოიყენოს დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლასთან გაფორმებული პარტნიორული მემორანდუმის რესურსი და განავითაროს „მეგობარი სკოლის“ პედაგოგთა ჩართულობის პრაქტიკა, განსაკუთრებით იმ საგნებში, სადაც სკოლას მხოლოდ ერთი ან ორი სპეციალისტი ჰყავს; ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიუკერძოებლობასა და პროფესიული გამოცდილების გაზიარებას. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები</u>*** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)* ***<u>ტექნოლოგიები:</u>*** სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა მეტად წაახალისონ მოსწავლეები, რათა მათ თავად შექმნან სასწავლო ციფრული რესურსები (მაგალითად, ვიდეო-გაიდები ან ელექტრონული წიგნები თანატოლებისთვის), რაც გააძლიერებს მათ მეტაკოგნიტურ უნარებსა და შემოქმედებითობას. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	***<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>*** სასურველია, სამომავლოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ უზრუნველყოს დამატებითი დამხმარე რესურსების (მეთოდური ლიტერატურა, ანიმაცია, ფოტომასალა, ინტერნეტ რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები) ვალიდაცია. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*

		უცხოური ენები: სასურველია, კათედრის სხდომის ოქმის დანართში გამოჩნდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ტექნოლოგიები:*** სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან ამ გამოცდილი და საუკეთესო რესურსების ერთგვარი ციფრული ბიბლიოთეკა, რაც გაამარტივებს მათ გამოყენებას მომავალში და დაეხმარება ახალ კოლეგებს გამოცდილების სწრაფად გაზიარებაში. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**სასურველია,** სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები/ ინსტრუმენტები. ასევე, ურთიერთდასწრებისა და ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. რაც შეეხება კველევის პროცესს, **სასურველია**, კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მშობლები).
N2.3.1.2.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	სკოლაში არსებული რემედიაციის პრაქტიკა მეტწილად ინდივიდუალურ და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, ამიტომ **სასურველია**, მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და ერთიანი. მიზანშეწონილია, რემედიაციის გეგმების შემუშავება, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და მათი განხორციელების მონიტორინგი რეგულარულად განიხილებოდეს კათედრული შეხვედრების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ჯგუფების მიერ საერთო მიდგომების ჩამოყალიბებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

N2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური გამართვისთვის სასურველია, კონკრეტული აქტივობები იყოს მდგრადი და განმეორებადი. ამისთვის, სასურველია, თითეულმა კათედრამ აწარმოოს კათედრის პორტფოლიო და მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.3.2.1.	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	სასურველია, კათედრებზე დაიგეგმოს და საფეხურებრივ კურიკულუმებში ჩაშენდეს დიაგნოსტიკური წერები, როგორც მრავალფეროვანი შეფასების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.3.2.2.	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	სწავლის პროცესის მრავალმხრივი ანალიზისა და ჰოლისტური მიდგომის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, **სასურველია** სკოლამ შეიმუშაოს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის სისტემური ფორმა, რომელიც დაეხმარება პედაგოგებს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და რუბრიკების კიდევ უფრო ეფექტურ გამოყენებაში.
N2.3.2.4.	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	**სასურველია**, სკოლამ დანერგოს შეფასების შედეგების დოკუმენტირებისა და ანალიზის ერთიანი ფორმატი კათედრულ დონეზე. აღნიშნული მონაცემების სტრუქტურირებული გამოყენება საშუალებას მისცემს სკოლას, იდენტიფიცირებული ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) პირდაპირ ასახოს კურიკულუმის განვითარების გეგმაში, რაც სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის პროცესს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულს გახდის. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	**სასურველია,** სკოლამ მისთვის მისაღები ფორმით შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის ფარგლებში დაგეგმვის პროცესში მიღებულ მიგნებებსა და რეფლექსიის შედეგებს გაასიტყვებს და ხელშესახებს გახდის.

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საბაზო საფეხური*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.1.1.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, **სასურველია,** სკოლამ შექმნას კურიკულუმის დიზაინის ერთიანი ფორმა, საფეხურების მიხედვით (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). **მაგ: საბაზო საფეხურის კურიკულუმი:** სკოლა/სასწავლო წელი პროგრამის სახელწოდება: საბაზო საფეხურის კურიკულუმი, პროგრამის განხორციელების ენა, კლასები, შინაარსი/შესავალი, პროგრამის განხორციელების ადგილი, სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი, გაკვეთილების განრიგი/დღის რეჟიმი (გაკვეთილების დაწყება/დასრულება), სწავლების შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა (შეფასების მიზანი, განმავითარებელი და განმსაზღველი შეფასება, კლასის და საფეხურის დაძლევა, გაცდენები), ესგ-ს გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (გამოცდები, რემედიაცია), საგანმანათლე-ბლო რესურსების ჩამონათვალი, დანართი (შემაჯამებლების რაოდენობა, საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი) **სასურველია,** სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების უკეთ გათვალისწინების მიზნით, შეიმუშაოს ჩართულობის სხვადასხვა სახის ფორმები. მაგ: კითხვარები (მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის); ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვ. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მრავალმხრივი კვლევა. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მოპოვების პროცესი არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციით. ამისთვის კი სასურველია, სკოლამ შექმნას

		მიზნობრივი კითხვარები, რომლებიც მორგებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე (მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები). *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
N2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმებისა და პრაქტიკის უკეთ წარმოსაჩენად, სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებში აისახოს სხდომებზე მიმდინარე სამუშაო პროცესი, მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთდეს და შინაარსობრივად ასახოს სხდომის ოქმში. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
N2.1.1.4.	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სასურვლია, სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის გაზიარების ერთიანი ფორმა-მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.) კი გახადოს მდგრადი. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*<u>საბუნებისმეტყველო მეცნიერებები</u>* სამივე საფეხური - სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებულ იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით *(იხ. ინდიკატორის აღწერა)* *<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>* სამივე საფეხური - სასურველია, კურიკულუმების შედგენისას მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)* *<u>მათემატიკა:</u>* სასურველია ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. თემის, საკითხის სვეტი სწორად იყოს შევსებული. მაგალითად, ამოღებულ იქნას სიტყვა ,,გამეორება'' და ჩაისვას ის, რისი გამეორებაც სურთ. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*

		<u>უცხოური ენები:</u> სასურველია, კურიკულუმებშიც იყოს გაწერილი დიფერენცირებული სწვალების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწვალეთათვის კომპელქსური დავალების მხრივ, შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი). სასურველია, ასევე ყველა კურიკულუმში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** *<u>ესთეტიკური აღზრდა:</u>* სასურველია, კურიკულუმებში უზრუნველყოფილი იყოს სტრუქტურული ერთიანობა - თემატური ბლოკები, თემები და ქვეცნებები წარმოდგენილი იყოს ყველა კლასში თანმიმდევრულად. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** *<u>სპორტი:</u>* სამომავლოდ, სასურველი იქნებოდა, რომ ყველა კლასის კურიკულუმში, იყოს შეტანილი თემა თეორიული მიმართულებით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*<u>საზოგადოებრივი მეცნიერებები:</u>* სამივე საფეხური - სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კურიკულუმში გაუმჯობესებას საჭიროებს ძირითადი კონტექსტ მაგალითი, ქვეცნებები, ქვესაკითხები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. **საბაზო საფეხური:** მე-10 კლასის ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში შეწორებულ იქნას სავალდებულო სასწავლო თემები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** *<u>უცხოური ენები:</u>* სასურველია, ჩასწორდეს ცნებების ნაწილი ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში. მაგალითად : მე - 7 და მე - 8 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში ცნება ტექსტი , უნდა შეიცვალოს ცნება - ჟანრით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***

		ესთეტიკური აღზრდა“: სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები იყოს საჭიროებისამებრ გაწერილი. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** სამივე საფეხური - სასურველია, ყველა თემის ფარგლებში გამრავალფეროვნდეს და დაკონკრეტდეს საგანმანათლებლო რესურსები. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ესთეტიკური აღზრდა:*** სასურველია, რესურსები უფრო დეტალურად იყოს დაკონკრეტებული თითოეული თემის ფარგლებში. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** სამივე საფეხური - სასურველია, (დაწყებით საფეხური - ჩვენი საქართველო; საბაზო საფეხური - გეოგრაფია, ისტორია) ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტი. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***უცხოური ენები:*** ინგლისურ და რუსულ ენაში წარმოდგენილ სსსმ მოსწავლისათვის შექმილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის ნიმუშები, სასურველია ჩანდეს დროის რა მონაკვეთში იფარება ესა თუ ის თემა. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** სამივე საფეხური - შეფასების რუბრიკების შექმნისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** ***ესთეტიკური აღზრდა:*** სასურველია, შეფასების სისტემა გადაიხედოს და ყველა რუბრიკა დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, რათა შეფასება გახდეს უფრო ვალიდური. სასურველია შემაჯამებელი და მიმდინარე დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული ანალიზზე, ინტერპრეტაციასა და შემოქმედებით აზროვნებაზე, რაც უზრუნველყოფს

		მოსწავლეთა მაღალი დონის კოგნიტური უნარების განვითარებას და უფრო მეტად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. *მათემატიკა:* სასურველია, მასწავლებლრბმა თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	*საზოგადოებრივი მეცნიერებები* სამივე საფეხური - სასურველია, ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.2.1.1.	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	სასურველია, სკოლამ სხვადასხვა ბრძანებით დამტკიცებული წესები (ადაპტაციის, რემედიაციის თუ ინტერვენციის გეგმები) ერთიან სისტემად აქციოს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესები არ შემოიფარგლოს მხოლოდ საჭიროებაზე რეაგირებით და გადავიდეს სისტემური მდგრადობის ფაზაში, რაც გულისხმობს მონიტორინგისა და უკუკავშირის უწყვეტ ციკლს კურიკულუმის ხარისხის მუდმივი განვითარებისთვის.
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	*საზოგადოებრივი მეცნიერებები:* (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** *უცხოური ენები:* სასურველია, წარმოდგენილ შეფასების ანალიზში ასახული იყოს რაოდენობრივი მაჩვენებლები. კონკრეტული თემების დამუშავებისას, გამოკვეთილი სირთულეების გადაჭრისა და დაძლევის გზები. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)*** *ესთეტიკური აღზრდა:* **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკები განახლდეს და დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***

N2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სკოლაში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის განმტკიცების მიზნით, **მიზანშეწონილია** ვერიფიკაციის პროცესი სრულად დაეფუძნოს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რისთვისაც აუცილებელია მოქმედ დოკუმენტში დეტალურად გაიწეროს ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები და ნაშრომთა შერჩევის კონკრეტული სტრატეგია (მათ შორის, შერჩევის შემთხვევითობა, მაღალი და დაბალი შეფასებების პროპორციული გადანაწილება და გენდერული ბალანსი). ამასთანავე, სასურველია, სკოლამ აქტიურად გამოიყენოს დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლასთან გაფორმებული პარტნიორული მემორანდუმის რესურსი და განავითაროს „მეგობარი სკოლის“ პედაგოგთა ჩართულობის პრაქტიკა, განსაკუთრებით იმ საგნებში, სადაც სკოლას მხოლოდ ერთი ან ორი სპეციალისტი ჰყავს; ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიუკერძოებლობასა და პროფესიული გამოცდილების გაზიარებას.
N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	***საზოგადოებრივი მეცნიერებები:*** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) **სასურველია,** თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. ***(იხ. ინდიკატორის აღწერა)***
N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) **სასურველია**, სამომავლოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ უზრუნველყოს დამატებითი დამხმარე რესურსების (მეთოდური ლიტერატურა, ანიმაცია, ფოტომასალა, ინტერნეტ რესურსები,დამატებითი სახელმძღვანელოები) ვალიდაცია. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **უცხოური ენები: სასურველია,** კათედრის სხდომის ოქმის დანართში გამოჩნდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	**სასურველია**, სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები/ინსტრუმენტები. ასევე, ურთიერთდასწრებისა და ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და

		რეკომენდაციების დაფიქსირება. რაც შეეხება კველევის პროცესს, სასურველი კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მშობლები). (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.1.2.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	სკოლაში არსებული რემედიაციის პრაქტიკა მეტწილად ინდივიდუალურ და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, ამიტომ **სასურველია**, მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და ერთიანი. მიზანშეწონილია, რემედიაციის გეგმების შემუშავება, შესაბამისი აქტივობები დაგეგმვა და მათი განხორციელების მონიტორინგი რეგულარულად განიხილებოდეს კათედრული შეხვედრების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფ საგნობრივი ჯგუფების მიერ საერთო მიდგომების ჩამოყალიბებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური გამართვისთვის **სასურველია**, კონკრეტული აქტივობები იყოს მდგრადი და განმეორებადი. ამისთვის, სასურველია, თითეულმა კათედრამ აწარმოოს კათედრის პორტფოლიო და მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.2.1.	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	**სასურველია**, კათედრებზე დაიგეგმოს და საფეხურებრივ კურიკულუმებში ჩაშენდეს დიაგნოსტიკური წერები, როგორც მრავალფეროვანი შეფასების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.2.2.	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	სწავლის პროცესის მრავალმხრივი ანალიზისა და ჰოლისტური მიდგომის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, **სასურველია** სკოლამ შეიმუშაოს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის სისტემური ფორმა, რომელიც დაეხმარება პედაგოგებს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და რუბრიკების კიდევ უფრო ეფექტურ გამოყენებაში. (იხ. ინდიკატორის აღწერა
N2.3.2.4.	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	**სასურველია**, სკოლამ დანერგოს შეფასების შედეგების დოკუმენტირებისა და ანალიზის ერთიანი ფორმატი კათედრულ დონეზე. აღნიშნული მონაცემების სტრუქტურირებული გამოყენება საშუალებას მისცემს სკოლას, იდენტიფიცირებული ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) პირდაპირ ასახოს კურიკულუმის განვითარების გეგმაში, რაც სწავლა-სწავლების

		ხარისხის მართვის პროცესს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულს გახდის.
N2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	**სასურველია**, სკოლამ მისთვის მისაღები ფორმით შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის ფარგლებში დაგეგმვის პროცესში მიღებულ მიგნებებსა და რეფლექსიის შედეგებს გაასიტყვებს და ხელშესახებს გახდის. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური**	***რჩევა***
N2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, **სასურველია**, სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მრავალმხრივი კვლევა. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მოპოვების პროცესი არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციით. ამისთვის კი სასურველია, სკოლამ შექმნას მიზნობრივი კითხვარები, რომლებიც მორგებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე (მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები). (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.1.1.3.	კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმებისა და პრაქტიკის უკეთ წარმოსაჩენად, **სასურველია** სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებში აისახოს სხდომებზე მიმდინარე სამუშაო პროცესი, მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთდეს და შინაარსობრივად ასახოს სხდომის ოქმში. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.1.1.4.	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	**სასურვლია,** სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის გაზიარების ერთიანი ფორმა-მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.) კი გახადოს მდგრადი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** სამივე საფეხური - სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სამივე საფეხური - **სასურველია**, კურიკულუმების შედგენისას მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **მათემატიკა:** ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. თემის, საკითხის სვეტი სწორად იყოს შევსებული. მაგალითად, ამოღებულ იქნას სიტყვა ,,გამეორება'' და ჩაისვას ის, რისი გამეორებაც სურთ. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **უცხოური ენები: სასურველია,** კურიკულუმებშიც იყოს გაწერილი დიფერენცირებული სწვალების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწვალეთათვის კომპელქსური დავალების მხრივ, შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი). სასურველია, ასევე ყველა კურიკულუმში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, კურიკულუმებში უზრუნველყოფილი იყოს სტრუქტურული ერთიანობა - თემატური ბლოკები, თემები და ქვეცნებები წარმოდგენილი იყოს ყველა კლასში თანმიმდევრულად. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **სპორტი:** სამომავლოდ, სასურველი იქნებოდა, რომ ყველა კლასის კურიკულუმში, იყოს შეტანილი თემა თეორიული მიმართულებით. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები: სამივე საფეხური - სასურველია,** საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კურიკულუმში გაუმჯობესებას საჭიროებს ძირითადი კონტექსტ მაგალითი, ქვეცნებები, ქვესაკითხები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის.

		საშუალო საფეხური: მე-12 კლასის ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში შეწორებულ იქნას სავალდებულო სასწავლო თემები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **უცხოური ენები:** სასურველია, ჩასწორდეს ცნებების ნაწილი ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში. მაგალითად : მე - 11 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში სასურველია ცნებების მითითება. **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები იყოს საჭიროებისამებრ გაწერილი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სამივე საფეხური - სასურველია, ყველა თემის ფარგლებში გამრავალფეროვნდეს და დაკონკრეტდეს საგანმანათლებლო რესურსები. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **უცხოური ენები:** სასურველია მე -12 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში დაკონკრეტებული იყოს გამოტენებული რესურსები, სახელმძღვანელოს გვერდები. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, რესურსები უფრო დეტალურად იყოს დაკონკრეტებული თითოეული თემის ფარგლებში. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სამივე საფეხური - სასურველია, (დაწყებითი საფეხური - ჩვენი საქართველო; საბაზო საფეხური - გეოგრაფია, ისტორია) ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სამივე საფეხური - შეფასების რუბრიკების შექმნისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი ,ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით. (იხ. ინდიკატორის აღწერა)

		ესთეტიკური აღზრდა: **სასურველია**, შეფასების სისტემა გადაიხედოს და ყველა რუბრიკა დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, რათა შეფასება გახდეს უფრო ვალიდური. სასურველია შემაჯამებელი და მიმდინარე დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული ანალიზზე, ინტერპრეტაციასა და შემოქმედებით აზროვნებაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალი დონის კოგნიტური უნარების განვითარებას და უფრო მეტად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **მათემატიკა: სასურველია**, მასწავლებლრბმა თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** სამივე საფეხური - სასურველია, ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.2.1.1.	სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე	**სასურველია,** სკოლამ სხვადასხვა ბრძანებით დამტკიცებული წესები (ადაპტაციის, რემედიაციის თუ ინტერვენციის გეგმები) ერთიან სისტემად აქციოს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესები არ შემოიფარგლოს მხოლოდ საჭიროებაზე რეაგირებით და გადავიდეს სისტემური მდგრადობის ფაზაში, რაც გულისხმობს მონიტორინგისა და უკუკავშირის უწყვეტ ციკლს კურიკულუმის ხარისხის მუდმივი განვითარებისთვის. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **უცხოური ენები:** სასურველია, წარმოდგენილ შეფასების ანალიზში ასახული იყოს რაოდენობრივი მაჩვენებლები. კონკრეტული თემების დამუშავებისას, გამოკვეთილი სირთულეების გადაჭრისა და დაძლევის გზები. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **ესთეტიკური აღზრდა:** სასურველია, შეფასების რუბრიკები განახლდეს და დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს. (იხ. ინდიკატორის აღწერა)

N2.2.1.4.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი	სკოლაში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის განმტკიცების მიზნით, **მიზანშეწონილია** ვერიფიკაციის პროცესი სრულად დაეფუძნოს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რისთვისაც აუცილებელია მოქმედ დოკუმენტში დეტალურად გაიწეროს ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები და ნაშრომთა შერჩევის კონკრეტული სტრატეგია (მათ შორის, შერჩევის შემთხვევითობა, მაღალი და დაბალი შეფასებების პროპორციული გადანაწილება და გენდერული ბალანსი). ამასთანავე, სასურველია, სკოლამ აქტიურად გამოიყენოს დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლასთან გაფორმებული პარტნიორული მემორანდუმის რესურსი და განავითაროს „მეგობარი სკოლის“ პედაგოგთა ჩართულობის პრაქტიკა, განსაკუთრებით იმ საგნებში, სადაც სკოლას მხოლოდ ერთი ან ორი სპეციალისტი ჰყავს; ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიუკერძოებლობასა და პროფესიული გამოცდილების გაზიარებას. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით. **უცხოური ენები: სასურველია,** მე-12 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში ნაჩვენები იყოს ბეჭდურ რესურსთან ერთად დამხამრე ციფრული რესურსების გამოყენების პრაქტიკა. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, სამომავლოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ უზრუნველყოს დამატებითი დამხმარე რესურსების (მეთოდური ლიტერატურა, ანიმაცია, ფოტომასალა, ინტერნეტ რესურსები,დამატებითი სახელმძღვანელოები) ვალიდაცია. (იხ. ინდიკატორის აღწერა) **უცხოური ენები:** სასურველია, კათედრის სხდომის ოქმის დანართში გამოჩნდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.1.1.	მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით	**სასურველია**, სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები/ ინსტრუმენტები. ასევე, ურთიერთდასწრებისა და ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული

	განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად	რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. რაც შეეხება კველევის პროცესს, სასურველია, კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მშობლები). (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.1.2.	მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას	სკოლაში არსებული რემედიაციის პრაქტიკა მეტწილად ინდივიდუალურ და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, ამიტომ **სასურველია,** მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და ერთიანი. მიზანშეწონილია, რემედიაციის გეგმების შემუშავება, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და მათი განხორციელების მონიტორინგი რეგულარულად განიხილებოდეს კათედრული შეხვედრების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ჯგუფების მიერ საერთო მიდგომების ჩამოყალიბებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.1.3.	მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას	მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური გამართვისთვის **სასურველია,** კონკრეტული აქტივობები იყოს მდგრადი და განმეორებადი. ამისთვის, სასურველია, თითეულმა კათედრამ აწარმოოს კათედრის პორტფოლიო და მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები.
N2.3.2.1.	შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს	**სასურველია**, კათედრებზე დაიგეგმოს და საფეხურებრივ კურიკულუმებში ჩაშენდეს დიაგნოსტიკური წერები, როგორც მრავალფეროვანი შეფასების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.2.2.	შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით	სწავლის პროცესის მრავალმხრივი ანალიზისა და ჰოლისტური მიდგომის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, **სასურველია** სკოლამ შეიმუშაოს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის სისტემური ფორმა, რომელიც დაეხმარება პედაგოგებს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და რუბრიკების კიდევ უფრო ეფექტურ გამოყენებაში. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.3.2.4.	შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით	**სასურველია**, სკოლამ დანერგოს შეფასების შედეგების დოკუმენტირებისა და ანალიზის ერთიანი ფორმატი კათედრულ დონეზე. აღნიშნული მონაცემების სტრუქტურირებული გამოყენება საშუალებას მისცემს სკოლას, იდენტიფიცირებული ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) პირდაპირ ასახოს კურიკულუმის განვითარების გეგმაში, რაც სწავლა-

		სწავლების ხარისხის მართვის პროცესს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულს გახდის. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
N2.4.1.1.	იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი	**სასურველია**, სკოლამ მისთვის მისაღები ფორმით შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის ფარგლებში დაგეგმვის პროცესში მიღებულ მიგნებებსა და რეფლექსიის შედეგებს გაასიტყვებს და ხელშესახებს გახდის. (იხ. ინდიკატორის აღწერა)

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ დასკვნის პროექტზე წარმოადგინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით (სკოლის წერილი #MES 4 26 0000469165 23/04/2026).
სკოლა სრულად ეთანხმება დასკვნის პროექტში აღწერილ გარემოებებს. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლას შემუშავებული აქვს მისია, რომლის ძირითადი აქცენტებია:

- მოსწავლეებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება და დემოკრატიული ღირებულებებით აღზრდა;
- ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული უსაფრთხო, ინოვაციური და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა;
- თითოეულ მოსწავლეში შემოქმედებითი შესაძლებლობების აღმოჩენა
- ფორმალური და არაფორმალური განათლების ინტეგრირება.

სკოლას შემუშავებული აქვს ხედვა - ძირითადი აქცენტები 2032 წლისათვის:

- სასკოლო საზოგადოების მაღალი ჩართულობა და ზრუნვა
- შესაბამისი გარემოს შექმნა, მედიაწიგნიერების - ახალი ინფორმაციის ეფექტურად ათვისება, თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტურად ათვისება, საჭირო უნარ-ჩვევების დამოუკიდებლად შეძენა და გამოყენება.

სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

გაცხადებული მისიისა და ხედვის შინაარსით სკოლა მოიაზრებს საკუთარ როლს უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტში. კერძოდ:

1. უსაფრთხო სივრცის როლის გააზრება - სკოლა უზრუნველყოფს, როგორც ფიზიკური უსაფრთხოებას, ასევე ემოციურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ერთ-ერთი პრიორიტეტია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის **უსაფრთხო გარემოს ორგანიზება.**

- სკოლის მისიაა ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული **უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა.**
- სასკოლო გარემო მოწესრიგებულია, ფოიეში გამოკრულია შესაბამისი უწყებების ტელეფონის ნომრები და სკოლის შინაგანაწესი, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები და სახანძრო სტენდი.
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელსაც აქვს 2025-206 ს/წ სამოქმედო გეგმა.
- სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სკოლის ექთანი პერიოდულად ახდენს მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის შემოწმებას და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას მოსწავლეებისა და მშობლებისათვის, ასევე ზედამხედველობას უწევს სკოლის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.
- სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის.
- სკოლაში ტარდება საინფორმაციო კამპანია ძალადობისა და ბულინგის წინააღმდეგ: საკლასო ოთახებში გამოკრულა მოსწავლეთა ნამუშევრები: არა ძალადობას, ერთად ვუთხრათ არა ბულინგს, ჩავანაცვლოთ ბულინგი მეგობრობით, რა არის ტოლერანტობა, ბულინგის ფორმები, როგორ გავუმკლავდეთ ბულინგს, ШШШ პირი - ერთი სამყარო უსაზღვრო შესაძლებლობებით, ინფორმაციები ტრეფიკინგისა და კიბერბულინგის შესახებ და სხვა. ასევე პოსტერი „ბავშვობის ასაკში ქორწინება დანაშაულია“.

2. სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტი - სკოლაში ყალიბდება გარემო, რომელიც ორიენტირებულია პიროვნულ განვითარებაზე, რაც მოიაზრებს შემდეგს:

სკოლა მოსწავლეს აღჭურავს იმ უნარებით, რომლებიც საჭიროა სოციალური ინტეგრაციისთვის, წარმატებული ცხოვრებისთვის და საზოგადოების აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთვის. სკოლა ზრუნავს, რათა ჩამოყალიბდეს სივრცედ, სადაც არსებობს თანამშრომლობითი და პოზიტიური ურთიერთობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. **სოციალური ინტეგრაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება ღონისძიებები**. მაგ. პრეზენტაცია ოჯახის წევრების შესახებ (2025 წლის 25 ნოემბერს მე-4 კლასის მოსწავლეების პრეზენტაცია ოჯახის ერთ-ერთი წევრის შესახებ ინგლისურ ენაზე; სკოლის დერეფანში გამოკრულია საინფორმაციო ხელნაკეთი კედლის გაზეთი - როგორ ავირჩიოთ პროფესია და სხვა.

მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა კულტურას, რა დროსაც მოსწავლეებს უყალიბდებათ ტოლერანტულო დამოკიდებულება სხვადასხვა კულტურის მიმართ და მაღლდება კულტურული ცნობიერება. 2023 წლიდან სკოლა ჩართულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და სპორტის სამინისტროს მიერ განხორციელებულ **პროგრამაში „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“**, რომლის მიზანია საგანმანათლებლო აქტივობების გამრავალფეროვნების გზით ზგემ-ის მიზნების მიღწევაში მასწავლებლების მხარდაჭერა. ინგლისური ენის მასწავლებელი ახორციელებს **პროექტს „ინგლისური მეტია, ვიდრე გაკვეთილი“**.

ამ მიზნით **სკოლაში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:** კლუბური საქმიანობა - 2025 წელს „პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ ფარგლებში სკოლაში გახსნილია ინგლისური ენის კლუბი, რომლის მიზანია წიგნების კითხვით სიამოვნების მიღება, სიტყვათა

მარაგისა და საუბრის უნარის გაუმჯობესება, წაკითხულის გააზრება და წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება; ფილმების ყურება და ანალიზი მხატვრული ნაწარმოების შესწავლის შემდეგ - 2025 წელს მე-8 კლასში ნ. დუმბაძის ნაწარმოების „ბოშების“ შესწავლის შემდეგ ერთობლივად უყურეს ამავე სახელწოდების ფილმს, რისი მიზანიც იყო ადამიანური ურთიერთობების და სიკეთის ძალის გაანალიზება და სხვა.

სკოლა ხელს უწყობს არაფორმალური განათლებას კლუბების ფუნქციონირების სახით: 1. სამოქალაქო განათლების კლუბი „მნათობი“; 2. ეკო-კლუბი; 3. კინომოყვარულთა კლუბი; 4. ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი - „კარცერი-ლუქსი“ 5. ინგლისური ენის კლუბი English Reading Club; 6. სპორტის მოყვარულთა კლუბი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას შემუშვებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. დოკუმენტის მიხედვით, **მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით:**

ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება;
ბ) პროექტებისგაზიარებასასკოლოსაზოგადოებისწევრებისთვისდათემისთვის (შესაძლებელია სამეურვეო საბჭოსთან წარდგენაც);
გ) მიღებულიუკუკავშირისგანხილვა/გათვალისწინება;
დ) მისიის, ხედვისა და ღირებულებების საბოლოო სახით ფორმირება;
ე) შემუშავებული განაცხადების წარდგენა დირექტორისთვის და მასთან შეთანხმების საფუძველზე გამოქვეყნება ვებგვერდზე.

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დადასტურებაა:

სკოლამ 2025 წლის სექტემბერში შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალა სკოლის ფილოსოფიის და სტრატეგიული/ სამოქმედო გეგმების მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება. თუმცა სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისათვის მზადება ფაქტობრივად ერთი წლით ადრე - 2024 წლის სექტემბერში დაიწყო - შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც 2025 წელს გაუქმა და ახალი ჯგუფი შექმნა.

- **სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #1 – 8 სექტემბერი 2025 წ.** (სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება)
- **სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი #2 – 8 სექტემბერი 2025 წ.** (1. 2025-2032 წწ. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება, 2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება).
- **დირექტორის ბრძანება #01-03/32 8 სექტემბერი 2025 წელი** - სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფს დაევალა ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავება 2025 წლის 15 სექტემბრმადე. (ამ ბრძანებით გაუქმდა დირექტორის

ბრძანება 2024 წლის 9 სექტემბერი - რომლითაც შექმნილი იყო სამუშაო ჯგუფი ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით).

- **პედსაბჭოს ოქმი #1 4 სექტემბერი 2025 წელი** - 1. 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება. 2. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხილვა.
- **სამეურვეო საბჭოს ოქმი #2 8 სექტემბერი 2025 წელი** - 1. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება, 2. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

სკოლის ფილოსოფიის საკითხებზე შემუშავებული პედსაჭოსა და სამეურვეო საბჭოს ოქმების და სამუშაო ჯგუფის ოქმების თარიღები არ არის ერთმანეთთან თანხვედრაში. მაგ. სამუშაო ჯგუფის ოქმი #1 და პედსაბჭოს ოქმი. გასაუბრებით გაირკვა, რომ სკოლამ ავტორიზაციამდე ერთი წლით ადრე დაიწყო მუშაობა სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტებზე და ფაქტობრივად განახორციელა გაკრვეული სახის წინასწარი სამუშაოები (გამოკითხვები, პროექტების შედგენა) და მოგვიანებით დაიწყო მასალების გაფორმება დოკუმენტურად (დაოქმება), რამაც გამოიწვია ოქმებში ნუმერაციის და დათარიღების აცდენა.

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ფილოსოფიის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლაში ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მიმდინარე პროცესები თანხვედრაში იყოს დოკუმენტების დაოქმების პროცესთან და ერთმანეთს ემთხვეოდეს განხორციელებული აქტივობა და მისი შესაბამისი ოქმი (ოქმის ნუმერაცია და თარიღი).

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მისიის ერთ-ერთი მიზანია მოსწავლეებში **პატრიოტული სულისკვეთების** გაღვივება და **დემოკრატიული ღირებულებებით** აღზრდა: სკოლის დათვალიერებისას გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების მიერ მისიის სულისკვეთების გაზიარება, რაც გამოიხატება სკოლის ინტერიერში პატრიოტული შინაარსის სტენდებისა და მოსწავლეთა სხვადასხვა სახის ნამუშევრების სიმრავლეში. მაგ. სკოლის დერეფნისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოფენილია საქართველოს ისტორიის სხვადახვა ეპოქების ამსახველი კედლის გაზეთები, ნაშრომები - „ეროვნული გმირების“ შესახებ, დერეფნის კედელი მოხატულია ეროვნული სიმბოლიკით (საქართველოს დროშა, რომელიც შეასრულა მე-9 კლასის მოსწავლემ) და სხვა.

სკოლის ფოიეში გამოკრულია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები და სკოლის მისია და ხედვა.

ფილოსოფია განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე და FB გვერდზე.

ფილოსოფია გაზიარებულია მშობლებისათვის სასწავლო წლის დასაწყისში. ნიმუშის სახით სკოლამ წარმოადგინა მე-6 კლასის მშობელთა კრების ოქმი 15.09.2025წ. სადაც დღის წესრიგში გათვალისწინებულია მისიის, ხედვის და ღირებულებების და საგნობრივი კურიკულუმების გაცნობა. თუმცა კრების ოქმში კრების მიზნად მითითებულია სადამრიგებლო მუშაობის გაცნობა, განსახილველ საკითხად და დღის წესრიგის საკითხებად კი სხვა თემებია მითითებული. ასევე ოქმს არ ახლავს მშობელთა დასწრების დამადასტურებელი ხელმოწერები.

სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები შეესაბამება მეთოდოლოგიის დოკუმენტით გათვალისწინებულ გაზიარების მექანიზმებს. მეთოდოლოგიაში წერია: სკოლაში დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ა) skolebi.emis.ge ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა; ე) სოციალური მედია; ვ) საჯარო ღონისძიებები-ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; ზ) ბეჭდვითი მასალები - ე.წ. ”ხილვადი მასალა”.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლის მისია და ხედვა ჩარჩოში ჩასმული სახით განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას (სკოლის ცენტრალურ ფოიეში), გაწერილია 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლას აქვს ფეისბუქ-გვერდი, სადაც განთავსებულია მსგავსი სახის ინფორმაცია, გაზიარებულია სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომზადების თარიღი 15.08.2024 წელი.
შენობა-ნაგებობის საერთო ფართი - 472.30 კვ.მ.
მოსარგებლე - სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 ს/წ
- სამუშაო ჯგუფის შექმნის დირექტორის ბრძანება
- პედსაბჭოს ოქმი # ფილოსოფიის განხილვის შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #1 9 სექტემბერი 2025 წელი - ფილოსოფიის დამტკიცების შესახებ
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მე-6 კლასის მშობელთა კრების ოქმი სკოლის ფილოსოფიის გაცნობის შესახებ
- სოციალური გვერდზე განთავსებული სკოლის ფილოსოფია
- სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ფილოსოფია skolebi.emis.ge - ლინკი https://skolebi-admin.emis.ge/schools/1473

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის **მეთოდოლოგიის დოკუმენტი,** რომელშიც მოცემულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცედურა და ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის/ინტერესების გათვალისწინების მექანიზმი. ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების გაზიარების მექანიზმი.
დირ. ბრძანება „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ - #01-03/33 12 სექტემბერი 2025 წელი.

სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების **პროცესზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია** დირექტორის მოადგილე. განსაზღვრულია სტარტეგიული დაგეგმვის პროცესის ქვეპროცესები: მისიის, ხედვის ადა ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროეცესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარების პროცესი.
განსაზღვრულია სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა.
სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპია სკოლის მისიის, ხედვისდა ღირებულებების შემუშავება.
სტრატეგიული დაგეგმვის მეორე ეტაპზე ხორციელდება სტრატეგიული გეგმის შემუშავება. სტრატეგიული გეგმა ეხმიანება სკოლის მისიისა და ხედვის განაცხადებში დეკლარირებულ მიზნებს და უზრუნველყოფს მათ რეალიზებას.
სტრატეგიული დაგეგმვის მესამე ეტაპზე სკოლა შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების განხორციელებას.
სტრატეგიული დაგეგმვის მეოთხე ეტაპზე ხორციელდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების განხორციელება;
სტრატეგიული დაგეგმვის მეხუთე ეტაპზე ფორმდება სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში.
სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი იწყება ინფორმაციის შეგროვებით. ინფორმაციის მიღება ხდება სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში იყენებს SWOT მეთოდოლოგიას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება; ბ) პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის; გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება; დ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა; ე) სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განხილვა სამეურვეო საბჭოზე. ვ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება დირექტორის მიერ და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას. შემუშავებული ხედვა და ღირებულებები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისია. გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. დოკუმენტი დამტკიცებულია 7 წლიანი პერიოდისათვის 2025-2032 წლები.

გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე ოქმი #2 - 8 სექტემბერი 2025 წელი. გეგმა განხილულია პედსაბჭოზე - პედსაბჭოს ოქმი #1 – 4 სექტემბერი 2025 წელი. თუმცა დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შესახებ - დაწერილია 8 სექტემბერს 2025წ. სამუშაო ჯგუფის #1 ოქმიც შედგენილია 8 სექტემბერს. ერთმანეთთან შეუსაბამოა და დროში აცდენილია დოკუმენტების ოქმების თარიღები და ნუმერაცია.

სკოლამ წარმოადგინა კითხვარი (შედგება 7 კითხვისაგან) სკოლის მისიისა და ხედვის განსაზღვრისათვის:

1. გთხოვთ მონიშნოთ 3 მიმართულება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ჩვენი სკოლის ძირითად მიზანს. 2. ამჟამად მოქმედი სკოლის მისიაა - დააფიქსირეთ თქვენი მოსაზრება ეთანხმებით თუ არა სკოლის მოქმედ მისიას? 3. თუ არ ეთანხმებით ან ნაწილობრივ ეთანხმებით, მიუთითეთ რის შეცვლას ისურვებდით სკოლის მისიაში. 4. როგორ ხედავთ სკოლას 7 წლის შემდეგ? 5. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს სკოლის მთავარი ღირებულება? (აირჩიოე ერთი ან რამდენიმე პასუხი) 6. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს სკოლის მთავარი პრიორიტეტი მომავალი 7 წლის განმავლობაში? (აირჩიეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი. 7. რას ურჩევდით სკოლის დირექციას სკოლის განვითარებისთვის?

სკოლამ ასევე წარმოადგინა სასკოლო კვლევის მასალა სტრატეგიული განვითარების მიზნებისათვის. კითხვები საერთოა მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და ადმინისტრაციისათვის:

- რამდენად კმაყოფილი ხართ სკოლის საერთო გარემოთი?
- უთმობს თუ არა სკოლა საკმარის ყურადღებას მოსწავლეთა საჭირობებს?
- რა მიგზაჩნიათ სკოლის ყველაზე ძლიერ მხარედ?
- რა მიმართულებით უნდა გააუმჯობესოს სკოლამ საქმიანობა?
- შეაფასეთ მასწავლებელთა პროფესიონალიზმი (1-5 ქ.)?
- გაქვთ თუ არა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოთ სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?
- რა არის სკოლის ყველაზე წარმატებული პროექტი ან ინიციატივა?
- რას ფიქრობთ სკოლის ინფრასტრუქტურასა და გარემოზე? (აფასებენ)
- გაქვთ თუ არა წვდომა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებზე სკოლაში?
- რა გსურთ შეიცვალოს სასწავლო პროცესში?
- შეაფასეთ სკოლის კომუნიკაცია მშობლებთან (1-5 ქ.)?
- სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა შემოქმედებით განვითარებას?

- რა გარე შესაძლებლობები შეიძლება გამოიყენოს სკოლამ განვითარებისათვის?
- რა ფაქტორები ამცირებს მოსწავლეთა მოტივაციას?
- შეაფასეთ სკოლის მართვის გამჭვირვალობა?
- შეაფასეთ სკოლის თანამშრომლობა საზოგადოებასთან?
- რა სახის აქტივობის დამატება იქნებოდა თქვენთვის სასურველი სკოლაში?
- რა სირთულეებს აწყდებით სასწავლო პროცესში?
- რამდენად სამართლიანად აფასებენ მოსწავლეთა მიღწევებს?
- სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს?
- გსურთ მონაწილეობა სკოლის სტრატეგიული განვითარების პროცესში?

სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სკოლის 8 მიზანი: 1. აღზარდოს მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების ადამიანები. 2. ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას, 3. ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და განვითარებას და სხვა.
გეგმის მომდევნო ნაწილში მოცემულია სკოლის 8 სტრატეგიული მიმართულება, რომლებიც განსხვავებული ფორმულირებითაა მოცემული: 1. სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, 2. სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება-განახლება. 3. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება და შენარჩუნება. 4. უსაფრთხო გარემოს შექმნა. 5. სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. 6. მოსწავლეთა მხარდაჭერა. 7. ადამიანური რესურსების განვითარება. 8. არაფორმალური განათლების გაძლიერება.
სტრატეგიული მიზნები მეტწილად თავსებადია სკოლის მისიასთან, სტრატეგიული მიზნები შეესაბამება SWOT ანალიზს.
სტრატეგიული მიზნები დროში გაწერილია, თუმცა ყველა მიზანს ერთი და იგივე ვადა უწერია. მაგ. #2 მიზანი - სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება თუ ავტორიზაციისათვის მომზადება 7 წელზეა გაწერილი. მეთოდოლოგიაში წერია, რომ „სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპია სკოლის მისიის-ხედვის შემუშავება, დაგეგმვის მე-2 ეტაპზე ხორციელდება სტრატეგიული გეგმის შემუშავება“ - სკოლის შემთხვევაში ორივე ეტაპი თითქმის ერთ დღესაა მოქცეული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სტრატეგიული მიზნები უფრო მკაფიოდ და პრაქტიკულად იყოს ჩამოყალიბებული (მაგ. სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ნაცვლად - სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა, მოსწავლეთა მხარდაჭერის ნაცვლად - მოსწავლეთა მხარდაჭერის გაძლიერება). ასევე მიზანშეწონილია სტრატეგიული მიზნები დროში რეალურად იყოს გაწერილი და ყველა სტრატეგიული მიზნის განხორციელების პერიოდი არ მოიცავდეს სტრატეგიული გეგმის მოქმედების მთელ შვიდწლიან პერიოდს. ასევე მიზანშეწონილია ერთმანეთთან თანხვედრაში იყოს რეალურ დროში დოკუმენტების შემუშავების თანმიმდევრობა და შესაბამისი დოკუმენტების ნუმერაცია/დათაღირება.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიულ გეგმაზე დაყრდნობით ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის მიხედვით უზრუნველყოფს მასში გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას. **სამოქმედო გეგმა ემყარება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას - სკოლის თვითშეფასების დამადასტურებელ მასალად სკოლამ წარმოადგინა:** 1. სამოქმედო გეგმის შესრულების დოკუმენტი, სადაც მითითებულია თითოეული დასახული ამოცანის შესაბამისი რომელი აქტივობაა შესრულებული და რომელი არა. 2. დირექტორის ანგარიში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ სამეურვეო საბჭოსადმი - ოქმი #7 8 დეკემბერი 2025 წელი. 3. საგნობრივი კათედრის ანგარიში, დამრიგებლის ანგარიში.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარმოდგენილი ფორმა და დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი შესაძლოა იყოს გამოყენებული სკოლის წლიურ თვითშეფასებად, თუმცა მოცემულ შემთხვევაში სამოქმედო გეგმისა და დირექტორის კონკრეტული ანგარიშები ძალზე მშრალია, არ შეიცავს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების შესახებ სრულ ინფორმაციას და ნაკლებად იძლევა სკოლის საქმიანობის წლიური თვითშეფასების შესაძლებლობას. ასევე, სამოქმედო გეგმის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია შეეხება მხოლოდ ორი სტრატეგიული მიმართულების შესაბამის აქტივობებს (1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასა და ადამიანური რესურსების განვითარებას).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ ერთად მოუყაროს თავი სკოლის საქმიანობის შესახებ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების/პირების ანგარიშებს, რისთვისაც შესაძლოა გამოიყენოს მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი ანგარიშების წარმოდგენის მექანიზმი (სამოქმედო გეგმის მონიტორინგის გზები) და შეადგინოს სკოლის საქმიანობის სრული/ყოვლისმომცველი წლიური ანგარიში, რაც გახდება ეფექტიანი სამოქმედო გეგმის დასახვის წინაპირობა მომდევნო სასწავლო წლისათვის.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. სამოქმედო გეგმაში სამოქმედო აქტივობები არ მიემართება ყველა (რვავე) სტრატეგიულ მიზანს - არ ჩანს მაგალითად #8 სტრატეგიული მიზნის შესაბამისი აქტივობები, ასევე ბუნდოვანია #2 სტრ. მიზნის (ორგანიზაციული განვითარება) შესაბამისი აქტივობები.

კერძოდ: #1 სტრ. მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, #3 სტრ. მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-შენარჩუნება. #4 სტრ. მიზანი - უსაფრთო გარემოს უზრუნველყოფა. #5 სტრ. მიზანი - სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. #6 სტრ. მიზანი - მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. #7 სტრ. მიზანი - ადამიანური რესურსების განვითარება.

სამოქმედო გეგმის აქტივობები ხშირ შემთხვევაში ზოგადი და შაბლონურია, აკლია კონკრეტული ნაბიჯები, რაც ართულებს კონკრეტული აქტივობის შესრულების შეფასებას და გაზომვადი ინდიკატორების შემუშავებას. ასევე, სამოქმედო გეგმის ზოგიერთი აქტივობა არარეალისტურადაა გაწერილი დროში. მაგ. დიაგნოსტიკური წერები - ყველა თვეზეა გაწერილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სამოქმედო გეგმის აქტივობები არ იყოს ზოგადი ხასიათის და მათში გაწერილი იყოს კონკრეტული ნაბიჯები, რაც სკოლას მისცემს შესაძლებლობას რეალისტურად და პრაქტიკულად შეაფასოს აქტივობის განხორციელება და შეიმუშავოს მათი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია** - ბრძანება „სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ - #01-03/33 12 სექტემბერი 2025 წელი.
- სტრატეგიული გეგმა 2025-2032 წლები
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებაზე
- სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე
- კითხვარი სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებზე
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის 2025-2026 ს/წ I სემესტრის ანგარიში - სხდომის ოქმი #3 9 იანვარი 2026 წელი.
- დამრიგებლის ანგარიშის ფორმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

   სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომლის მე-12 თავი არეგულირებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას. კერძოდ:
   სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება გათვალისწინებულია წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
   სტრატეგიული გეგმის მონიტორიგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ - მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.
   განმარტებულია, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას.
   განმარტებულია, რომ სამოქმედო გეგმის შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას.
   დოკუმენტში გათვალისწინებულია სამოქმედო **გეგმის მონიტორინგის ორი ალტერნატიული გზა:** ერთი - დრაივზე გაზიარებული სამოქმედო გეგმის საქაღალდე და მეორე - ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სამოქმედო გეგმის ანგარიში იწერება ნარატივის სახით. დამტკიცებული ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

   არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

   სამოქმედო გეგმის შედეგების შესრულება გაზიარებულია საჯაროდ სკოლის ვებ-გვერდზე. გაზიარებულია დოკუმენტი სახელწოდებით - სასკოლო გეგმის შესრულების მონიტორინგი. რეალურად ესაა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის

დოკუმენტი, რომელიც არასრული სახითაა მოცემული და მოიცავს ინფორმაციას შესრულებული აქტივობების შესახებ მხოლოდ 2 სტრატეგიული მიზანთან მიმართებაში: 1. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და 2. ადამიანური რესურსების განვითარება. სკოლას შეუძლია აღნიშნული პრაქტიკა გამოიყენოს სხვა სტრატეგიული მიზნების შესაბამისი აქტივობების შესრულებასთან მიმართებაშიც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქმედო გეგმის ანგარიშის დოკუმენტი
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია
- სკოლის ვებ-გვერდი
-

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის **სტრუქტურის სქემა - ორგანოგრამა,** რომლითაც განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებები. სკოლის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი - **„განთიადის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების შესახებ“, რომელშიც აღწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების** და სტრუქტურულ ერთეულებს მიღმა კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელ პოზიციაზე **დასაქმებული პირების ანგარიშვალდებულება და ფუნქციები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტის დამტკიცების შესაბამისი დირექტორის ბრძანება #01-03/75 12 დეკემბერი 2025 წელი.**
სტრუქტურის ორგანოგრამაში მოსწავლეთა თვითმმართველობის სვეტში შეტანილია კლუბები და ღონისძიებები. ასევე სტრუქტურაში მითითებულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტში კი - არა. საგნობივი კათედრების ჩამონათვალში მითითებულია კათედრა სახელწოდებით - დაწყებითი კომბინირებული (იხილე რჩევა).

სკოლის სტრუქტურული ერთეულების შესახებ დოკუმენტში მოცემულია სამუშაო აღწერილობები: მუხლი #1 - დირექტორის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები. მუხლი #4 - ბუღალტრის ფუნქცია-მოვალეობები; მუხლი #5 - მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. მუხლი #7 - საქმისმწარმოებლის ფუნქცია-მოვალეობები; მუხლი #8 - ბიბლიოთეკარის ფუნქცია-მოვალეობები; მუხლი #9 - ექთნის ფუნქცია-მოვალეობები. მუხლი #10 - დარაჯის ფუნქცია-მოვალეობები; მუხლი #11 - დამლაგებლის ფუნქცია-მოვალეობები. მუხლი #12 - სპეცმასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები. სკოლის პერსონალთან გაფორმებელია შესაბამისი **შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც განსაზღვრული სამუშაოს ფუქნციები** შეესაბამება ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის შინაარსს.

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი.
1. დირექცია - შედგება სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. ადმინისტრაცია შედგება - საქმისმწარმოებლის, ბიბლიოთეკარისაგან. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. **საშტატოს დამტკიცების ბრძანება #01-03/06 27 თებერვალი 2025 წელი.**
2. პედაგოგიურ საბჭოში შედის - 20 მასწავლებელი. ტექნიკური და სხვა დამხმარე პერსონალი წარმოდგენილია
3 პირით - ერთი ექთანი, 1 დარაჯი და 1 დამლაგებელი.

3. სამეურვეო საბჭო შედგება 6 წევრისაგან (3 მასწავლებელი და 3 მშობელი სამივე საფეხურიდან) **-** სამეურვეო საბჭოს არჩევნების კენჭისყრის შედეგების **შემაჯამებელი ოქმი** 14.07.2025წ. ასევე „სამეურვეო საბჭოს არცევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცების შესახებ **განკარგულება**“ 14.07.2025წ.

4. მოსწავლეთა თვითმმართველობა არჩეულია 2025 წლის 13 ოქტომბერს - თვითმმართველობამ აირჩია საბაზო და საშუალო საფეხურის თავმჯდომარეები. **სკოლამ წარმოადგინა:**

- თვითმმართველობის **საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი** #1 13 ოქტომბერი 2025 წელი.
- საბაზო საფეხურის **თვითმმართველობის სხდომის ოქმი #1 15 ოქტომბერი 2025 წელი.**
- **მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება** - მოცემულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტში.
- **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #5 31 ოქტომბერი 2025 წელი -** მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი შედის სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში.

  ოქმში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა: *საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარედ კენჭისყრის შედეგებში მოხსენიებულია ორი სხვადასხვა პიროვნება: ერთგან ხ.გ. რომელიც რეალურად სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა, ხოლო მეორეგან ნ.ც. (მე-11 კლასის მოსწავლე).*

5. დისციპლინური კომიტეტი შექმნილია - სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები:

- **სამეურვეო საბჭოს ოქმი #5 20 ოქტომბერი 2025 წელი -** დისციპლინური კომიტეტის არჩევის შესახებ.
- **დისციპლინური კომიტეტის ოქმი #1 7 ნოემბერი 2025 წელი** - თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შესახებ.

6. სკოლაში ფუნქციონირებს - მრჩეველთა საბჭო. მტკიცებულებები: დირექტორის ბრძანება #7 28 თებერვალი 2019 წელი. ასევე ბრძანება #60 30 ოქტომბერი 2025 წელი - 2019 წლის 28 თებერვლის „მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“ #7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

7. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები - 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: 1. სახელმწიფო ენის; 2. მათემატიკის და ტექნოლოგიების (ასევე ჭადრაკის); 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკის); 4. საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია, სამოქალაქო თავდაცვა, სამოქალაქო განათლების პროექტი); 5. უცხოური ენების (ინგლისური და რუსული); 6. ესთეტიკური აღზრდის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, სპორტი); 7. დაწყებითი (I-IV) კლასების.

8. კლასის დამრიგებლის ფუნქციები გაწერილია - სკოლის დირექტორის ბრძანება „კლასის დამრიგებელთა განსაზღვრისა და დამრიგებლის ფუნქციის დაკისრების შესახებ“. **სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #01-03/29 „დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ“. დანართი #1 - დამრიგებელების ფუნქცია-მოვალეობები 2025-2026 ს/წ. - სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია ჩანაწერში სადამრიგებლო პროგრამის შესახებ.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სტრუქტურის ორგანოგრამაში შეტანილი იყოს მხოლოდ სკოლის სტრუქტურული ერთეულები/პირები და რგოლები (და არა კლუბები და ღონისძიებები). ასევე მიზანშეწონილია სტრუქტურის ორგანოგრამაში საგნობრივი კათედრები იმ დასახელებით იყოს მოცემული, როგორც ის ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (მაგ. დაწყებითი საფეხურის კათედრა და არა - დაწყებითი კომბინირებული).

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სტრუქტურულ ერთეულებს და პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა შემდეგი მასალები:

სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები (კათედრის, პედსაბჭოს დებულება, დისციპლინური კომიტეტის დებულება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სამეურვეო საბჭოს ფუნქციები და საქმიანობის წესი). სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დოკუმენტი ხელს უწყობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

სამეურვეო საბჭოს სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ (გათვალისწინებულია 8 გეგმიური სხდომა და რიგგარეშე სხდომები საჭიროების შემთხვევაში).

პედსაბჭოს სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წ (გათვალისწინებულია 6 გეგმიური სხდომა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში).

მრჩეველთა საბჭო - დირექტორის ბრძანება #01-03/50 (ა) 20 ოქტომბერი 2025 წელი - „მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“.
საბჭოს შემადგენლობაში შედის: დირექტორი და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედსაბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა.**

შრომითი ხელშეკრულებები: დამლაგებლის #01-15/23 2 სექტემბერი 2024 წელი. საქმისმწარმოებლის #01-15/30 31 ოქტომბერი 2025წ. საქმისწარმოებლის დანიშვნის ბრძანება #01-04/07 3 ნოემბერი 2025წ.
დირ. ბრძანება #01-03/32 17 ნოემბერი - შესყიდვების გეგმის რეგისტარციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ და სხვა. სკოლის პერსონალთან გაფორმებელი **შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ფუქციები შეესაბამება** ფუნქციების აღმწერი დოკუმენტის შინაარსს.

რჩევა: სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრუქტურის სქემაში მითითებულია მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. სკოლის საშტატო განრიგით არ არის გათვალისწინებული მტუკ-ის შტატი. სკოლის დოკუმენტში „სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების

მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია მტუკ-ი (ამ ფუნქციას რეალურად ასრულებს ექთანი). მიზანშეწონილია სკოლამ სტრუქტურის სქემა და სათანადო მარეგულირებელი დოკუმენტები მოარგოს სკოლის რეალობას და შეიტანოს შესწორება აღნიშნულ დოკუმენტებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურის სქემა - ორგანოგრამა
- დირექტორის ბრძანება #01-03/75 12 დეკემბერი 2025 წელი - „განთიადის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების შესახებ“.
- სკოლის პერსონალის მონაცემების ცხრილი - ისქულის მიხედვით
- **საშტატო განრიგის დამტკიცების ბრძანება #01-03/06 27 თებერვალი 2025 წელი.**
- თვითმმართველობის საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი #1 13 ოქტომბერი 2025 წელი.
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი #1 15 ოქტომბერი 2025 წელი.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #5 31 ოქტომბერი 2025 წელი – მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შესვლის შესახებ.
- სამეურვეო საბჭოს არჩევნების შესახებ განკარგულება და შემაჯამებელი ოქმი
- 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა
- დირექტორის ბრძანება #01-03/29 „დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ“.
- მრჩეველთა საბჭო - დირექტორის ბრძანება #7 28 თებერვალი 2019 წელი.
- დირ. ბრძანება #01-03/32 17 ნოემბერი - შესყიდვების გეგმის რეგისტარციაზე და მის შემდგომ კორექტირებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- საქმისწარმოებლის დანიშვნის შესახებ ბრძანება #01-04/07 3 ნოემბერი 2025წ.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი - შინაგანაწესის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ადამიანური რესურსების მართვის და უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლას პერსონალის მართვის პროცესები გაწერილი აქვს რამდენიმე დოკუმენტში.

სკოლას შემუშავებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი **პერსონალის მართვის პროცესების აღმწერი დოკუმენტი** - **„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“** - დირ. ბრძანება #01-03/73 11 დეკემბერი 2025 წელი. **დოკუმენტში აღწერილია შემდეგი საკითხები:** პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცესი; ახალი თანამშრომლების ადაპტაციის პროცესი/ეტაპები სამუშაო გარემოსთან; პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი და შეფასება; კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემის ერთობლივად შემუშავება, ხარისხის განვითარების ჯგუფის საგაკვეთილო დასწრება; პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშემწყობის პროცესები; მოტივაცია.

სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი, რომელშიც აღწერილია პერსონალის მართვის მარეგულირებელი პროცესები: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობა; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, ადგილი და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისების სახე, პასუხისმგებლობის სახე და მათი გამოყენების წესები; თ) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი.

2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში გამოყოფილია თავები: პერსონალის მართვა და განვითარება, ადამიანების და პროცესების უსაფრთხოება, მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები.

აღნიშნული დოკუმენტების შესწავლა იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

1. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა პერიოდულად ადგენს პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ რისკებსა და შეიმუშავებს მათზე რეაგირების გზებს. მაგ. სკოლის კონკრეტული თანამშრომლის ჯანმრთელობის რეაბილიტაციის პროცესის გახანგრძლივება, მასწავლებლის გამოუცხადებლობა სამსახურში წინასწარი გაფრთხილების გარეშე (რის გამოც, შესაძლოა, შეფერხდეს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა), ამა თუ იმ თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება არადამაკმაყოფილებლად და სხვა.

სკოლამ წარმოადგინა სკოლაში **დროებით არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების წესი - დირ. ბრძანება #01-03/04(ა) 27 იანვარი 2026 წელი.** წესი ითვალისწინებს: ჩანაცვლების პროცედურას, ჩანაცვლების სპეციფიკას პოზიციების მიხედვით, ჩანაცვლების დოკუმენტაციას და დაფიქსირებას, მონიტორინგსა და შეფასებას.

დირექტორთან გასაუბრებით დაზუსტდა სკოლაში არსებული შესაბამისი პრაქტიკის შესახებ - სკოლა ახდენს გაკვეთილის გადანაცვლებას კონკრეტულ სიტუაციაში (მასწავლებლის არყოფნის შემთხვევა), თუმცა ამას ოფიციალურად არ აღრიცხავს დოკუმენტურად - დირექტორის მოადგილე აკეთებს ჩანიშვნებს თავის სამუშაო წიგნაკში. ასევე ვაკანსიის გამო არსებული გაუნაწილებელი საგაკვეთილო საათების შემთხვევაში სკოლა ახდენს საათების დროებით გადანაწილებას სხვა მასწავლებელზე. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა **დირ. ბრძანება - მუსიკის საათების ვაკანსიის გამო საათების დროებითი გადანაწილების შესახებ - ბრძანება #01-03/35 12 სექტემბერი 2025წ.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტით (მე-6 მუხლი) გათვალისწინებულია კადრების მოზიდვა და შერჩევა. სკოლამ პერსონალის შერჩევისა და დასაქმებისას ხელმძღვანელობს თავისივე გაწერილი რეგულაციისა და კანონმდებლობის შესაბამისად. თუმცა ამ მუხლში არ არის დეტალურად აღწერილი საკონკურსო კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი. **სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის მექანიზმი -- კონკურსის ჩატარების წესი,** სადაც გაწერილია პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვის და დასაქმების პროცედურები. ასეთ წესს სკოლა ყოველ ჯერზე ამტკიცებს დირექტორის ბრძანებით ყოველი ახალი კონკურსის გამოცხადების დროს.

მტკიცებულებები: კონკურსის ჩატარების წესი - დირექტორის ბრძანება #01-03/85 (ა) 22 დეკემბერი 2025 წელი - „ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის - სპეციალური მასწავლებლის შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“. წესი ითვალისწინებს კონკურსის გამოცხადების ეტაპებს და პირობებს, კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის დოკუმენტი - დირექტორის ბრძანება #01-03/01 13 ინვარი 2025 წელი. აღნიშნული ბრძანების დანართი #1 არეგულირებს **მასწავლებლობის კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.**

სკოლას გაწერილი აქვს, თუ რა დოკუმენტებისგან შედგება პერსონალის პირადი საქმე. **პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ყველა ის დოკუმენტი, რაც სკოლას აქვს განსაზღვრული,** მათ შორის: ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და

ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები.

ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს შეისწავლეს კონკურსის გამოცხადების პროცედურები და დაათვალიერეს შესაბამისი ელექტრონული პორტალი. საკონკურსო კომისია ხელმძღვანელობს წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმებით, რომლებიც მოცემულია www.pedagogi.ge ელექტრონულ პორტალზე. **პერსონალის შერჩევის პროცედურების მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა:** დირ. ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნისა და ვადების და კონკურსის გამოცხადების შესახებ: დირ. ბრძანება #01-03/02 13 იანვარი 2025 წელი - „მუსიკის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკუნკურსო კომისიის შექმნის შესახებ“. (საკონკურსო კომისიაში შევიდა საგნობრივი ექსპერტი და ხელვაჩაურის რესურსცენტრის წარმომადგენელი).

ასევე წარმოადგინა საკონკურსო კომისიის ოქმები: საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #1 21 იანვარი 2025 წელი - კანდიდატების განაცხადების გადარჩევა. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2 23 იანვარი 2025 წელი - კონკურსში მონაწილე კანდიდატებთან გასაუბრება (კომისიასთან გასაუბრებაზე გამოცხადდა ერთი კანდიდატი, რომელმაც მიიღო დადებითი შეფასება). საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #3 23 იანვარი 2025 წელი - ღია კონკურსის შედეგების განსაზღვრა (მოწონებული კანდიდატი შერჩეულ იქნა მასწავლებლის პოზიციაზე და წარედგინა დირექტორს).

იმ შემთხვევაში, როცა სკოლაში დასაქმებულ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ყველა მასწავლებელს აქვს სრული საათობრივი დატვირთვა, დროის ეფექტურად გამოყენების მიზნით სკოლა პირდაპირ აცხადებს ღია კონკურსს. მტკიცებულება - დირ. ბრძანება #01-03/09 27 თებერვალი 2026 წელი - „სკოლაში ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების, კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

განთიადის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 20 მასწავლებელი (18 - უფროსი; 2 - მოწვეული, (მუსიკის მასწავლებელი - 9 სთ; დაწყებითის მასწავლებელი - 8 სთ, რომელსაც ასევე შეთავსებული აქვს საქმისმწარმოებლის პოზიცია) და 1 სპეციალური მასწავლებელი; სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა ხორციელდება უფროსის სტატუსის მქონე სპეციალური მასწავლებელის მიერ, რომლის ჩართულობით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ასევე კლასის დამრიგებლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად გაერთიანებულია ისგ ჯგუფებში. სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისად. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს

ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N 01-03/73), ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში.
ქიმიის სწავლება ხორციელდება ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ, რომელსაც აღნიშნულ საგანში დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია არ აქვს. ასევე, ბიოლოგიის მასწავლებელი ასწავლის გეგორაფიას (განათლება გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტი. ჩაბარებული აქვს ბუნებისმეტყველება და გეოგრაფიის გამოცდა 10-10 კრედიტზე). აღნიშნული გარემოება შესაბამისობაშია მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებულ გარდამავალ პერიოდთან, თუმცა საჭიროებს გათვალისწინებას სამომავლოდ, მოქმედი მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად.
სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირადი საქმეების და eschool-ის ბაზის გაცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლის დირექტორი სპეციალობით არის ბიოლოგი, თუმცა 2019 წლიდან სამოქალაქო განათლების მასწავლებელია. მისი საათობრივი დატვირთვა კანონმდებლობის შესაბამისია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, დასაქმებულთა ფუნქციების აღმწერ დოკუმენტაციასა და საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში აღწერილი პროცესი დაფუძნებულია გუნდური მუშაობის პრინციპებზე. სკოლაში **ფუნქციონირებს კოლეგიალური ორგანოები, რომელთა ოქმებშიც იკითხება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის გამოცდილება:**
1. მრჩეველთა საბჭო - წარმოდგენილია ოქმები: მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #3 29 დეკემბერი 2025 წელი - 2025-2026 ს/წ პირველი სემესტრის განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების განხილვა.
2. სამეურვეო საბჭო - წარმოდგენილია ოქმები: სხდომის ოქმი #1 9 სექტემბერი 2024 წელი. საკითხები: სამეურვეო საბჭოს სამუშაო გეგმის დამტკიცება, სკოლის ფილოსოფიის შეთანხმება, 2024-2025 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმება, დისციპლინურ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის წევრობის კანდიდატის არჩევის საკითხი და სხვა.
სხდომის ოქმი #7 8 დეკემბერი 2025 წელი. საკითხები - სკოლის ფინანსური საქმიანობის შესახებ 2025 წლის ანგარიშის მოსმენა, სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ 2025 წლის ანგარიშის მოსმენა, 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.

3. პედსაბჭო - წარმოდგენილია ოქმები: ოქმი #3 12 იანვარი 2026 წელი. საკითხები: 2025-2026 ს/წ I სემესტრის განხილვა, ელექტრონულ ჟურნალში მუშაობის შეფასება.

4. საგნობრივი კათედრები -წარმოდგენილია ოქმები: უცხო ენების კათედრის ოქმი #1 8 სექტემბერი 2025 წელი. საკითხები - კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, სასკოლო კურიკულუმების შემუშავება, წლის განმავლობაში ჩასატარებელი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა.

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა ოქმი #1 8 სექტემბერი 2025 წელი - 1. თავმჯდომარის არჩევა, 2. სამოქმედო გეგმის დამტკიცება, 3. რესურსების შერჩევა. 4. სასკოლო კურიკულუმების შემუშავება, 5. ღონისძიებების დაგეგმვა, საათების საორიენტაციო განაწილება. უცხო ენების კათედრა #1 8 სექტემბერი 2025 წელი, უცხო ენების კათედრის ოქმი #2 - ??? - 10 2025წ. ქართული ენის კათედრის ოქმი #1 10.09.2025წ. **სკოლა აწარმოებს საგნობრივი კათედრის სამუშაო ჟურნალს** (მაგ. დაწყებითი კლასების კათედრა - კათედრის დებულება, სხდომის ოქმები, სამუშაო გეგმები).

5. ხარისხის მართვის ჯგუფი - წარმოდგენილია ოქმები: ოქმი #2 20 იანვარი 2026 წელი - ჯგუფის მიერ პირველი სემესტრის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების განხილვა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის დირექტორის განცხადებით, პედაგოგიური სხდომების დროს, აქტიურად ხორციელდება წარმატების აღიარება და თანამშრომლების პროფესიული მიღწევების აღნიშვნა. ასევე, სკოლაში **დამკვიდრებულია „კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი“.** შესაბამისად, სკოლაში არსებული კოლეგიალური ურთიერთობები ხელს უწყობს მუდმივ პროფესიულ განვითარებას. კოლეგები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, რაც ხელს უწყობს სწავლების სხვადასხვა მეთოდების, სტრატეგიების და აქტივობების გაცვლას და შეფასებას, პედაგოგები ერთმანეთს ეხმარებიან პროფესიული გამოცდილების გაზიარებაში.

ურთიერთდასწრების და დასწრების მასალები: დაწყებითი კათედრის საქაღალდეში განთავსებულია კოლეგების ურთიერთდასწრების ცხრილი, ასევე დაწყებითების საგნებში კოლეგების შეფასების ფურცელი, რომელიც მოიცავს ისეთ მრავალფეროვან კრიტერიუმებს, როგორიცაა მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობა, მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლება და ჩართულობის დონე, პოზიტიური სასწავლო გარემო, ქცევის მართვა, ორგანიზება, დროის მენეჯმენტი, შეფასების რუბრიკების გამოყენება.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში მე-11 მუხლში - ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ორგანიზება - გათვალისწინებულია დირექტორის მოადგილის მხრიდან მასწავლებლებისათვის სამუშაო შეხვედრების მოწყობა პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

ამავე დოკუმენტის მე-16 მუხლით - მოტივაცია გათვალისწინებულია თანამშრომელთა აღიარება: თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობის აღიარებისა და გაზიარების მიზნით შესაძლებელია ჩატარდეს ერთობლივი შეხვედრა, ვებ-გვერდზე ან სოციალურ ქსელში განთავსდეს ინფორმაცია და ა.შ. სკოლამ დაათვალიერა სკოლის ფეისბუქ-გვერდი და აღმოაჩინა გამოცდილების გაზიარების შემთხვევები.

წარმატებული გამოცდილების გაზიარების მაგალითად სკოლამ მოიყვანა ჩართულობა აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში ,,პროექტი ჩემს გაკვეთილზე". აღნიშნულ პროექტში სკოლას უკვე ორი წელია ჰყავს გამარჯვებული პედაგოგი: 2024 წელს პროექტი ,,იისფერი სამყარო" - ქართული ენა და ლიტერატურა, ხოლო 2025 წელს - პროექტი ,,ინგლისური მეტია, ვიდრე გაკვეთილი" - ინგლისური ენა. სკოლის ფეისბუქ-გვერდზე სკოლას განთავსებული აქვს ინფორმაცია პროექტში წარმატებული მასწავლებლის შესახებ. თუმცა განთავსებული ინფორმაცია მშრალია და არ შეიცავს დეტალებს სასკოლო პროექტისა და მასწავლებლის მიერ მიღწეული წარმატებების შესახებ, რაც საინტერესო იქნებოდა დაინტერესებული პირებისათვის (მაგ. კოლეგებისათვის).

რჩევა: მიზანშეწონილია თანამშრომელთა აღიარება და წარმატებული გამოცდილების გაზიარება სკოლის სოციალურ ქსელში მოხდეს უფრო კვალიფიციური ფორმით (განთავსებული ინფორმაცია შეიცავდეს ცნობებს რა წარმატებას მიაღწია მასწავლებელმა და როგორ, რა მეთოდები გამოიყენა განხორციელებული აქტივობისათვის, რათა უფრო ეფექტური და პრაქტიკული გახდეს აღნიშნული ფორმატი).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი" - დირ. ბრძანება #01-03/73 11 დეკემბერი 2025 წელი.
- დირ. ბრძანება - მუსიკის საათების ვაკანსიის გამო საათების დროებითი გადანაწილების შესახებ - ბრძანება #01-03/35 12 სექტემბერი 2025წ.
- დირ. ბრძანება #01-03/02 13 იანვარი 2025 წელი - „მუსიკის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკუნკურსო კომისიის შექმნის შესახებ".
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #1 21 იანვარი 2025 წელი. - კანდიდატების განაცხადების გადარჩევა.
- სხდომის ოქმი #2 23 იანვარი 2025 წელი - კონკურსში მონაწილე კანდიდატებთან გასაუბრება.
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #3 23 იანვარი 2025 წელი - ღია კონკურსის შედეგების განსაზღვრა

- დირექტორის ბრძანება #01-03/85 (ა) 22 დეკემბერი 2025 წელი - „ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის - სპეციალური მასწავლებლის შტატზე ვაკანტური ადგილის შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.
- დროებით არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების წესი - დირ. ბრძანება #01-03/04(ა) 27 იანვარი 2026 წელი.
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #3 29 დეკემბერი 2025 წელი - 2025-2026 ს/წ პირველი სემესტრის განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების განხილვა.
- ხარისხის ჯგუფის ოქმი #2 20 იანვარი 2026 წელი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,** რომელიც ითვალისწინებს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენას. აღნიშნულის საჭიროებას სკოლა ხედავს იმისთვის, რომ **შეძლოს ზუსტი ინფორმაცია მიღება** თითოეული თანამშრომლის პროფესიული განვითარების საჭიროებებზე და მათ ძლიერ მხარეებზე.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-13 მუხლი - სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა - ითვალისწინებს სამუშაოს შესრულების ხარისხის მონიტორინგის პროცესს. **გათავლისწინებულია ობიექტური შეფასების სისტემის**

დანერგვა: მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება, ხარისხის ჯგუფის საგაკვეთილო დასწრება.

მე-14 მუხლის მიხედვით - შესრულებული სამუშაოს პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასება - პერსონალის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას უზრუნველყოფს სკოლის მხრიდან პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სისტემატური შეფასება. ეს შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფორმებით: უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ, თვითშეფასების სახით, შესაბამისი კითხვარების მეშვეობით, სამუშაო/საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება. მასწავლებელთა შეფასებას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. **შეფასება უნდა მოიცავდეს როგორც სწავლების პროცესის შეფასებას, ისე სხვადასხვა კომპონენტის ანალიზს,** მაგალითად, კლასის მართვისა და სასკოლო მიზნების მიღწევის ხარისხი, სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა პროცესების ანალიზს და სხვა.

მე-15 მუხლის მიხედვით - პროფესიული განვითარება - თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესების პირველი ეტაპია პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირება სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციების, თანამდებობრივი მოთხოვნების და ინდივიდუალური საჭიროებების ანალიზის საფუძველზე.

სამოქმედო გეგმაში დასახულია ამოცანა - სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების განხორციელება, კერძოდ გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით.

მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმები მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში (მე-6 მუხლი) - მასწავლებელთა შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

- სასწავლო პროცესის წარმართვის კომპეტენცია;
- სწავლების მეთოდების შერჩევა;
- შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება;
- საგნის შინაარსის ადეკვატური, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სწავლებისას გამოყენება;
- საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა.

მიუხედავად სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტში ასახული პერსონალის შეფასების საკითხებისა, პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები უფრო შაბლონურია, ზოგადია და კონკრეტიკის გარეშე ნაკლებად იძლევა ეფექტური შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. დოკუმენტებში მკაფიოდ არ ჩანს თანამშრომელთა შეფასების კონკრეტული მექანიზმები: შეფასების სახე, შეფასების პერიოდი და სისტემატური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის/პირისათვის, შემფასებლები (შემფასებელი განისაზღვრება პერსონალის ფუნქციებიდან გამომდინარე. ეს შესაძლოა იყოს: შესაბამისი სტრუქტურული პირი, მასწავლებელი და სხვა). **მკაფიოდ არ ჩანს როგორ უზრუნველყოფს** სკოლა **მონიტორინგის შედეგების ანალიზს და მათ გამოყენებას** პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ისეთი კონკრეტული მექანიზმების შემუშავება, რომლებშიც ასახული იქნება შეფასების სახე, შეფასების პერიოდი და სისტემატური ხასიათი, შეფასების კრიტერიუმები ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის/პირისათვის, შემფასებლები, მონიტორინგის შედეგების ანალიზის და მათი გამოყენების ფორმები/სახეები.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმაში - ადამიანური რესურსების სტრატეგიული მიზნის გასწვრივ გაწერილია ისეთი აქტივობები, რომლებიც ითვლისწინებს პერსონალის განვითარებას: მაგ. აქტივობა - პრევენციიული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა; ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება; გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირების გაზიარება. თუმცა **ამ აქტივობებში არ ჩანს კონკრეტული ქმედებები/ნაბიჯები, არ ჩანს აქტივობის კონკრეტული შინაარსი.** მაგ. რა ნაბიჯებში გამოოიხატება პრევენციიული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა ან/და ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება; ასევე არც სხვა დოკუმენტებში არ ჩანს რამდენ გაკვეთილს უნდა დაესწრონ წელიწადში, არ ჩანს მასწავლებლების საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების განრიგი (დაწყებითი კათედრის ოქმში მოცემულია მხოლოდ საგაკვეთილო დასწრებების შაბლონური ცხრილი), არ ჩანს აქტივობის დაზუსტტებული პერიოდი - სამოქმედო გეგმაში ნებისმიერი აქტივობის განხორციელების პერიოდად მონიშნულია ს/წლის ყველა თვე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე პერსონალის განვითარების მიზნით შეიმუშავოს კონკრეტული/ქმედითი გეგმა (ან ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მოცემულ აქტივობებში ასახოს კონკრეტული მონაცემები), სადაც ასახული იქნება სტრუქტურული ერთეულის/პირის კონკრეტული საჭიროება, ამ საჭიროებაზე რეაგირების კონკრეტული აქტივობა და პერიოდი.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლას აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული **ხარისხის მართვის მექანიზმი,** რომელიც ითვალისწინებს სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. კარიერული ზრდის შესაძლებლობები სკოლაში მოიცავს კათედრის წევრებს შორის სხვადასხვა საკონსულტაციო შეხვედრებს, კონფერენციებსა და ღია გაკვეთილების ორგანიზებას, ასევე ითვალისწინებს ყოველი წლის ბოლოს თითოეული მასწავლებლის მხრიდან თავისი მუშაობის ანგარიშის წარმოდგენას წინასწარ შემუშავებული და კათედრაზე დამტკიცებული ფორმის მიხედით კათედრის ხელმძღვანელთან, რომელიც ამზადებს ერთიან კათედრის ანგარიშს და წარადგენს პედაგოგიური საბჭოს შემაჯამებელ სხდომაზე. რაც ხელს უწყობს თანამშრომლების პროფესიული უნარების გაძლიერებას და მათ თანამშრომლობას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში - მე-7-8 მუხლებში გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები და აქტივობები. ასევე გაწერილია თანამშრომელთა ვალდებულებები ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესში, პირები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან ინტეგრაციის პროცესში და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის დირექტორთან გასაუბრებით - პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად ან ზეპირსიტყვიერად, პერსონალის მხრიდან. სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილი აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების და მათი წახალისების მექანიზმი, შინაგანწესში კი გაწერილია წახალისების ფორმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი - დირ. ბრძანება #01-03/73
- ხარისხის მართვის მექანიზმი

- 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა
- სკოლის სოციალური გვერდის ლინკი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს **„ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი** - დირ. ბრძანება #01-03/77 12 დეკემბერი 2025 წელი. დოკუმენტი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს – გულისხმობს შემდეგი პროცედურების დაცვას: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, გადახედვა/გაუმჯობესებას.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი - დირ. ბრძანება #01-03/39 12 სექტემბერი 2025 წელი - „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“. ჯგუფში 9 მასწავლებელი შედის და ჯგუფს ევალება:

ა) მასწავლებელთა შიდა შეფასება - მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციის შესაბამისობის დადგენა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან. ბ) მასწავლებლებთან ერთად ყოველი სემესტრის/სასწავლო წლის ბოლოს პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვა და მათთვის უკუკავშირის მიცემა.

გ) მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვება, მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე.

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი #2 20 იანვარი 2026 წელი - მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის მიერ პირველი სემესტრის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების განხილვა. **ხარისხის ჯგუფის ოქმში ვრცლადაა ასახული მასწავლებელთა მიერ განხორციელებული სხვადასხვა ტიპის აქტივობები, თუმცა ოქმი არ შეიცავს კონკრეტულ მონაცემებს ჩატარებული ღონისძიებების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლას შემუშვებული აქვს დოკუმენტი „ძირითადი და დამხმარე მმართველობითი პროცესები და მათი აღმწერები“. დოკუმენტში მე-4 მუხლი მოცემულია **მმართველობითი ერთეულების აღმწერები** (სამეურვეო საბჭოს ფუნქციები, დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, ასევე პედაგოგიური საბჭოს და დისციპლინური კომიტეტის ფუნქციები). **მე-5 მუხლი არეგულირებს ძირითად პროცესებს:** ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება - სასკოლო სასწავლო გეგმის საშუალებით, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობა, ფინანსების მართვა. **მე-6 მუხლში მოცემულია დამხმარე პროცესები:** უსაფრთხოების წესების დაცვა, სანიტარული ნორმების დაცვა, სასწავლო რესურსების მართვა, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. **დოკუმენტის ბოლოს მე-7 მუხლში - დოკუმენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა - მითითებულია სხვა სკოლის სახელწოდება.**
ასევე სკოლას აღწერილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი - შემუშავებულია „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“.
ასევე სკოლას შემუშავებული აქვს პირველადი დახმარების გაწევის წესი, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვა შესწავლილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

რჩევა: მიზანშეწონილია დოკუმენტების მომზადებისას სკოლა მეტი ყურადღებით მოეკიდოს შაბლონურ დოკუმენტებზე მუშაობას და გამოყენებული მასალა გადაამუშავოს იმგვარად, რომ დოკუმენტი რეალურად იყოს მორგებული სკოლის კონტექსტსა და საჭიროებებს და თავიდან აირიდოს ტექნიკური თუ სხვა ხასიათის შინაარსობრივი უზუსტობების დაშვება.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა დაწესებულებას გაწერილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისი შიდა რეგულაციით. სკოლას აქვს **„სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“** - დირ. ბრძანება #01-03/40(გ) 12 სექტემბერი 2026 წელი. დოკუმენტით დარეგულირებულია განცხადების/საჩივრის წარდგენის წესი და პროცედურა, განცხადებისა და საჩივრის განხილვის ვადები ცალ-ცალკე, ასევე მოცემულია დისციპლინური საჩივრის განხილვის ზოგადი წესი, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრება. ცალკე თავშია გამოყოფილი მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესი, შიდა სასკოლო გამოცდის შედეგების გასაჩივრება, ასევე გაწერილია წესის გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის.

შესწავლილი მასალებით და მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, როგორც მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების, როგორც შიდა სასკოლო, ასევე სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულის სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვის პრინციპები. შინაგანაწესში გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. შინაგანაწესში ცალკეა გაწერილი მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, ცალკეა - მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება. თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. **დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა დაწესების გაცნობის მიზნით.** თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“ - დირ. ბრძანება #01-03/40(გ) 12 სექტემბერი 2026 წელი.
- შინაგანაწესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტი - დირ. ბრძანება #01-03/77 12 დეკემბერი 2025 წელი.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის სხდომის ოქმი #2 20 იანვარი 2026 წელი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს **„საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“.** დოკუმენტი განსაზღვრავს შიდა და გარე საკომუნიკაციო არხებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში საზოგადოების როლის გაზრდისათვის, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირებს, საკომუნიკაციო საშუალებებს, უკუკავშირის მიღების გზებს. დოკუმენტი ითვალისწინებს უკუკავშირის ანალიზის შედეგების გამოყენებას შემდგომი განვითარებისათვის.

სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის **ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს სოციალური ქსელი,** სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ **მშობელთა კრებებს,** სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ.

როგორც წესი, სკოლა იღებს უკუკავშირს ზეპირსიტყვიერი სახით, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე, მათ საჭიროებებსა და რისკ-ფაქტორებზე. **სამოქმედო გეგმაში დასახულია ამოცანა** - სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების განხორციელება, კერძოდ გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის კითხვარების შემუშავება, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა პერიოდული გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საჭიროებების კვლევის მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში. კერძოდ, **სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები** - პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. მათი ფუნქციები გაწერილია სკოლის დოკუმენტში „სტრუქტურული ერთეულები და მათი ფუნქცია-მოვალეობები“, ცალკეულ შემთხვევაში შემუშავებულია დებულებები (კათედრის დებულება, თვითმმართველობის დებულება). ყველა პედაგოგი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. კათედრები და პედაგოგიური საბჭო მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით. ოქმების შესწავლით იკვეთება, რომ კოლეგიური ორგანოების წევრები აფიქსირებენ საკუთარ აზრს და შესაძლებლობა აქვთ გასცენ სხვადასხვა რეკომენდაციები. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, საგნობრივი კთედრების ოქმები, მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პედსაბჭოს ოქმები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- კათედრების ოქმები
- მრჩველთა საბჭოს ოქმები
- თვითმმართველობის არჩევნების საბაზო საფეხურის თვითმმართველობის წევრთა არჩევნების ოქმი.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დისციპლინური კომიტეტის არჩევისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელის წარდგენის შესახებ
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შესახებ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სამუშაო გეგმის დამტკიცებაზე;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი სამუშაო და სასკოლო სასწავლო გეგმების დამტკიცებაზე, სტრატეგიული და შვიდწლიანი გეგმების შეთანხმებაზე;
- სკოლის FB გვერდის ლინკი https://www.facebook.com/gantiadisskola
- სკოლის საგნობრივი კათედრის სამუშაო ჟურნალი (მათემატიკა);

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას და უსაფრთხო გარემოს. **სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი,** დამტკიცებულია **სამეურვეო საბჭოს სხდომაზე - ოქმი #2 8 სექტემბერი 2025 წელი. დოკუმენტი მოიცავს უსაფრთხოების დაცვის სისტემის პრევენციულ და რეაგირების მექანიზმებს, როგორიცაა:** მასწავლებელთა მორიგეობა (წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით), მრჩეველთა საბჭო, მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის ვადაზე ადრე დატოვება დირექციის წინასწარი ინფორმირების შემთხვევაში, უსაფრთხოების ვიდეო-სათვალთვალო კამერების კონტროლი. ასევე საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, საევაკუაციო გეგმების გასაჯაროება, ევაკუაციის პროცედურები, ცეცხლმაქრების დამონტაჟება, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა, ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა.

სკოლის შენობა უზრუნველყოფილია 24 საათიანი დაცვით: სკოლას ჰყავს დარაჯი (გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება), ასევე სკოლის ტერიტორია შემოღობილია და დაცულია უცხო პირებისგან. სკოლა აღჭურვილია ,,ავტომატური ფოტო და ვიდეოტექნიკის

ტექნიკური მახასიათებლებისა და მათი ექსპლუატაციის წესის, აგრეთვე იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ავტომატური ფოტო-ან/და ვიდეოტექნიკის განთავსება/დამონტაჟება“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №101 დადგენილებისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებების შესაბამისი ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემით. კერძოდ, სკოლაში დამონტაჟებულია **ვიდეო სათვალთვალო კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე,** რაც დამატებით უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს. გარე კამარების რაოდენობა - 6, შიდა კამერების რაოდენობა - 6. კამერები უზრუნველყოფს სკოლის ეზოს მთელი პერიმეტრის, ასევე სკოლის დერეფნის მთელი პერიმეტრის კონტროლს. **ვიდეო-სათვალთვალო მოწყობილობის მონიტორი დამონტაჟებულია დირექტორის კაბინეტში.**

სკოლის ეზოს ცენტრალური შესასვლელი დაქანებულია და მოკირწყლულია, შენობის ცენტრალურ კართან ადგილი სრულად მოსწორებულია. სკოლის უკანა მხარეს - ცალკე მდგომი სპორტდ-დარბაზის ნაგებობის მიმდებარედ არის ეზოდან გასასვლელი კარი, რომელიც გარეთა სივრცესთან დაკავშირებულია რკინის ჭიშკრით. აღნიშნული კარი უკავშირდება ერთი ადგილობრივი მაცხოვრებელის ეზო კარ-მიდამოს, თუმცა კარის დაკეტვის შემთხვევაში სკოლის სივრცე სრულად იზოლირებულია საცხოვრებელი კარ-მიდამოდან (ვიზუალური დათვალიერებით მეზობელს ცალკე სკოლისაგან იზოლირებული შესასვლელი უნდა ჰქონდეს, იგივე განაცხადა სკოლის დირექციამ).

სკოლის დირექტორის **ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,** რომელიც ითვალისწინებს ყველა სახის საგანგებო სიტუაციას (მაგალითად, ბუნებრივი კატაკლიზმები, ტექნიკური გადახრები ან სხვა ფაქტორები). **აღნიშნული გეგმა შეთანხმებულია შესაბამის ორგანოებთან:**
მტკიცებულებები: დირექტორის ბრძანება #01-03/87 25 დეკემბერი 2025 წელი - „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“. ბრძანება #01-03/86 24 დეკემბერი 2025 წელი - „სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ“. **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი სკოლისადმი** #MIA 3 25 04324008 25.12.2025წ. (აღნიშნული გეგმა შეესაბამება ,,საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ.)

სკოლა ფლობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან, რომელიც შეეხება შენობის ძირითადი კორპუსის ექსპლუატაციის უსაფრთხოების საკითხებს. **დასკვნა #5007881625 გაცემულია 2025 წლის 24 დეკემბერს** და მკაფიოდ იკითხება: სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ვიზუალურად შენობას არ აღენიშნება დეფორმაციები ან სხვა რაიმე სახის დაზიანებები, რაც საფრთხეს შეუქმნის შენობის შემდგომ უსაფრთხო ექსპლუატაციას.

სკოლას არ აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასაბუთებულ დასკვნა, თუმცა სკოლას აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ - სკოლამ წერილობით მიმართა შპს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურს - წერილი #MES7250001611457 14.11.2025 წელი, რომლითაც სკოლა ითხოვს დასკვნას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ. სკოლა ელოდება პასუხის მიღებას აღნიშნული საკითხის შესახებ.

გარდა ძირითადი სასწავლო კორპუსისა, სკოლას ეზოში აქვს **ახლადაშენებული სპორტული დარბაზი.** დირექტორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სპორტ-დარბაზის შენობაში სკოლა შევიდა 2024 წლის დასაწყისში, თუმცა **სკოლას არ მიუღია არანაირი დოკუმენტი სპორტული დარბაზის შენობის თაობაზე** და შესაბამისად არა აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი. სპორტ-დარბაზი სრული დატვირთვით ფუნქციონირებს, თუმცა ექსპერტებმა ვიზიტის პროცესში ვერ დააზუსტეს სრულად დასრულებულია თუ არა სამუშაოები. სკოლამ **2023 წელს 5 ოქტომბერს წერილობითა მიმართა ინფრასტრუქტურის სააგენტოს** სპორტ-დარბაზში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით. დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ამჟამად **მიმდინარეობს სპორტ-დარბაზის შენობის ჩაბარების პროცესი, რომლის დასრულების შემდეგაც სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოების ყველა ზომის დაცვას** (ექსპლუატაციის დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა).

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის შემდეგი აქტივობები:

1. სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ მოიცავს დაწესებულების სრულ პერიმეტრს, კერძოდ მასში არ შედის სპორტული დარბაზის შენობა.
2. სკოლას შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა არ მოიცავს დაწესებულების სრულ პერიმეტრს, კერძოდ მასში არ შედის სპორტული დარბაზის შესახებ ინფორმაცია
3. სკოლას საჯარო რეესტრში მონაცემები აქვს დასაზუსტებელი/გასაახლებელი, სკოლის ტერიტორიაზე სპორტული დარბაზის აგების გამო, რომელიც არ არის ასახული საჯარო რეესტრის ამონაწერში.

სკოლას არა ჰყავს სკოლას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება გადამზადების ვადიანი სერტიფიკატი/დიპლომი. სკოლას შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც მას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით.

რეკომენდაცია: სკოლას მიეცეს რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები:

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის სრულყოფა (სპორტული დარბაზის ჩათვლით) და უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმება - 12.29.2026წ.

2. სკოლის მიერ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება ყველა შენობა-ნაგებობისთვის (სპორტული დარბაზის ჩათვლით) – 12.29.2026წ.

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლას შემუშავებული აქვს „სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“ - დირექტორის ბრძანება #01-03/36 12 სექტემბერი 2025წ.

შენობაში 2023 წლიდან ფუნქციონირებს **სამედიცინო კაბინეტი,** რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტით. **სკოლას ჰყავს კვალიფიციური ექთანი.** სპეციალობა - სამკურნალო საქმე, კვალიფიკაცია - ფერშალი/ექთანი (დაამთავრა ბათუმის სამედიცინო კოლეჯი). ექთანს აქვს საბავშვო ბაღში ექთნად მუშაობის გამოცდილება. ექთანთან გაფორმებულია სათანადო შღომითი ხელშეკრულება, რომელშიც **ექთნის ფუნქციები განსაზღვრულია** 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. **ექთანი შერჩეულია საკონკურსო წესით (შემოსული განაცხადების გათვალისწინებით), 2025 წელს სამედიცინო პერსონალზე სხვა კონკურსი არ გამოცხადებულა.**

ექთანი აწარმოებს 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს (გაწეული სამედიცინო მომსახურების, სამედიცინო შემთხვევებისა, დახარჯული და ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვას.). სკოლაში, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას **უზრუნველყოფილია ექთნის ხელმისაწვდომობა.**

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სამედიცინო კაბინეტი და ინვენტარი. მოცემულ ეტაპზე სკოლას არ მიუღია სამედიცინო აღჭურვილობა ინფრასტრუქტურის სააგენტოსაგან ან სამინისტროსაგან. სკოლამ თავისი ხარჯით შეიძინა სამედიცინო ინვენტარი. სამედიცინო აღჭურვილობა შეესაბამება 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ მოთხოვნებს.

მტკიცებულებები: ხელშეკრულება #5 26 იანვარი 2023 წელი - სამედიცინო აღჭურვილობის საქონლის შესყიდვის შესახებ (**მიღება**-ჩაბარების აქტი 28 ივნისი 2023 წელი - სამედიცინო კაბინეტში განთავსებული აღჭურვილობის შესახებ).
ხელშეკრულება #07 მარტი 2026 წელი - ბლოკის ფარდა-შირმის შესყიდვის შესახებ (**მიღება**-ჩაბარების აქტი მარტი 2026 წელი - შირმის შესახებ).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი #1.2. სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია სკოლამ გამოაცხადოს კონკურსი ექიმის პოზიციაზე.

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და პრევენციულ ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს სხვადასხვა საშუალებებით: სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. სკოლაში დადგენილია მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს შენობაში და მის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი ორი პირი,** ერთ-ერთს (სპორტის მასწავლებელი) აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგი და მიღებული აქვს მანდატურის სამსახურის შესაბამისი სერტიფიკატი. სკოლამ წარმოადგინა **მანდატურის სამსახურის წერილი #332655 19.03.2026 წელი,** რომლითაც დასტურდება რომ სკოლის მასწავლებელმა რ.ც. 2019 წელს გაიარა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მოსამზადებელი ტრენინგი.

სკოლის დირექტორის ბრძანებით **დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი** მოიცავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს, ასევე განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.

სკოლას ჰყავს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კოლეგიური **ორგანო-მრჩეველთა საბჭო.** სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება.

მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #3 29 დეკემბერი 2025 წელი - 2025-2026 ს/წ პირველი სემესტრის განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კუთხით განხორციელებული ღონისძიებების განხილვა.

1. სკოლასთან ახლოს გადის საავტომობილო გზა, სადაც გადაადგილდება მძიმე ტექნიკა და სატვირთო მანქანები. მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სკოლამ დაგეგმა მასწავლებლების მორიგეობა, რომლებიც უნდა განახორციელონ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი, სკოლის ტერიტორიის დაცვა უცხო პირთა შემოსვლისაგან, სასწავლო პროცესის დასრულებამდე მოსწავლის მიერ სკოლის ტერიტორიის დატოვების არდაშვება შესაბამისი ნებართვის გარეშე.

2. სკოლას მე-2 სემესტრში დაგეგმილი აქვს საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გატარება ისეთ საკითხზებზე, როგორიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება), ოჯახში ძლადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. სხდომაზე **განსაზღვრეს აღნიშნულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი პირები - კლასის დამრიგებლები და დირექტორის მოადგილე.**

სკოლამ წარმოადგინა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მტკიცებულებები:

1. სკოლის დირექტორის ანგარიში მრჩეველთა საბჭოსთან 2025-2026 ს/წ განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით სკოლაში გატარებული აქტივობების შესახებ.
2. **დირექტორის ბრძანება #01-03/31 8 სექტემბერი 2025 წელი** - უსაფრთხოებასა და საზ. წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ.
3. მოსწავლეთა და მასწავლებელთა კითხვარები
4. მოსწავლეებთან ჩატარებული ღონისძიებების (ბულინგის ან/და ძალადობის თემაზე) ამსახველი მასალები (მოსწავლეთა ხელით შექმნილი პლაკატები და ნახატები, სხვადასხვა კლასის სადამრიგებლო პროგრამის მასალები).

სკოლას აქვს ვიზიტორთა შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვის ჟურნალი (ხელნაწერი სახით), რომელიშიც აღრიცხავს გარეშე პირთა და შემომსვლელთა მონაცემებს. თუმცა ჟურნალის დათვალიერებით გაირკვა, რომ მასში აღირიცხება მხოლოდ სკოლის შენობაში საგანგებო სტუმრიანობის შემთხვევები (როცა მოსწავლეებთან ხდება ცალკეული უწყების წარმომადგენელთა შეხვედრები) და არა ყოველდღიურად მიმდინარე მოძრაობა. **სკოლას შემუშვებული აქვს სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის მე-4 მუხლი (პერსონალური მონაცემების დამუშავება) ითვალისწინებს ვიზიტორების შესახებ ინფორმაციის დამუშავებას სკოლის მიერ: ვიზიტორის სახელი, გვარი, შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის დრო, ვიზიტის მიზეზი და ვიდეო-ჩანაწერი. აღნიშნული არ შეესაბამება სკოლის შენობაში ვიზიტორთა შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვის ჟურნალის გრაფებს.**
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს ვიზიტორთა შემოსვლისა და გასვლის აღრიცხვის ჟურნალი და სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“.

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, არ ჰყავს ფსიქოლოგი. მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებლები და მასწავლებლები უზრუნველყოფენ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევას. სკოლა მის ხელთ არსებული საშუალებებით ახდენს მოსწავლეების **ფსიქოლოგიური და ემოციური საჭიროებების იდენტიფიცირებას,** შედეგების შეფასებას, მოსწავლისთვის **ფსიქოლოგიური მომსახურების მიწოდებას.**

მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით **სკოლას შემუშავებული აქვს** საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით **დამტკიცებული „ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“,** განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე **უფლებამოსილი პირი** (დირ. ბრძანება #01-03/12 10 მარტი 2025 წელი). თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული სახალხო დამცველის, 112-ის საკონტაქტო ნომრები.

სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია:

- **მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #2 17 ნოემბერი 2025 წელი -** სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფისათვის სკოლა გეგმავს მოსწავლეების ინფორმირებას ძალადობის, დისკრიმინაციის და ბულინგის შესახებ **- საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას 2925-2026 ს/წ პირველ სემესტრში.**
- **მრჩველთა საბჭოს სხდომის ოქმი #1 20 ოქტომბერი 2025 წელი -** 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის დამტკიცება და განსახორციელებლი ღონისძიებების განხილვა.
- **მრჩეველთა საბჭოს სამოქმედო გეგმა: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულებით:** სკოლის შიდა და გარე ტერიტორიის დაცვის კონტროლი, მოსწავლეთა სკოლაში დასწრებისა და დროულად გამოცხადების მონიტორინგი, ტოლერანტული და პოზიტიური გარემოს შექმნა, მოსწავლეთა და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ორგანიზება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმის დოკუმენტი - დამტკიცებულია **დირექტორის ბრძანებით #01-03/81 17 დეკემბერი 2025 წელი.** დოკუმენტით გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სკოლაში არსებულ ყველა სივრცეში ხორციელდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის კონტროლი. დირექტორის ბრძანება #01-03/82 17 დეკემბერი 2025 წელი - სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებზე **ზედამხედველი პირის განსაზღვრის შესახებ.** ასეთ

ზედამხედველ პირად განსაზღვრულია სკოლის ექთანი. გასაუბრების დროს ექთანმა დაადასტურა, რომ ის ახორციელებს მონიტორინგს.

სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარული რესურსების გამოყენებით. სკოლაში საშტატო განრიგით გათვალისწინებულია დამლაგებლის საშტატო ერთეული. მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია შესაბამისი ვალდებულებები. სკოლაში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები საკლასო ოთახებში, დერეფნებში, სხვადასხვა სივრცეებში, მათ შორის სველ წერტულებში და ასევე გარე პერიმეტრზე.

სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშო. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სველ წერტილებში.

თუმცა ვიზიტის დროს ვაჟების სველ წერტილში იყო მცირე დაზიანება (წყლის ჩამრეცხი პლასმასის მილი უშვებდა წყალს). სველი წერტილები საჭიროებს კეთილმოწყობას. სკოლის დირექტორის განცხადებით, შესაბამისი პროექტი შედგენილია განათლების სამინისტროში, მიმდინარე წელს სკოლაში უკვე იმყოფებოდნენ გასაუბრებაზე და დირექტორმა ხელი მოაწერა რეაბილიტაციის პროექტს, სამუშაოების განხორციელება დაეგმილია მიმდინარე ზაფხულს (ტუალეტების და ეზოს კეთილმოწყობა).

აღნიშნულის დასტურად სკოლამ წარმოადგინა **წერილი #MES 9 25 0001831842 24.12.2025წ.** განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსადმი შესაბამისი დანართით (სკოლების შენობების ინფრასტრუქტურის შესახებ). შესასრულებელ სამუშაოების ჩამონათვალსში მითიტებულია სკოლის ეზოს კეთილმოწყობა და საპირფარეშოების ხელახალი რეაბილიტაცია, ასევე სპორტული დარბაზის დასრულება-მოწესრიგება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია, სკოლას ჰქონდეს ინფრასტრუქტურაზე მორგებული დასუფთავებისა და გამართულობის შემოწმების გრაფიკი - სპეციალურად შედგენილი ფორმა, რომლითაც აღირიცხება გრაფიკის მიხედვით ჩატარებული საზედამხედველო აქტივობები შესაბამისი თარიღის მითითებით და გამოვლენილი საჭიროებები.

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ''. წარმოდგენილია **მასწავლებლების თანხმობის ფორმა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.** სკოლას

პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები გაწერილი აქვს **მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.** წარმოადგინეს მშობელთა **თანხმობის ფორმები** - მოსწავლეებისათვის ფოტო-ვიდეო გადაღებაზე.

სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას შემუშავებული აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა - დამტკიცებულია **დირექტორის ბრძანებით #01-03/30(ა) 8** სექტემბერი 2025 წელი. რომლითაც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესს და მონიტორინგის მექანიზმს. მექანიზმი ითვალისწინებს მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენების შემთხვევაში, ასევე ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვას ვიდეო-თვალთვალის განხორციელებისას, მონაცემების დაცვას შენობაში შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას. აგრეთვე მონაცემების დაცვას მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას. პერსონალური მონაცემების დაცვის წესში აღწერილია, თუ რომელი მონაცმები მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, ასევე, მათი დამუშავების წესი და დეტალურად არის წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლას ჰყავს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** - რესურსცენტრის წარმომადგენელი - **რესურსცენტრის წერილი #1544275 06.11.2025 წელი.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რომელიც მოიცავს: ანტივირუსული პროგრამების უზრუნველყოფას; პერსონალური ინფორმაციის დაცვას. სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. ამისათვის სკოლას მომაგრებული ჰყავს აიტი მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკურ მომსახურებას.

ინფორმაციის დაცვის მექანიზმები ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის დამტკიცების შესახებ“.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლამ პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობას შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით. ამისათვის **სკოლა შემუშავებული აქვს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები (სკოლამ წარმოადგინა შევსებული კითხვარები)**. სკოლის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების შესაბამისად, სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი“ - დირექტორის ბრძანება #01-03/36 12 სექტემბერი 2025წ.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი შინაგანაწესის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, ადამიანური რესურსების მართვის და უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის ბრძანება #01-03/81 17 დეკემბერი 2025 წელი - სანიტარულ - ჰიგიენირი ნორმების დაცვა
- **მანდატურის სამსახურის წერილი #332655 19.03.2026 წელი** - უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ტრენინგების გავლის შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო ექსპერტის დასკვნა;
- წერილი სახანძრო უსაფრთხოებაზე
- დირ. ბრძანება #01-03/12 10 მარტი 2025 წელი - რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
- დირექტორის ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ
- დირექტორის ბრძანება - სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ;
- თანხმობის ფორმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე

- **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი** - რესურსცენტრის წარმომადგენელი - **რესურსცენტრის წერილი #1544275 06.11.2025 წელი.**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა მდებარეობს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადში. სკოლამდე მისასვლელი გზა მუნიციპალური ცენტრიდან სოფლამდე მოასფალტებულია და მოკირწყლულია. **სკოლის შენობა აშენებულია 1923 წელს - 2023 წელს სკოლას 100 წელი შეუსრულდა. სკოლის შენობა რეაბილიტირებულია 2022 წელს** სსიპ ინფრაქტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში: კეთილმოეწყო შიდა სივრცეები, კარებები და იატაკები, აშენდა სპორტული დარბაზის შენობა და მოეწყო ღია სპორტული მოედანი, გარეტა სივრციდან საპირფარეშოები შემოვიდა სკოლის შენობის შიდა სივრცეში. გამოიცვალა სახურავი, გაკეთდა ფასადი, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა (დიზელის საწვავზე). **მიმდინარე წელს დაგეგმილია დამატებითი სარემონტო სამუშაოები (სველი წერტილებისა და სკოლის ეზოს კეთილმოწყობა),** პროექტი შედგენილია, სკოლაში 2026 წლის დასაწყისში ვიზიტით იმყოფებოდნენ დასათვალიერებლად გასაუბრებაზე და სკოლის დირექტორმა ხელი მოაწერა პროექტის დოკუმენტს.

სკოლის შენობა ორი ერთმანეთისაგან იზოლირებული ნაგებობისაგან შედგება: ერთი ნაგებობა - სკოლის ორსართულიანი ძირითადი სასწავლო კორპუსია, მეორე ნაგებობა - ცალკე მდგომი სპორტული დარბაზია. ძირითად სასწავლო კორპუსში განთავსებულია ყველა საკლასო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო და დირექციის კაბინეტი. ცალკე მდგომ სპორტ-დარბაზში განთავსებულია ბიბლიოთეკა, რესურს-ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.
სკოლის საკუთრებაში არსებული ფართი შეადგენს 2752 კვ.მ , შენობის ფართი - 495, 8. სკოლა უზრუნველყოფილია საკლასო ოთახებით, გათბობის სისტემით, სასმელი წყლით, ფართო დერეფნებით, სკოლის ეზოთი, ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, სამედიცინო კაბინეტით, კომპიუტერული ლაბორატორიით, ღია სპორტული მოედნით და სპორტული დარბაზით (**ცალკე მდგომი შენობა).** სპორტ-დარბაზის შენობაში სკოლა შევიდა 2024 წელს, თუმცა სკოლის დირექტორის განცხადებით, ნაგებობა ოფიციალურად არ არის შესული ექსპლუატაციაში - სკოლას ამ ეტაპზე არ გააჩნია რაიმე სახის დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი), შესაბამისად არა აქვს აზომვითი ნახაზი და არ არის დაზუსტებული შესაბამისი სივრცეების ფართები.

სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია 5 საკლასო ოთახი, მეორე სართულზე - 7 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებს ყველას აქვს ბუნებრივი განათლება, თუმცა ფართის მიხედვით განსხვავებულია: ზოგიერთი ოთახი ორ ფანჯრიანია (თავსდება 16-18 მოსწავლე), ზოგიერთი ერთ ფანჯრიანი (12-14 მოსწავლე).
სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, რომელიც მუშაობს დიზელის საწვავზე. საქვაბე მოწყობილობის შენობა მდებარეობს სკოლის უკანა ეზოში სასწავლო კორპუსიდან იზოლირებულად.
ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰყავდა 12 ფინანსური კლასი (თითო პარალელი). სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა მოთხოვნილი აქვს 200 მოსწავლეზე, საკლასო ოთახების რაოდენობა და თითოეული ოთახის ფართი (მიუხედავად ოთახების არასატანდარტული ფართებისა) საკმარისია მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობისათვის ერთცვლიანი სწავლების პირობებში. სკოლას აქვს საკმარისი საკლასო ინვენტარი (მერხები, სკამები, დაფები და სხვა). სკოლამ წარმოადგინა ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტები.
სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მიერ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განახლებული მონაცემების შეტანას (სპორტული დარბაზის ჩათვლით), უძრავი ქონების ამონაწერის განახლებას.
რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელება - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განახლებული მონაცემების შეტანა (სპორტული დარბაზის ჩათვლით), უძრავი ქონების ამონაწერის განახლება დათქმულ ვადაში 29.12.2026წ.
ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს **ლაბორატორიის გამოყენების წესი და ბიბლიოთეკის დებულება.** სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას. სკოლა გეგმავს სასკოლო აქტივობებს სკოლის სხვადასხვა სივრცეში - ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში, სპორტულ დარბაზში, ღია სპორტული მოედანზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია ცალკე მდგომ ნაგებობაში - სპორტ-დარბაზის შენობაში. საბიბლიოთეკო სივრცე გამორჩეულია თავისი ორიგინალურობით - ინტერიერი, ფანჯრები, ინვენტარი. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი, რომელშიც მკითხველები არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებ, მონაწილეობენ კონკურსებში, შეუძლიათ წიგნების გატანაც და ადგილზე სარგებლობაც.

სკოლას საშტატო განრიგით გამოყოფილი ჰყავს ბიბლიოთეკარის შტატი. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება #01-15/25 2 სექტემბერი 2024 წელი. ბიბლიოთეკარს გავლილი აქვს პროფესიული მომზადების 420 საათიანი პროგრამა (აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა 2023 წელი).

ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია როგორც დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ასევე სახელმძღვანელოები. წიგნად ფონდში შედის: 1. უცხოელი ავტორების ლიტერატურა, რომელთა აღრიცხვა წარმოებს ცალკე საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკა 2024 წლიდან გადმოვიდა ახალ ნაგებობაში და ამ დროიდან დაიწყო საინვენტარო წიგნის წარმოება - სულ 433 ცალი. 2. ქართველი ავტორების წიგნები - შემეცნებითი და მხატვრული - სულ 368 წიგნი. წიგნები დამუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, იწარმოება საინვენტარო წიგნი. ბიბლიოთეკას არა აქვს ელექტრონული აღრიცხვიანობა, თუმცა სკოლას დაგეგმილი აქვს მისი დაწყება. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 1 კომპიუტერი და 1 პრინტერი.

სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება - დირ. ბრძანება #01-03/83 17 დეკემბერი 2025 წელი, რომელიც ითვალისწინებს მკითხველის მიერ რესურსის გატანა-დაბრუნების მარეგულირებელი ნორმებს, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესებს, მუშაობის განრიგს, ბიბლიოთეკარის ფუნქციებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და სხვა.

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლის მოსწავლეებისა და მუნიციპალიტეტში არსებული სხვა სკოლებისთვის ხელვაჩაურის რესურსცენტრის ორგანიზებით სოფ. განთიადის სკოლაში ჩატარდა წიგნის კითხვის კლუბი. წიგნის კითხვის კლუბი რეგულარულად ტარდება, ბიბლიოთეკაში ტარდება სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებული აქტივობები. სკოლის ბიბლიოთეკარი ბიბლიოთეკაში პერიოდულად ატარებს სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მისი ხელმძღვანელობით მე-5 კლასში შექმნილია კითხვის მოყვარულთა კლუბი, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაზრდას. მასალები ატვირთულია სკოლის ფეისბუქ-გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის შენობა, ღია სივრცე და ინვენტარი ისეა მოწყობილი, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **პირების გადაადგილება და ხელმისაწვდომობა** კურიკულუმით განსაზღვრულ ან/და სხვადასხვა აქტივობის შესაბამის სივრცეებთან **სრულად არ არის ხელმისაწვდომი.**

სკოლას ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე, სკოლას ამ ეტაპზე არა ჰყავს შშმ მოსწავლე. მოსწავლეებს სრულად აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ნებისმიერი რესურსით. სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა ხორციელდება სპეციალური მასწავლებლის მიერ.

სკოლას აქვს იზოლირებული რესურს-ოთახი, რომელიც მდებარეობს ცალკე მდგომ შენობაში. სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი პირველ სართულზე. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ სართულზე. შენობის ცენტრალურ შესასვლელი ისე მოწყობილი, რომ ეტლით მოსარგებლეს შესაძლებლობა აქვს დაუკავშირდეს სკოლის შიდა სივრცეს და საკლასო ოთახებს. სკოლას ამ ეტაპზე არა ჰყავს შშმ მოსწავლე. თუმცა სკოლას ამ ეტაპზე არა აქვს სართულებს შორის დამაკავშირებელი პანდუსი/ლიფტი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - სართულებს შორის შორის დამაკავშირებელი პანდუსების/ლიფტის მოწყობა, შშმ პირთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით.

რეკომენდაცია: სკოლას ეძლევა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობის შესრულება - სართულებს შორის შორის დამაკავშირებელი პანდუსების/ლიფტის მოწყობა, შშმ პირთა უსაფრთხო გადაადგილების მიზნით გეგმით დათქმულ ვადებში 29.12.2027წ.

ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, შიდა სპორტული დარბაზი, სადაც იმართება აქტივობები. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებსა და დასაქმებულებს საშუალება აქვთ დაისვენონ როგორც სასკოლო სივრცეში არსებულ გარემოში, ისე ეზოში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. აღნიშნული დასტურდება სკოლის დერეფნასა და საკლასო ოთახებში გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრებით და სასწავლო თემატური თვალსაჩინოებებით. მოსწავლეები სარგებლობენ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლინკები სკოლის გვერდზე განთავსებული სხვადასხვა აქტივობების განხორციელების შესახებ https://www.facebook.com/gantiadisskola
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- მემორანდუმი;
- შრომითი ხელშეკრულება ბიბლიოთეკართან #01-15/25 2 სექტემბერი 2024 წელი.
- ბიბლიოთეკის დებულება - დირ. ბრძანება #01-03/83 17 დეკემბერი 2025 წელი
-

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისათვის სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკის საკმარისი რაოდენობა. ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად მართვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს **სკოლის ციფრული განვითარების გეგმა. დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #01-03/84 17 დეკემბერი 2025 წელი.**
სკოლაში ტექნიკაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის ტექნოლოგიების მასწავლებელი და დირექტორის მოადგილე, ასევე ბიბლიოთეკარი, რომელთაც ევალებათ ტექნიკური საშუალებების გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში დაკავშირება emis-ის ტექნიკურ სამსახურთან, ასევე განრიგის მიხედვით ტექნიკის გამოყენების მეთვალყურეობა.

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერული ლაბორატორიაში განთავსებულია 14 კომპიუტერი, 1 პროექტორი და 2 პრინტერი.
ამ ეტაპზე სკოლაში არის სულ 16 პერსონალური კომპიუტერი, ამათგან 14 მუშა მდგომარეობაში, 31 ლეპტოპი. პირველკლასელთა დამრიგებლების პროგრამითაა მიღებული ბუკები. გარდა ამისა, სკოლას აქვს 5 პრინტერი, 1 პროექტორი. ადმინისტრაციის ოთახში დამონტაჟებულია 2 კომპიუტერი და 1 პრინტერი.

სკოლა უზრუნველყოფილია ბოჭკოვანი ინტერნეტით, სკოლის ძირითადი ნაწილი დაფარულია Wi-Fi უკაბელო ინტერნეტით, თუმცა ინტერნეტს არა აქვს შენობაში სრული დაფარვა - ინტერნეტთან რეალური წვდომა არის კომპიუტერულ ლაბორატორიაში და დირექციის ოთახებში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

საგაკვეთილო და სხვა საგანმანათლებლო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. სკოლას დამტკიცებული აქვს **ციფრული განვითარების გეგმა**. აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით გამოყენების პირობებს.

მასწავლებლებისათვის სამუშაო სივრცე მოწყობილია სამასწავლებლოში, კომპიუტერულ ლაბორატორიასა და ბიბლიოთეკაში. მასწავლებლებისათვის განკუთვნილ სივრცეში ყოველდღიურად კომპიუტერით სარგებლობს მასწავლებელთა ერთი ჯგუფი. 1 კომპიუტერი და პრინტერი დგას სამასწავლებლოში, თუმცა პედაგოგებს შეუძლიათ ასევე გამოიყენეონ ლეპტოპები (ისტ ლაბორატორია), ლეპტოპები (3 ცალი ბიბლიოთეკაში). კომპიუტერულ ლაბორატორიაში მოქმედია 14 პერსონალური კომპიუტერი და 10 ლეპტოპი, საჭიროების შემთხვევაში სკოლას შეუძლია დაამატოს სხვა ლეპტოპებიც (21 ცალი).

კომპიუტერული კლასი ხელმისაწვდომია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 9-დან 16 საათამდე. სკოლაში დასაქმებული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები სარგებლობენ პირადი ლეპტოპებით.

მოსწავლეებისათვის სამუშაო სივრცე მოწყობილია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, რომელიც გამოიყენება საგაკვეთილო პროცესისათვის და სხვადასხვა ჩვენებებისათვის. მოსწავლეთა დიდ ნაწილს სახლში გააჩნია კომპიუტერები. დაწყებითი კლასების მოსწავლეებს აქვთ ბუკები, რასაც იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სახლში არა აქვთ ინტერნეტთან წვდომა, შესაძლებლობა აქვთ სკოლაში იმუშაონ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ.

კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილია დირექცია, სადაც მოწყობილია სამუშაო სივრცე ადმინისტრაციის წევრებისათვის. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ციფრული განვითარების გეგმა

- შენობის ვიზუალური დათვალიერება
- ფოტო-მასალა
-

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს **საქმისწარმოების მეთოდოლოგია (დ/ბრძანება #01-03/67 13 ნოემბერი 2025 წელი),** რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, დოკუმენტების გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლაში იწარმოება 7 ჟურნალი: შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, სკოლის დირექტორის საერთო და საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი (საერთო). ასევე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის საინვენტარო წიგნი, მოსწავლეთა ანბანური წიგნი, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ჟურნალები აკინძულია და დანომრილია დადგენილი წესით.

საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს **საქმის წარმოების მენეჯერი,** რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება და განსაზღვრულია ფუნქცია მოვალეობები. **ბრძანებების ნუმერაცია განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში საარქივო დოკუმენტების დამუშავების წესის მოთხოვნების შესაბამისად,** კერძოდ ბრძანება და შრომითიხელშეკრულება ინომრება ერთი და იგივე წესის მიხედვით. სკოლამ წარმოადგინა ბრძანებების ნუმერაციის განმარტებითი დოკუმენტი, თუმცა საქმისწარმოების წესში ნუმერაციის აღნიშნული წესი არ არის მინიშნებული.

ექსპერტებმა დაათვალიერეს საქმისმწარმოებლის სამუშაო ოთახი და იქ წარმოებული დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ საქმისმწარმოებელს. ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს სარეგისტრაციო ჟურნალში დაფიქსირებული შემოსული და გასული დოკუმენტების თანხვედრა ელექტრონულ ფორმატთან, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები, რომელთა წარმოება და საქმეში დაცული დოკუმენტები თანხვედრაშია საქმისწარმოების წესით განსაზღვრულ პირობებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა სარგებლობს მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), სადაც ასახულია მოსწავლეების, დასაქმებულებისა და მშობლების შესახებ ინფორმაცია და Eflow, facebook, ვებ-გვერდი - skolebi.emis.ge, ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული ჟურნალი. **სკოლაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა როგორც შიდა, ისე გარე დოკუმენტბრუნვისათვის** (განათლების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა გარეშე ორგანიზაციებთან). სკოლაში შემოსულ და გასულ ყველა სახის დოკუმენტაციას საქმისმწარმოებელი ტვირთვას ელექტრონულ სისტემაში, მშობლებთან ურთიერთობა იწარმოება ელექტრონული ჟურნალის და სკოლის ფოსტის მეშვეობით. მშობელს შესაძლებლობა აქვს სახლიდან გაუსვლელად ნახოს მოსწავლის მონაცემები. სკოლაში დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ელექტრონული ჟურნალის მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი.
აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის პროფილი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

ანგარიშგებისა და ინფორმაციას მიწოდების მიზნით სკოლა თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, მართვის საინფორმაციო სისტემასთან და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ სხვა უწყებებთან. საქმისწარმოების წესის და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სკოლაში ხდება შემოსულ განცხადებებზე თუ სხვა დოკუმენტებზე შესაბამისი რეაგირება. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სოფელ განთიადის საჯარო სკოლის საქმისწარმოების წესი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დირექტორის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
- სკოლის პროფილი - ადგილზე დათვალიერება
-

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი და სოციალური ქსელის გვერდი, რომლებსაც სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სიახლეები, ხოლო სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შესახებ. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას - სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი.

სკოლა სარგებლობს სოციალური გვერდით - ფეისბუკით, რომელზეც განთავსებულია სკოლის მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები.

- **ცდების/ექსპერიმენტების ამსახველი ვიდეო ქიმია-ბიოლოგიაში** (ინტეგრირებული) მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობით - 08.03.2026წ.
- ინგლისური ენის ოლიმპიადაში (Kings) მონაწილეობის ამსახველი ფოტო-მასალა/სერტიფიკატები - 08.03.2026წ.
- **ბიბლიოთეკის ლიტერატურული კლუბი მე-5 კლასში** - პროექტის ამსახველი ვიდეო-მასალა (კლუბი დაარსებულია უშუალოდ ბიბლიოთეკარის მიერ) – 04.03.2026წ.

- **შემოქმედებითი ტიპის დავალება ქართულში მე-2** კლასი - თემის შესწავლის შემდეგ მოსწავლეებმა დაამზადეს ხელნაკეთი თოჯინები (ფოტო-მასალა) - 04.03.2026წ.
- ორი კლუბის ფარგლებში - „კარცერ-ლუქსი“ და „კინო მოყვარულთა კლუბი“ - დადგმული **სპექტაკლი „თეთრი ბაირაღები“** (ფოტო-ვიდეო მასალა) – 28.03.2026წ.
- **ქიმიური ექსპერიმენტის ამსახველი ვიდეო-მასალა** - 28.03.2026წ.
- ქიმიის მასწავლებლისა და IX-X კლასების მოსწავლეების ვიზიტი დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლაში. აღნიშნული ვიზიტები, პრეზენტაციები და ექსპერიმენტები ხორციელდება სკოლებს შორის მემორანდუმის ფარგლებში (ფოტო-მასალა) - 27.03.2026წ.
- **ბიოლოგიის ეკო-კლუბის მინი-პროექტი** - 19 თებერვალი, ზღვის ძუძუმწოვრების დაცვის დღეს ეკო-კლუბის მორიგი ღონისძიება გარემოსდაცვით თემასთან დაკავშირებით. მონაწილეებმა ნახეს შემეცნებითი ფილმი „ლურჯი ვეშაპი“, გაეცვნენ ძუძუმწოვრების მნიშვნელობას და მათ წინაშე არსებულ საფრთხეებს, ერთობლივად მოამზადეს პოსტერი „როგორ დავიცვათ ოკეანე“. აქტივობამ ხელი შეუწყო ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას და ოკეანის დაცვის პასუხისმგებლობის გაზრდას - 19.03.2026წ.
- **სკოლის კედლების მოხატვის ფოტო-მასალა** - მე-9 კლასის მოსწავლემ მოხატა დერეფნის კედელზე საქართველოს დროშა - 17.03.2026წ.
- ბუნებისმეტყველების **გასვლითი გაკვეთილი** - მე-4 კლასი (ფოტო-მასალა) – 15.02.2026წ.
- **პროფ-ორიენტაცია: ფსიქოლოგის მოწვევა** საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან. თემა: კარიერის დაგეგმვა - 11.01.2026წ. <u>**სკოლის კურსდამთავრებულები შეხვდნენ**</u> საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეებს და გაუზიარეს გამოცდილება - 09.02.2026წ.
- **პროფ-ორიენტაცია:** საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების **ვიზიტი ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტში** - 07.02.2026წ.
- **პროფ-ორიენტაცია**: პროექტი „პროფესიის არჩევა“ გასვლითი ვიზიტი კოლეჯში „ბლექსი“ – 09.02.2026წ.
- **საჯაროდ კითხვის დღე** - აქტივობა ბიბლიოთეკაში, ტექსტების წაკითხვა და დისკუსია (საფეხურების მიხედვით) – 07.02.2026წ.
- **პროექტი ჩემს გაკვეთილზე - ინგლისური ენის პროექტი** - მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციების ქართულ ტრადიციულ კერძებსა და ღვინოზე. აქტივოის მიზანი იყო ეროვნული კულინარიული კულტურის გაცნობა და მისი წარმოჩენა შემოქმედებითი ფორმით - 03.02.2026წ.
- **მოქალაქეობის პროექტი „ტოლერანტობა“** მე-7 კლასი (ფოტო-მასალა).
- **ინტელექტუალური მარათონი** ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ინტელექტ-კლუბის ფარგლებში - სკოლამ მე-3 ადგილი დაიკავა - 30.01.2026წ.
- **პირველკლასელთა ღონისძიებები** - ფოტომასალა - 27.12.2025 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექციასთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია კერძოდ: სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ, არის სანდო და უტყუარი. მშობლებმა პირიპირ გასაუბრებისას ისაუბრეს სკოლასთან კომუნიკაციის ფორმებზე, რითაც დადასტურდა სკოლისაგან სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიღება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა იყენებს ზეპირი და წერილობითი გამოკითხვის მეთოდს. აღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიურების დროსაც, რომლებმაც მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ აისახა მათი მოსაზრებები სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს უკუკავშირის მიღების გამოცდილება, რასაც იყენებს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად. აღინიშნა, რომ მათი სურვილები და ინტერესები სკოლის მხრიდან მაქსიმალურადაა გაზიარებული.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ-გვერდის საერთო პროფილი შევსებულია, ვებ-გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ. ასახულია სკოლის მისია და ხედვა, მოცემულია სტრუქტურა (სქემა) და სტრუქტურული ერთეულების დებულება, მოცემულია სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სერვისები, მოსწავლეთა ქცევის წესები და გასაჩივრების მექანიზმი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ვებგვერდის ლინკი https://skolebi-admin.emis.ge/dashboard
- სკოლის სოციალური ქსელის ლინკი https://www.facebook.com/gantiadisskola
- მშობელთა შეთანხმება;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
- ადგილზე დათვალიერება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლას ჰყავს კვალიფიციური ბუღალტერი (სპეციალობა ბუღალტერი), რომელიც სკოლაში მუშაობს 2007 წლიდან. მასთან გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. ბუღალტერს სკოლის დაფინანსებით გავლილი აქვს ფინანსთა სამინისტროს ტრენინგები თემაზე „ახალი სტანდარტების შესახებ". იგი დასაქმებულია პარალელურად სხვა სკოლაშიც „ააიპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა".

სკოლას აქვს წლიური ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა, ბიუჯეტის შედგენის პროცესში ძირითადად მონაწილეობს დირექტორი და ბუღალტერი. სკოლა გადასულია ხაზინის მომსახურებაზე 2023 წლიდან. სკოლა ფინანსურად მდგრადია, არ უწევს სამინისტროს ფინანსური დახმარების მიღება კომუნალური ხარჯების დასაფარად. სკოლის დაფინანსების წყაროა მხოლოდ ვაუჩერული დაფინანსება - სკოლას არა აქვს დამატებითი ფასიანი მომსახურება ფასიანი, არც იჯარა, არც გრანტი.

სკოლას საკუთარი ფინანსური რესურსით შეუძლია სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი განკარგავს თანხებს სკოლის ბიუჯეტის შესაბამისად სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. წარმოდგენილია სკოლის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი დოკუმენტი - **ფინანსური მდგომარეობის შესახებ სკოლის დირექტორის ანგარიში 2025 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით.** ექსპერტების გაესაუბრნენ ბუღალტერს, რომელმაც აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შედგენა ხდება დირექტორისა და მისი ჩართულობით წინა წლის გამოცდილებისა და ფასების გათვალისწინებით, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებულია სკოლის საჭირობები. **სკოლამ წარმოადგინა შესყიდვების გეგმა 2026 წლისათვის** და შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ სკოლის **დირექტორის ბრძანება #01-03/68 17 ნოემბერი 2025 წელი.** სკოლას აქვს მონიტორინგის სისტემა - წარმოადგინა დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი სკოლის 2025 წლის ფინანსური საქმიანობის შესახებ.

სკოლას ჰყავს კვალიფიციური ბუღალტერი მრავალწლიანი სასკოლო გამოცდილებით. სკოლის ბუღალტერი ამავე დროს არის ბაზრის კვლევაზე და შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი. სკოლამ წარმოადგინა ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია, ასევე მატერიალური რესურსების მიღება-ჩაბარების აქტები.

დოკუმენტების შესწავლითა და გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2026 წლის შესყიდვების წლიური გეგმა
- სკოლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი - დირექტორის ფინანსური ანგარიში
- ხელშკრულება სკოლის ბუღალტერთან
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები კანონით გარანტირებული უფლებების უზრუნველსაყოფად:
სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომლითაც დარეგულირებულია მოსწავალეთა უფლებები და მოვალეობები, განსაზღვრულია წახალისების ფორმები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესი, დისციპლინური წარმოებისა და სახდელის მოხსნის საკითხები. სასკოლო სასწავლო გეგმა (სასკოლო კურიკულუმი); მოსწავლის მიმართ ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, რეფერირების განხორციელების შიდა ინსტრუქცია - „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“. ასევე შემუშავებულია **“სკოლის მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციების დამტკიცების შესახებ”** - დირექტორის ბრძანება #01-03/79 16 დეკემბერი 2025 წელი.
მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში თავს დაცულად გრძნობე, იცნობენ სკოლის შინაგანაწესს და იციან ვის უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად.
სკოლა უზრუნველყოფს პირველკლასელი და ახალგადმოსული მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას.
მოსწავლეთა უფლებების დასაცავად სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, არსებობს საჩივრების განხილვის წესი.
დოკუმენტში ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმი“ დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმები.
2025-2026 ს/წ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია აქტივობები უსაფრთხოებასთან/დისციპლინასთან, სწავლა-სწავლების ღონისძიებებთან, მოსწავლეთა ჩართულობასთან დაკავშირებით და ა.შ.; დ/ბრძანებით დამტკიცებულია **მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები** - ბრძანება #01-03/40(ა) – 12.09.2025წ.
სკოლის მიერ შემუშავებული აღნიშნული შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამება “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 თავით განსაზღვრულ მოსწავლის ძირითად უფლებებსა და და გარანტიებს: ზოგადი განათლების მიღების უფლება; საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ცოდნის უფლება; სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება; გასაჩივრების უფლება; გამოხატვის თავისუფლება; შეკრების თავისუფლება; გაერთიანების თავისუფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა; რწმენის თავისუფლება.
სკოლის მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციებით გათვალისწინებულია - მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისიის შექმნა, კომისიის შექმნის პროცედურა, წესი, პირობები, საკითხის განხილვის ვადა. კომისია უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფაქტზე მშობლის საჩივრის რეგისტრაციას და მის განხილვას. სკოლა კომისიის შესახებ ინფორმაციას განათვსებს სკოლის ვებ-გვერდზე. **მოსწავლის უფლებების დარღვევის ფაქტზე მშობელი მიმართავს უპირველეს ყოვლისა მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელ კომისიას.** მიღებული შედეგით უკმაყოფილების შემთხვევაში

გასაჩივრების შემდეგ ეტაპს წარმოადგენს განათლების სფეროში უწყებისათვის ან/და სახალხო დამცველისათვის მიმართვა. სასკოლო დოკუმენტების შესწავლითა და დირექციასთან ექსპერტების გასაუბრებით დადგინდა, რომ ასეთი ტიპის რეგულაცია - **მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისია არ შეესაბამება სკოლაში მოქმედ შიდა ნორმებს და რეალობას.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს სასკოლო რეგულაციები მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, კერძოდ "სკოლის მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციის" წესიდან ამოიღოს მოსწავლეთა უფლებების დაცვის კომისიის საქმიანობის ამსახველი ჩანაწერი.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

ექსპერტთა ჯგუფთან სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგულაციები ნათელია და გაზიარებულია ყველა დაინტერესებული პირისათვის. კერძოდ, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. აღნიშნული ინფორმაცია სათანადოდ არის ასახული კლასის დამრიგებლის დოკუმენტაციაში.

უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზე (სკოლების პორტალი - skolebi.emis.ge/schools), გაზიარებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე, განცხადებები გამოკრულია ფოიეში საინფორმაციო სტენდებზე, რომლებსაც ასევე ავრცელებენ სკოლის სოციალურ ჯგუფებში. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მოსწავლეები ინფორმირებული არიან სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ, იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები, იციან, თუ როგორ გამოიყენოს გასაჩივრების მექანიზმი, თუ მათი უფლებები დაირღვა. საასკოლო რეგულაციების გაზიარება ჩანს მშობელთა კრებების ოქმებშიც, სადაც ერთ-ერთ საკითხად შეტანილია ბავშვის უფლებების, მოვალეობების და ვალდებულებების განხილვა.

მოსწავლისა და მისი კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება სრულად შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც განსაზღვრავს როგორც მოსწავლის, ისე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებსა და ვალდებულებებს. ხელშეკრულება გამჭვირვალეა, მკაფიო და დოკუმენტურად დადასტურებულია, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის ინტერესების დაცვას და უფლებების სრულფასოვან დაცვას სასწავლო პროცესში.

მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისა და სკოლის პერსონალის უფლებების დაცვის მექანიზმი ეფუძნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ პრინციპებსა და პროცედურებს.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი** - საქმისმწარმოებელი - ბრძანება #01-03/13 10 მარტი 2025 წელი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სასწავლო წლის დასაწყისში თითოეულ მშობელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც კანონმდებლობის შესაბამისად გაწერილია ორივე მხარის უფლება მოვალეობები. შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით. ხელშეკრულებას ახლავს მშობლის თანხმობის ფორმა ფოტო-ვიდეო გადაღებაზე. სკოლაში ინფორმაცია საჯაროა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- "სკოლის მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციების დამტკიცების შესახებ"
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები - ბრძანება #01-03/40(ა) – 12.09.2025წ.
- მშობლის თანხმობა ფოტო-ვიდეო გადაღებაზე
- მოსწავლისა და მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ადამიანისა და პროცესების უსაფრთხოება;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის წესი.
- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი - ბრძანება #01-03/13 10 მარტი 2025 წელი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დოკუმენტი - დირექტორის ბრძანება #01-03/43(ბ) 24 სექტემბერი 2025 წელი, რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, კლასისა და საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების, მოსწავლეთა მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. პირველ კლასში მოსწავლეთა რეგისტრაციის პირობებს, დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ჩარიცხვის პირობებს, სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის ფორმალურ განათლებაში ჩართვის წესს და სხვა.

მშობლების ინფორმირება მიმდინარეობს სხვადასხვა მეთოდით: პირისპირ შეხვედრები, სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალური ჯგუფები, TEAMs-ის პლატფორმა და ელ. ლინკები, რომლითაც მშობლები იღებენ ინფორმაციას მოსწავლის მდგომარეობაზე, საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ასევე მათი შვილის მოსწრებისა და პიროვნული თვისებების განხილვა ხდება ინდივიდუალურად. ელ. ჟურნალით სარგებლობის შეზღუდვის შემთხვევაში, მოსწავლის გაცდენების და ნიშნის ფურცლის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება მშობლებთან დამატებითი მეთოდებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს და იცავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N 04/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესს“. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (სკოლის ფართის გათვალისწინებით). პირველი კლასის მოსწავლეთა რეგისტრაციის ვადები და ჩარიცხვის პროცესი განთავსდება სკოლის სოციალურ გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე. ამის გარდა, მშობლები ინფორმირებას იღებენ სატელეფონო კომუნიკაციით, წერილობითი შეტყობინებებითა და პირადი შეხვედრებით. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

სკოლამ წარმოადგინა ნიმუშები - მოსწავლის ჩარიცხვის - ბრძანება #01-09/03 24 თებერვალი 2026 წელი.

მოსწავლის ამორიცხვის - ბრძანება #01-08/20 13 ოქტომბერი 2025 წელი.
პირველ კლასელის ჩარიცხვის - ბრძანება #01-08/18 10 სექტემბერი 2025 წელი
მოსწავლის სტატუსის აღდგენისა და სტატუსის შეჩერების შემთხვევები ბოლო წლების განმავლობაში სკოლას არ ჰქონია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლას 2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა აღზრდისა და მხარდაჭერის სისტემები, სადაც მოცემულია რა მომსახურებას სთავაზობს მოსწავლეებს და რა პირობებით, სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლის ქცევის წესები და მოსწავლის მხრიდან წესრიგის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული ზომები. სასკოლო სერვისები შეზღუდულია სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუმცა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმას და ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. **სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბური მუშაობის მომსახურებას** - ლიტერატურული კლუბი, ეკო-კლუბი, მაგიდის ჩოგბურთის წრე, ტრანსპორტის მომსახურებას. აღნიშნული სერვისების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები იღებენ ვებ. გვერდის, ფეისბუქ გვერდის, დახურული ჯგუფების და მშობელთა კრების საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის ვებ. გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ

პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს (კლუბურ მუშაობას) და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

სკოლაში ყველას აქვს ხელმისაწვდომობა სკოლის რესურსებზე. სკოლაში არსებული კლუბების ფუნქციონირების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მოსწავლისათის. დაინტერესებულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა შეავსოს კლუბში გაწევრიანების განაცხადი და გადასცეს შესაბამისი კლუბის კურატორ მასწავლებელს, რათა დაიწყოს აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლა ინფორმაციის გავრცელებას ახორციელებს: დამრიგებლების მეშვეობით მშობლებთან შეხვედრებზე; სოციალურ ქსელში; ვებ-გვერდის და სხვა საკომუნიკაციო არხების მეშვეობით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
- სკოლის შინაგანაწესი.
- მოსწავლის ჩარიცხვის - ბრძანება #01-09/03 24 თებერვალი 2026 წელი.
- მოსწავლის ამორიცხვის - ბრძანება #01-08/20 13 ოქტომბერი 2025 წელი.
- პირველ კლასელის ჩარიცხვის - ბრძანება #01-08/18 10 სექტემბერი 2025 წელი
- ფეისბუქ-გვერდ და ვებ-გვერდი
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსული და მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - დირექტორის ბრძანება #01-03/72 12 დეკემბერი 2025 წელი, სადაც განსაზღვრულია მხარდამჭერი ღონისძიებები და აქტივობები. **სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს** პირველკლასელთა ადაპტაციას, სსსმ მოსწავლის ადაპტაციას, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაციას, ცალკეა გამოყოფილი საბაზო საფეხურის მოსწავლის ადაპტაცია. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები ასევე გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

მოსწავლეთა ადაპტაციის წესი დანერგილია სკოლის ყველა მოსწავლისთვის, რაც გასაუბრებისას დაადასტურეს მოსწავლეებმა. სკოლა პატარაა და სასწავლო სივრცე კომპაქტურია, მისი მომსახურებით სარგებლობენ ერთი სოფლის მოსწავლეები, რომლებიც ერთმანეთს და მასწავლებლებსაც კარგად იცნობენ, მეგობრობენ ოჯახებით, ამიტომ სკოლაში შექმნილია კეთილგანწყობილი და გულითადი გარემო, რაც აადვილებს ადაპტაციის პროცესს. მოსწავლეთა სიმცირიდან გამომდინარე ადაპტაციას ახორციელებს კლასის დამრიგებელი, რომელიც კარგად იცნობს მოსწავლის პირად საქმეს, მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებს,

არეგულირებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ. ადაპტაციას ხელს უწყობს შენობის კეთილმოწყობილი ინტერიერი და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს სკოლა პირადი შეხვედრისას, კლასის კრებაზე აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სკოლა მოსწავლეს სთავაზობს დახმარებას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სემესტრული გამოცდის საჭიროება არ დაფიქსირებულა. წარმოდგენილი მასალებით და გასაუბრებით გამოჩნდა, რომ მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს, აღინიშნა სასწავლო ოლიმპიადებზე მოსწავლეების წარმატებული მონაწილეობაც.

აქედან გამომდინარე, მოსწავლეები სკოლისგან იღებენ სათანადო მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის წესი - დირექტორის ბრძანება #01-03/40(ბ) 12 სექტემბერი 2025 წელი „რემედიაციული სწავლების წესის დამტკიცების შესახებ“.

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლასთან (20.01.2026წ.), რომელიც ითვალისწინებს მხარეების მზადყოფნას განახორციელონ პროექტები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაუფლების მიმართულებით, კერძოდ **უზრუნველყონ ლაბორატორიული სამუშაოები** - მოსწავლეთა ჩართულობა ქიმიური რეაქციების განხორციელების პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სადამრიგებლო პროგრამა და სხვა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვ,) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში. სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართული არიან საგნის მასწავლებლები. სკოლაში ექსტერნის გამოცდის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

სკოლამ წარმოადგინა ექსტერნის საგამოცდო მასალები - დირექტორის ბრძანება #01-03/44 7 ოქტომბერი 2025წ. „ექსტერნის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ“. ასევე ბრძანება #01-03/53 27 ოქტომბერი 2025წ. ექსტერნის გამოცდების შედეგების დამტკიცების შესახებ. დირექტორის ბრძანება #01-03/54 27 ოქტომბერი 2025 წელი - მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ.

სკოლა აქტიურად მონაწილეობს სკოლებს შორის გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში. **სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სპორტული გუნდის ტრანსპორტირებას.** გუნდისთვის შეძენილია სპეციალური ფორმა, რაც აძლიერებს მოტივაციასა და გუნდურ სულისკვეთებას. სკოლის მაგიდის ჩოგბურთის გუნდი წელსაც რეგიონის მასშტაბით გამარჯვებულია. მოსწავლეთა თვითმმართველობის წლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეძენილია მაისურები, რომელთაც აქვთ თვითმმართველობის სახელწოდება. **სკოლა ასევე აქტიურად უჭერს მხარს მუსიკალურ კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილე მოსწავლეებს,** რის ფარგლებში უზრუნველყოფილია მათი ტრანსპორტირება ღონისძიებების ადგილზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

2025-2026 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლას მითითებული აქვს, რომ ამ ეტაპზე მოსწავლეებს არ სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. თუმცა დოკუმენტაციის შესწავლით და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **სკოლაში დამკვიდრებულია საკლუბო მუშაობა:** 1. სამოქალაქო განათლების კლუბი „მნათობი“ 2. ეკო-კლუბი 3. კინომოყვარულთა კლუბი 4. ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი - „კარცერი-ლუქსი“ 5. ინგლისური ენის კლუბი English Reading Club 6. სპორტის მოყვარულთა კლუბი 7. ბიბლიოთეკის კლუბი. **წარმოდგენილია წიგნის კლუბის წესდება, ინგლისური ენის კლუბის პორტფოლიო.** მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს შესაბამისი მექანიზმიც. სკოლა უზრუნველყოფს სპეციალური სამუშაო სივრცის მოწყობასა და საინფორმაციო კამპანიას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სასკოლო სასწავლო გეგმაში დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ნაწილში (არაფორმალური განათლება) სკოლამ ასახოს კლუბური მუშაობა.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მშობელთა მხრიდან შეხვედრებზე მიიღება ზეპირსიტყვიერი, ასევე წერილობითი უკუკავშირები კმაყოფილების კითხვარების შევსების გზით. ძირითადად დაკვეთა/ინტერესი მოდის არაფორმალური კუთხით სწავლების აქტივობების გაძლიერებაზე. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი კლუბების შექმნაზე. სკოლას აქვს გარკვეული პრაქტიკა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მიმართულებით, რომელიც შესაძლოა გამოყენებული იყოს კმაყოფილების კითხვარებად.
ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ექსტერნის საგამოცდო მასალები
- სკოლის გვერდის ლინკი წარმატებული მოსწავლეების დაჯილდოვება და აქტივობები.
- წიგნის კლუბის წესდება, ინგლისური ენის კლუბის პორტფოლიო.
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი კლუბების შექმნაზე.
- **სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლასთან (20.01.2026წ.) - ლაბორატორიული სამუშაოების შესახებ**
- დირექტორის ბრძანება #01-03/40(ბ) 12 სექტემბერი 2025 წელი **„რემედიაციული სწავლების წესის დამტკიცების შესახებ“.**
-

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

დამრიგებლები ატარებენ კლას-საათებს პროფესიული ორიენტაციის ხელშესაწყობად. მიმდინარე სასწავლო წელს, **სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხორციელდება პროფორიენტაციის გაკვეთილები.** დერეფანში გამოკრულია საინფორმაციო ხელნაკეთი კედლის გაზეთი „როგორ ავირჩიოთ პროფესია“. სკოლამ წარმოადგინა **დამრიგებლების პორტფოლიო, სადაც ასახული დამრიგებლის მიერ კლასში ჩატარებული აქტივობების მასალები.**

სკოლას შედგენილი აქვს პროფ-ორიენტაციის გეგმა IX კლასისათვის, სადაც გათვალისწინებულია გაკვეთილების ჩატარება და ექსკურსია (ბათუმის იუსტიციის სხალში). სკოლის ფეისბუქ-გვერდზე ასახული აქვს ინფორმაცია პროფორიენტაციის მიზნით კურსდამთავრებულებთან მოსწავლეების შეხვედრისა და სხვა გასვლითი ღონისძიებების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება ხდება რეგიონის მასშტაბით არსებული პროფესიული განათლების მიმართულებით არსებული შემოთავაზებების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს **პროფორიენტაციის სამუშაო გეგმა** საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის. სკოლა პერიოდულად აწვდის მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად. ამ მიზნით სკოლა აწყობს შეხვედრებს მოსწავლეებთან, აცნობს წარმატებულ კურსდამთავრებულთა ისტორიებს. სკოლაში ტარდება საუბრები და პრეზენტაციები სხვადასხვა სამუშაოებზე და პროფესიის სირთულეზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფორიენტაციის გეგმა.
- სადამრიგებლო გეგმა და ოქმი.
- სკოლის ფეისბუქ-გვერდი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლის დირექტორის ბრძანებით **დამტკიცებულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები** - დირექტორის ბრძანება #01-03/27(ა) 8 სექტემბერი 2025 წელი. რეგულაცია განსაზღვრავს სკოლის მიერ სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების პროცედურებს, მათთვის სსსმ სტატუსის მინიჭებისა და მოხსნის წესებს, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდებს.

სკოლას დამტკიცებული აქვს **ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა - დირექტორის ბრძანება #01-03/27(ბ) 8 სექტემბერი 2025 წელი,** რომელიც განსაზღვრავს პროცედურებსა და სტრატეგიებს, რაც ინკლუზიური განათლების პრინციპების შესაბამისად განხორციელდება. სამოქმედო გეგმა გულისხმობს სპეციალური მასწავლებლებისა და საგნის მასწავლებლების თანამშრომლობას, შიდა მონიტორინგის სისტემას, რომელიც ხელს უწყობს მათი სასწავლო და სოციალური წარმატების გაძლიერებას.

2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში ჰყავს 3 სსსმ მოსწავლე (III, VI და IX კალსელი, სამივე ვაჟია), რომელთა შეფასება განხორციელდა მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. თითოეული მათგანისთვის **შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,** რომელიც შეთანხმდა სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცდა პედაგოგიურ საბჭოში. სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა ხორციელდება უფროსის სტატუსის მქონე სპეციალური მასწავლებლის მიერ, რომლის ჩართულობით შედგენილია ისგ-ები. ასევე კლასის დამრიგებლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად გაერთიანებულია ისგ ჯგუფებში.

სპეც. მასწავლებელს **შემუშავებული აქვს ინტერვენციის გეგმა,** რომელიც მოიცავს მოსწავლის საჭიროებების შეფასებას, საჭირო სასწავლო სტრატეგიების არჩევას და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენებას, მათ შორის ვიზუალური, აუდიო და კინესტეტიკური მეთოდების გამოყენებით. **სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის ძირითადი მექანიზმი არის სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა.** სკოლა და მასწავლებლები ერთობლივად ქმნიან თანაბრად ხელმისაწვდომ საგაკვეთილო პროცესს, სადაც თითოეული მოსწავლის

საჭიროებები გათვალისწინებულია. ექსპერტები გაესაუბრნენ სპეციალური მასწავლებელს, გამოიკვეთა, რომ ის აქტიურად თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან და მათთან ერთად მუშაობს მიზნების განსაზღვრასა და მათი მიღწევის გზების მოძიებაზე, მათ აქვთ სპეციალურად განსაზღვრული შეხვედრების განრიგი, სადაც განიხილავენ ისგ-ს შემუშავებას, პირველი სემესტრის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეჯამებას და მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას. სპეციალური მასწავლებელი ყოველ სემესტრის ბოლოს წარადგენს ანგარიშს - **წარმოადგინა ანგარიში.**

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლა თანამშრომლობს მშობლებთან, ხდება მშობლის ინფორმირება დამრიგებლის შუამავლობით. მშობლებთან რეგულარულად ტარდება შესაბამისი კონსულტაციები.

სკოლას, საჭიროებიდან გამომდინარე, ჰყავდა ერთი სპეციალური მასწავლებელი, რომელმაც პირადი განცახდების საფუძველზე დატოვა სკოლა. **სკოლამ 2025 წელს კონკურსის წესით შეარჩია ახალი სპეც. მასწავლებელი. სკოლას წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა სპეც. მასწავლებლის შერჩევა საკონკურსო წესით, ეს ვალდებულება სკოლამ უკვე შეასრულა მოცემული მომენტისათვის.**

სკოლას გააჩნია სხვადასხვა რესურსი სსსმ მოსწავლეებთან სამუშაოდ, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დაძლევაში. სკოლაში არსებობს ადაპტირებული გარემო, კეთილმოწყობილი რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსებით. გაკრულია დღის განრიგი, რომლის მიხედვითაც ტარდება ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობები.

სპეციალური მასწავლებელი ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებშიც აქტიურად არიან ჩართულნი სსსმ მოსწავლეები,. აქტივობები: ფილმის „კლასის წინ“ ჩვენება – მოსწავლეებმა განიხილეს სსსმ მოსწავლეთა ყოველდღიური გამოწვევები და მათზე გადასაჭრელი გზები; სკოლის ეზოს გამწვანება – მოსწავლეებმა ერთად დაასუფთავეს სკოლის ეზო და დარგეს ყვავილები. პროექტში სსსმ მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ, რამაც ხელი შეუწყო მათ სოციალურ ინტეგრაციას და თანატოლებთან. ასეთი სახის აქტივობების მიზანია სსსმ მოსწავლეებს განუვითაროს სოციალური და ფუნქციური უნარები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციების დამტკიცების შესახებ.
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ინკლუზიური განათლების განვითარების გეგმა.

- სპეციალური მასწავლებლის სამოქმედო გეგმა;
- სპეცილური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა;
- სპეციალური მასწავლებლის ანგარიში;
- სსსმ მოსწავლის სკოლაში ტრანზიციის გეგმა;
- სსმ მოსწავლის ტრანზიციის გეგმა ინგლისური ენა;
- ისგ -ს სხდომის ოქმი.
- სამეურვეოს საბჭოს სხდომის ოქმი 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმება სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებთან დაკავშირებით;
- დირექტორის ბრძანება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ
- სპეციალურად განსაზღვრული შეხვედრების განრიგი.
- ფოტო-მასალა სკოლაში არსებული ადაპტირებული გარემოს შესახებ
-

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

   სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ ტრანსპორტირების სერვისით, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს სკოლა სპეციალირი ტაბელის მეშვეობით. ტრანსპორტი სოფლის შიდა ქუჩებში დაივლის და გზა და გზა აგროვებს მოსწავლეებს.
   სხვა ტიპის დამატებით მომსახურებას (არა აქვს კვების ობიექტი, არც იჯარა) სკოლა ამ ეტაპზე არ ახორციელებს და შესაბამისად არ საჭიროებს მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღებას.

   ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლაში ფუნქციონირებს კლუბური მუშაობა (სამოქალაქო განათლების კლუბი „მნათობი"; ეკო-კლუბი; კინომოყვარულთა კლუბი; ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი - „კარცერი-ლუქსი". ინგლისური ენის კლუბი English Reading Club; სპორტის მოყვარულთა კლუბი; 7. ბიბლიოთეკის კლუბი), რომლებიც ემსახურება მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობას. ასეთი დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით - სკოლას შემუშვებული აქვს კლუბური საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია (კლუბის დებულება და სამუშაო გეგმა). მოსწავლეებმა გასაუბრებისას დაადასტურეს კლუბური საქმიანობის ეფექტურობა, მათ შორის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივის გათვალისწინება.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კლუბების მასალები
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი	☐ **შეესაბამება**

(საბაზო, საშუალო)	☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში (ბრძ. N 01-03/37) ვკითხულობთ, რომ დოკუმენტი იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს პროცესში ჩართული ყველა მხარის - მასწავლებლების, კათედრის ხელმძღვანელების, ადმინისტრაციისა და მშობლების - ფუნქციებსა და ურთიერთთანამშრომლობის ფორმატს. სკოლის თვითშეფასების დოკუმენტსა და კურიკულუმის ჩარჩოში ხაზგასმულია, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე, რაც ხელს უწყობს მხარდამჭერი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. მიმდინარე სასწავლო წელს, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, კათედრებზე უკვე დაინერგა განახლებული კურიკულუმის ჩარჩოები თავისი კომპლექსური ბუნების დავალებების ფორმებით, რომელთა შემდგომი დახვეწა მიღებული გამოცდილების გაზიარებისა და კოლეგიური განხილვების საფუძველზე ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გააჩნია ჩართულობის მყარი სამართლებრივი მექანიზმები, ადმინისტრაცია მუშაობს მათი პრაქტიკული განხორციელების კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე. კერძოდ, მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება საზოგადოებრივი ჩართულობის ფორმების დანერგვა, რაც სამუშაო ჯგუფების ოპტიმიზაციასთან ერთად, ელექტრონული გამოკითხვისა და კომუნიკაციის თანამედროვე არხების გააქტიურებას გულისხმობს, რათა კურიკულუმის განვითარების პროცესი მაქსიმალურად ასახავდეს ყველა დაინტერესებული მხარის ხედვას.

რჩევა: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასურველია, სკოლამ შექმნას კურიკულუმის დიზაინის ერთიანი ფორმა, საფეხურების მიხედვით (დაწყებითი, საბაზო, საშუალო). **მაგ: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი**

სკოლა/სასწავლო წელი პროგრამის სახელწოდება: დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი პროგრამის განხორციელების ენა:

კლასები:

შინაარსი/შესავალი
პროგრამის განხორციელების ადგილი: დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს:)
სასწავლო წლის კალენდარი და განრიგი
გაკვეთილების განრიგი/დღის რეჟიმი (გაკვეთილების დაწყება/დასრულება)
სწავლების შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით:
სახელმწიფო ენა (სწავლის შედეგები საგნობრივი ჯგუფების მიხედვით ა) სახელმწიფო ენა)
მათემატიკა და ასე შ.
მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა (შეფასების მიზანი, განმავითარებელი და განმსაზღველი შეფასება, კლასის და საფეხურის დაძლევა, გაცდენები)
ესგს გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება (გამოცდები, რემედიაცია)
საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი
დანართი (შემაჯამებლების რაოდენობა, საათობრივი ბადე, სახელმძღვანელოების ჩამონათვალი)

სასურველია, სკოლამ სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების უკეთ გათვალისწინების მიზნით, შეიმუშაოს ჩართულობის სხვადასხვა სახის ფორმები. მაგ: კითხვარები (მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის); ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი და სხვ. **ინდიკატორი 2.1.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ცხადყოფს, რომ კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე, რაც მოიცავს როგორც აკადემიურ, ასევე სოციალურ და მოქალაქეობრივ კომპეტენციებს. კურიკულუმში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, თანამშრომლობასა და კომუნიკაციას, რაც მიუთითებს სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეები, მასწავლებლები) ინტერესების ინტეგრირებაზე სასწავლო პროცესში. სკოლა მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებაზე, რისთვისაც მათ სთავაზობს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ კურიკულუმებს, მრავალფეროვან რესურსებს, პროექტებსა და კლუბურ მუშაობას. ამის ნათელი მაგალითია სკოლაში მოქმედი **„ბიბლიოთეკის ლიტერატურული კლუბი“, „ბიოლოგიის ეკო კლუბი“, სამოქალაქო განათლების კლუბი „მნათობი“; „სპორტის მოყვარულთა კლუბი“, ინგლისური ენის კლუბი „English Reading Club“, ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი - „კაცერ-ლუქსი“ და „კინო მოყვარულთა კლუბი“,** რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება სხვადასხვა აქტივობა და პროექტი.

სასწავლო პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას განაპირობებს მუდმივი კომუნიკაცია მშობლებთან. მასწავლებლები რეგულარულად აწვდიან მათ ინფორმაციას კურიკულუმის მიმდინარეობის შესახებ და ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა-ანალიზი ხორციელდება ზეპირი კომუნიკაციის ფორმით, სკოლა აღნიშნულთან დაკავშირებით, გეგმავს კონკრეტული მექანიზმის/ფორმა-ჩარჩოს შემუშავებას, რათა რათა კურიკულუმი სრულად ასახავდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. **ინდიკატორი 2.1.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: სასწავლო პროცესის ეფექტური მართვისა და კურიკულუმის სრულყოფის მიზნით, სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების მრავალმხრივი კვლევა. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მოპოვების პროცესი არ შემოიფარგლოს მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციით. ამისთვის კი სასურველია, სკოლამ შექმნას მიზნობრივი კითხვარები, რომლებიც მორგებული იქნება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეზე (მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები).

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის საგნობრივ კათედრებს გაწერილი აქვთ სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემულია კურიკულუმის განვითარების განმსაზღვრელი ისეთი საკითხებზე მუშაობა, როგორიც არის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა, საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, შემაჯამებელი დავალებები, მასწავლებელთა საათების საორიენტაციო განაწილება, შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა. სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კათედრის სხდომა, რომელიც ეთმობა მოცემული სამოქმედო გეგმის დამტკიცებას, მათ შორის საათების საორიენტაციო განაწილებას, სასწავლო რესურსების შერჩევას, საგნობრივი კურიკულუმების შეთანხმებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კათედრის სხდომის ოქმებში იკითხება კურიკულუმის შემუშავების პროცესთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა მწირი ინფორმაციაა საკითხის განხილვისა და კონკრეტული გადაწყვეტილების შინაარსის თაობაზე. კათედრების მიერ შემუშავებული კურიკულუმი განსახილველად გადაეცემა სამეურვეო საბჭოს, რომელიც დირექტორის ჩართულობით დასამტკიცებლად გადასცემს პედაგოგიურ საბჭოს. მოცემული პრაქტიკა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის შექმნის პროცესში. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, არ იკვეთება მოსწავლეთა და მშობელთა სისტემური ჩართულობის (მაგ., კითხვარების, ფოკუსჯგუფების ან სხვა ინსტრუმენტების) ფორმალიზებული მექანიზმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი 2.1.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: კურიკულუმის შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ფორმებისა და პრაქტიკის უკეთ წარმოსაჩენად, სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებში აისახოს სხდომებზე მიმდინარე სამუშაო პროცესი, მიღებული გადაწყვეტილებები დასაბუთდეს და შინაარსობრივად ასახოს სხდომის ოქმში.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის გაზიარება რამდენიმე გზით მიმდინარეობს. აქ მოიაზრება პედაგოგიური საბჭოს შეხვედრები, მშობელთა კრებები, საჭირო დოკუმენტების საიფორმაციო დაფაზე განთავსება, სოციალურ ქსელის გამოყენება, კლასების ე.წ. „ჩათებსა“ და „მესენჯერ“ ჯგუფებში კომუნიკაცია. მასწავლებელთა ნაწილის განცხადებით, საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარება მშობლებთან ხდება კრებებზე ზეპირსიტყვიერად; წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება კურიკულუმის გაზიარების პროცესის სისტემური დოკუმენტირება (მაგ., შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.).

სკოლას აქვს ვებ-გვერდი, https://skolebi.emis.ge/schools/525?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%9A%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%97%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90

რომელზეც განთავსებულია სკოლის ფილოსოფია, შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა და სხვა დოკუმენტები. მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საზოგადოებაში ვებგ-ვერდზე მეტი პოპულარობით სარგებლობს სოციალურ ქსელში არსებული სკოლის ფეისბუქ გვერდი. https://www.facebook.com/gantiadisskola/?locale=ka_GE

ინდიკატორი 2.1.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

რჩევა: სასურვლია, სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმის გაზიარების ერთიანი ფორმა-მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტირება (შეხვედრების ოქმები, უკუკავშირის ფორმები, მონაწილეთა სია და სხვ.) კი გახადოს მდგრადი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N 01-03/37)
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები;
- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხური)
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები; სწავლის პროცესი განიხილება როგორც აქტიური ცოდნის კონსტრუირების პროცესი და ორიენტრიებულია მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლა/სწავლების პროცესის დაგემვაზე; საგნორივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები იდეების სახით ასახულია სავალდებულო თემებში. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სამივე საფეხური - სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას. ძირითადი კონტექს-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ: ინტერნეტ

	რესურსები, დამატებითი ლიტერატურა. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სამივე საფეხური - სასურველია, კურიკულუმების შედგენისას მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და მასწავლებლებთან, გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოოდგენს მოსწავლეზე ორიენტირებლი პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებზე მუშაობისას ჩართულია სრულად სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის შემოქმედებით პროდუქტის მაგალითებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა და პედაგოგებთან გასაუბრებამ აჩვენა კურიკულუმის შექმნასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარე მხოლოდ ორიენტრებულია მოსწვლეთა შედეგებსა და საჭიროებებზე. ამასთან ერთად დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უცხოური ენების (ინგლისური ენა, რუსული ენა) კათედრის წევრების მიერ შემუშავებული ყველა კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ და მის ინტერესებზე, პროცესის, დაგეგმავასა და განვითარებაზე მორგებულ გზამკვლევს. ფოკუსირება ხდება გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე. ინდივიდუალური მიდგომებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით შედეგები განისაზღვრება მთლიანად სასწავლო კურსის ფარგლებში. ამის დასტურად შეიძლება დასახელდეს გრძელვადიანი პროექტი ,,ინგლისური მეტია ვიდრე გაკვეთილი", რომელიც მოიცავს მრავაფეროვან აქტივობებს, წიგნის კლუბს, პროექტს აქარული სამზარეულოსა და შექსპირის დაბადების დრისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: მასწავლებლებმა ისაუბრეს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, დაასახელეს მაგალითები, აქტივობები, თუმცა კარგი იქნებოდა კურიკულუმებშიც იყოს გაწერილი დიფერენცირებული სწვალების მიდგომები (კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწვალეთათვის ან კურიკულუმი იძლეოდეს არჩევანს მოსწვალეთათვის კომპელქსური დავალების მხრივ, შეთავაზებული იყოს სულ მცირე ორი ვარიანტი). სასურველია, ასევე ყველა კურიკულუმში იყოს მოცემული საათების რაოდენობა, რომელი თემის ფარგლებში რა სათობრივ დატვირთვას საჭიროებენ.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმების ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ კურიკულუმები ძირითადად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა ინტერესებზე, თვითგამოხატვასა და შემოქმედებით საქმიანობაზე. პედაგოგებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ აქტიურად ატარებენ გამოფენებს, მონაწილეობენ კონკურსებში და ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, რაც ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას. თუმცა, კურიკულუმების ანალიზმა გამოავლინა, რომ სტრუქტურა არ არის ერთგვაროვანი: I–II კლასებში წარმოდგენილია მხოლოდ ცნებები, ქვეცნებების გარეშე; III–VII კლასებში თემები არ არის დაკავშირებული თემატურ ბლოკებთან; ქვეცნებები სრულად არ არის გაწერილი ყველა საფეხურზე; **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმებში უზრუნველყოფილი იყოს სტრუქტურული ერთიანობა - თემატური ბლოკები, თემები და ქვეცნებები წარმოდგენილი იყოს ყველა კლასში თანმიმდევრულად.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმი ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებსა და სასწავლო პრინციპებს. დოკუმენტაციის, კონკრეტული კომპლექსური დავალებების

	გაცნობისა და პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ ცხადი გახდა, რომ პედაგოგები კურიკულუმს განიხილავენ, როგორც მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესს. პედაგოგები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ორიენტირებას გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე, საფეხურის სასწავლო შედეგებზე და ცდილობენ მოსწავლეთა ნამუშევრების - როგორც შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზი გამოიყენონ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების რეალიზებისათვის. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის კურიკულუმები, რომლებიც შემუშავებულია სტანდარტებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს.კერძოდ, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს. მასში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას , რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** ინტერვიუს დროს გაჟღერებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები ჩაიწეროს კურიკულუმში. თემის, საკითხის სვეტი სწორად იყოს შევსებული. მაგალითად, ამოღებულ იქნას სიტყვა ,,გამეორება'' და ჩაისვას ის, რისი გამეორებაც სურთ.
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები (სამივე საფეხურისთვის), დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მათ საჭიროებებს და მორგებულია სკოლის შესაძლებლობებსა და ინფრასტრუქტურას. წარმოდგენილი კურიკულუმებით სასწავლო პროცესის წარმართვა, ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. ინტერვიურებისას პედაგოგებმა მიიღეს რჩევა (მცირე შინაარსობრივი უზუსტობების შესახებ), რომელსაც გაითვალისწინებენ სამომავლოდ. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: სამომავლოდ, სასურველი იქნებოდა, რომ ყველა კლასის კურიკულუმში, იყოს შეტანილი თემა თეორიული მიმართულებით.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმები და პრაქტიკული საქმიანობის ანალიზი ადასტურებს, რომ პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული შემდეგი გარემოებების გამო: სწავლება ეყრდნობა მოსწავლის წინარე გამოცდილებას. მაგალითად, I-II კლასებში პირობითი ნიშნების გაცნობა ხდება ყოველდღიური კონტექსტით (ამინდის/საგზაო ნიშნები), რაც საფუძველს უქმნის ალგორითმების გააზრებას. კომპლექსური დავალებები (მაგ: „ჩემი გაკვეთილების ცხრილი“ - II კლ.; „უსაფრთხო ინტერნეტი“ - VI კლ.) თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ პროდუქტად აქცევს. მოსწავლე თავად ხდება შემოქმედი. კურიკულუმი ფოკუსირებულია სამიზნე ცნებებზე (ალგორითმი, კომპიუტერული მოწყობილობა, ციფრული წიგნიერება), რაც უზრუნველყოფს სიღრმისეულ განვითარებას. ვინაიდან კურიკულუმი ეყრდნობა ინდივიდუალური განვითარების პრინციპებს და მოიცავს ფუნქციურ დავალებებს. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, პედაგოგებმა გააგრძელონ მუშაობა ციფრული რესურსების კიდევ უფრო მეტ გამრავალფეროვნებაზე და კურიკულუმში პერიოდულად ასახონ ისეთი ახალი პლატფორმები ან ინსტრუმენტები, რომლებიც კიდევ უფრო გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და ხელს შეუწყობს ცოდნის ტრანსფერს.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევაზე. დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზეა ორიენტირებული, რისი დაგეგმვისა და განხორციელების გზას კურიკულუმები წარმოადგენს. შუალედურ მიზანზე გასვლისათვის წარმოდგენილია კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები, რომლებიც ემსახურება გრძელვადიან მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და ინდიკატორების სახით. თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები და შესაბამისი ქვეცნებები, რომელიც უზრუნველყოფს

	სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, დაასახელეს მაგალითები, აქტივობები, სასურველია, აღნიშნული მიდგომები კურიკულუმებშიც გაიწეროს.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალიწინებულ გრძელვადიან მიზნებს, რომელიც წარმოდგენილია ცნებების იერარქიის სახით. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით და მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისკენ. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: სამივე საფეხური - სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კურიკულუმში გაუმჯობესებას საჭიროებს ძირითადი კონტექსტ მაგალითი, ქვეცნებები, ქვესაკითხები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. **საბაზო საფეხური:** მე-10 კლასის ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში შეწორებულ იქნას სავალდებულო სასწავლო თემები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. **საშუალო საფეხური:** მე-12 კლასის ისტორიის საგნობრივ კურიკულუმებში შეწორებულ იქნას სავალდებულო სასწავლო თემები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად.
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები, კულტურათა დიალოგი. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს პედაგოგებმა კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. შერჩეული დავალებები მოსწავლეებს უვითარებს შემოქმედებით აზროვნებას, შესაბამისად, კურიკულუმი ხელს უწყობს უცხოური ენების პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, ამას მოწმობს მრავლად შემოთავაზებული კომპლექსური ბუნების მქონე დავალებების ნიმუშები: მაგ: **ინგლისური ენა:** დაწყებითი საფეხური - ,, ჩემი სამეცადინო მაგიდა” , ,, ჩემი საყვარელი შინაური ცხოველი”, ,, ჩემი ოჯახის გენეალოგიური ხე”, ,, ჩემი საოცნებო პროფესია, ,, ვირტუალური მოგზაურობა ავსტრალიაში, საბაზო საფეხურზე - რეკლამისა და სტატიების შექმნა, საშუალო საფეხურზე კი ბიოგრაფიების წარდგენა ცნობილ ადამიანებსა და ცხოვრების ადათ წესების შესახებ,

	რუსული ენა: დაწყებითი საფეხური - ,, ჩემი სკოლა", საბაზო საფეხური - ,, ჩემი საცხოვრებელი", ცნობილი ადამაინების შესახებ ჩანახატები და აშ. სკოლა ყურადღებას უთმობს ინდივიდუალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში და სწავლის მარავლეფროვან სტილს, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის მოქნილობას და ეფექტურობას სასწავლო პორცესში. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, ჩასწორდეს ცნებების ნაწილი ინგლისური და რუსული ენის კურიკულუმებში. მაგალითად : მე - 5 კლასის კურიკუმულში ცნება ჟანრი, შესაცვლელია ცნება - ტექსტით. .მე - 7 და მე - 8 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში ცნება ტექსტი , უნდა შეიცვალოს ცნება - ჟანრით. მე - 11 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში სასურველია ცნებების მითითება.
ესთეტიკური აღზრდა	კურიკულუმები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს იმ სამიზნე ცნებებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ეტაპობრივ განვითარებას. სასწავლო პროცესში ჩანს შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარების განვითარება, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. თუმცა, ზოგიერთ კლასში ქვეცნებებისა და თემატური ბლოკების არარსებობა ნაწილობრივ არღვევს ამ შესაბამისობას. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა რომ იმ კლასებშიც, რომლის კურიკულუმებშიც არ არის მითითეული თემატური ბლოკები ან ქვეცნებები, რეალურად მასწავლებლები მათზე მუშაობენ. შესაბამისად, **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია ყველა კლასის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და ქვეცნებები იყოს საჭიროებისამებრ გაწერილი.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმში წარმოდგენილი სასწავლო მასალა - მხატვრული ტექსტები, დავალების სასწავლო რესურსები, შერჩეული თემები, კომპლექსური ბუნების დავალებები ეხმარება მოსწავლეს კონკრეტული იდეების, პრობლემების გაცნობიერებასა და განზოგადებაში. რამდენიმე

	კომლექსური დავალების პირობა და მასწავლებელთა მხრიდან ამ დავალების შესასრულებლად გამოყენებული სასწავლო აქტივობები, შესაძლებლობას იძლევა შეძლებისდაგვარად ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ - კომპონენტური უნარების განვითარებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმას. აგებულია საგნის სამიზნე ცნებებსა და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგზე. მასში შეტანილია სასწავლო თემები სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან. კურიკულუმში გათვალისწინებულია თემები როგორც პრაქტიკული, ისევე თეორიული მიმართულებით. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისობა დასტურდება შემდეგი გარემოებებით: კურიკულუმი აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებზე (მაგ: ალგორითმი, კომპიუტერული მოწყობილობა, ციფრული წიგნიერება). სასწავლო პროცესი ორიენტირებულია არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის დამახსოვრებაზე, არამედ ამ ცნებების სიღრმისეულ გააზრებაზე. თემატურ მატრიცებში გაწერილი შუალედური მიზნები და ინდიკატორები პირდაპირ კავშირშია ესგ-ის საგნობრივ სტანდარტთან. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე ისტ-ის შედეგები (ინფორმაციის მოძიება, შექმნა, დახარისხება) ასახულია II-VI კლასების

	დავალებებში. კურიკულუმი ითვალისწინებს ესგ-ის ხუთ საგანმანათლებლო პრინციპს, რაც გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაფუძნებას და ახალი ცოდნის აქტიურ კონსტრუქტირებას. ეს ჩანს სწავლების მეთოდით, სადაც საკითხები საფეხურებრივად რთულდება (მაგ. I-II კლასში პირობითი ნიშნებიდან ვიზუალურ პროგრამირებამდე გადასვლა). ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნა — ცოდნის ტრანსფერი რეალურ ცხოვრებაში — რეალიზებულია კომპლექსური დავალებებით (მაგ: „უსაფრთხო ინტერნეტი“, „ჩემი გაკვეთილების ცხრილი“), რაც მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ტექნოლოგიური უნარები პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად გამოიყენოს. ვინაიდან კურიკულუმის სტრუქტურა, შინაარსი სრულად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კათედრამ გააგრძელოს მუშაობა კომპლექსური დავალებების ბანკის გამდიდრებაზე, რათა კიდევ უფრო მეტად მოხდეს საგნობრივი სტანდარტის შედეგების (ინდექსების) ინტეგრირება ყოველდღიურ სასწავლო პროცესში და შენარჩუნდეს სპირალური სწავლების მაღალი ხარისხი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კლასების (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) საგნობრივ კურიკულუმებში წარმოგენილია გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირებული სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, თემები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები ამუშავებს სამიზნე ცნებებს. კომპლექსური (შემოქმედებითი) დავალებები და სხვადასხვა აქტივობები, მორგებულია შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების, ანალიზის, კომუნიკაციის უნარების განვითარებაზე, კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ გააგრძელებენ ამ მიმართულებით აქტიურ მუშაობას. **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფის მიმართულებით საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში ჩაშენებულ რესურსებში ჩანს როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ელექტრონული რესურსები; მასწავლებლებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა მიერ შექმნილ სხვადასხვა თვალსაჩინო მასალას საგნობრივი საკითხების გავლისას იყენებენ როგორც სასწავლო რესურსს; რადგან სკოლას არ გააჩნია სრულყოფილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია პედაგოგებთან გასუბრებისას გაირკვა, რომ არსებული მწირ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სკოლამ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის საჭირო რეაქტივებითა და ინვენტარით აღჭურვა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისათვის.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, სამეცნიერო ვიდეოები, ტელესკოლის გაკვეთილები,თემატური რუკები. ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სამივე საფეხური - სასურველია, ყველა თემის ფარგლებში გამრავალფეროვნდეს და დაკონკრეტდეს საგანმანათლებლო რესურსები.

უცხოური ენები	კურიკულუმების შესწავლისა და უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ მოსწავლეთა სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ აქტიურად ბეჭდურ რესურსებთან ერთად ციფრულ რესურსს, რაც კურიკულუმშიც ასახულია. შესაბამისად, კურიკულუმში მოცემული ყველა რესურსი ემსახურება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას, სუსტი მხარეების დაძლევას , სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას, მოსწავლეთა პროდუქტიულობის ზრდასა და მოტივაციის ამაღლებას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: სასურველია მე -12 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში დაკონკრეტებული იყოს გამოტენებული რესურსები, სახელმძღვანელოს გვერდები.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები: სახელმძღვანელოები, ვიზუალური და აუდიო მასალა, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, რესურსები უფრო დეტალურად იყოს დაკონკრეტებული თითოეული თემის ფარგლებში.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. შერჩეული სასწავლო რესურსები: - ხორხე ლუის ბორხესი ,,კედელი და წიგნები“; ვირჯინია ვულფი ,,როგორ წავიკითხოთ წიგნი'' ; გალაკტიონი ,,არის მკითხელი“, ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას და აკადემიური ცოდნის კონსტრუირებისათვის ქმნის მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ პირობებს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში, შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამისად, მითითებულია რესურსები დავალებაზე მუშაობისათვის. კურიკულუმებში დეტალურადაა წარმოდგენილი რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ

	საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სასწავლო პროცესის დაგეგმვისას პედაგოგებს შეტანილი აქვთ ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით - კარგი ინფრასტრუქტურითა და სპორტული ინვენტარით. სასწავლო პროცესში იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადსხვა სახეობების მიხედვით, მასწავლებლის წიგნს დაწყებითი საფეხურისათვის. ასევე დამხმარე ციფრულ რესურსად წარმოდგენილია ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. შექმნილი აქვთ საკუთარი ციფრული რესურსები სახვადსხვა სახეობის ვარჯიშების ტექნიკის შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შერჩეული რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას მასწავლებლების მიერ გამოყენებულია როგორც მატერიალური, ისე მრავალფეროვანი ციფრული რესურსები. მაგალითად, I-IV კლასებში აქტიურად გამოიყენება „ვსწავლობთ თამაშით“, Paint და Minecraft, რაც ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ხელს უწყობს კომპიუტერული მოწყობილობების ათვისებას. ზედა კლასების (V-VI) კურიკულუმებში ვხედავთ ისეთ რესურსებს, როგორიცაა Code.org (ალგორითმების შესასწავლად), Storyjumper და Bookcreator (ციფრული წიგნიერებისთვის). ეს პლატფორმები მოსწავლეს აძლევს საშუალებას, თეორიული ცოდნა დაუყოვნებლივ გარდაქმნას პრაქტიკულ პროდუქტად. კურიკულუმებში მითითებულია სამინისტროს მიერ რეკომენდებული პორტალები (მაგ: school.emis.ge, buki.ge), რაც უზრუნველყოფს შინაარსის შესაბამისობას ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. თითოეული დავალებისთვის (მაგ: „უსაფრთხო ინტერნეტი“) წინასწარ არის განსაზღვრული შესაბამისი რესურსი (ვიდეო-გაკვეთილები, საინფორმაციო ბმულები), რაც ეხმარება მოსწავლეს დამოუკიდებლად კვლევასა და დავალების შესრულებაში. რესურსების შერჩევისას დაცულია ბალანსი ტექნოლოგიურ და მატერიალურ საშუალებებს შორის, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას და ხელს უწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ეფექტიან რეალიზებას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: სასურველია სკოლამ გააგრძელოს მუშაობა საკუთარი ციფრული ბიბლიოთეკის/ბანკის შექმნაზე, სადაც თავმოყრილი იქნება მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი საუკეთესო ელექტრონული რესურსები, რაც ხელს შეუწყობს გამოცდილების გაზიარებას კოლეგებს შორის.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და სხვადასხვა დამხმარე ლიტერატურა, ვიდეოგაკვეთილები, ტელესკოლის გაკვეთილები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები, ჯი-პრაიდის პლაკატები, მოდელები და სხვა, რომლებიც უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: სასურველია, გამოყენებული იქნას მეტი რესურსი ყველა თემის ფარგლებში.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. დოკუმენტებში წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისათვის. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლის მცირე კონტიგენტი უზრუნველყოფს ინკლუზიის ხარისხს და დიფერენცირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება,რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები.კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების,კონტექსტ მაგალითების და შემოქმედებითი დავალების იდეების დონეზე.ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან. საზოგადოებრივი მეცნიერების საგანში (დაწყებითი საფეხური - ჩვენი საქართველო; საბაზო საფეხური-გეოგრაფია,ისტორია) შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სამივე საფეხური - სასურველია, (დაწყებითი საფეხური - ჩვენი საქართველო; საბაზო საფეხური - გეოგრაფია, ისტორია) ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტი.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, პედაგოგებმა წარმოადგინეს ინდ.გეგმის ნიმუშები, კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს,. პედაგოგებმა ისაუბრეს სსსმ მოსწავლეთა შეფასების ინდივიდუალურ მიდგომასა და ადაპტირებული აქტივობების მაგალითების შესახებ. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** ინგლისურ და რუსულ ენაში წარმოდგენილ სსსმ მოსწავლისათვის შექმილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის ნიმუშები, სასურველია ჩანდეს დროის რა მონაკვეთში იფარება ესა თუ ის თემა.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებასა და მუსკიაში, საჭიროების შესაბამისად, წარმოდგენილია სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

	პედაგოგები აღნიშნავენ, რომ იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს და ადაპტირებულ დავალებებს, რაც ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის მიხედვით, კომპლექსური დავალებები შეძლებისდაგვარად მოდიფიცირებულია და სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული, ინკლუზიური მიდგომები. სკოლას გააზრებული აქვს ამ მეთოდიკური ორიენტირის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. პედაგოგები აკვირდებიან მოსწავლის განვითარებას, ქმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, მოსწავლის პიროვნული განვითარებისა და ცოდნის დონის დინამიკის გასაანალიზებლად. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას . სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით დავალებებს. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმიდან ნათელია და პედაგოგებთან საუბრის დროსაც დადასტურდა, რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესი. მაგალითად, მათ დაინტერესებული მოსწავლეებისათვის, შექმნეს ჯგუფი, რომელიც სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ (მოსწავლეების მშობლების ნებართვით) დამატებით ატარებენ დროს სპორტულ დარბაზში და დაკავებულნი არიან სპორტის სხვადსხვა სახეობით. სკოლის სსსმ მოსწავლეებისათვის შექმნილი აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

ტექნოლოგიები	სწავლების პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. დიფერენცირებული მიდგომების არსებობა დასტურდება შემდეგი გარემოებებით: კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები (მაგ: „პირობითი ნიშნები“, „ჩემი კომპიუტერი“) იძლევა მათი ადაპტირების საშუალებას. პედაგოგები იყენებენ სხვადასხვა სირთულის აქტივობებს, რათა სასწავლო პროცესში თანაბრად იყვნენ ჩართულები როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. სწავლება არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ფორმატით; გამოყენებულია ვიზუალური (ვიდეო-გაკვეთილები), აუდიო და კინესთეტიკური (მაკეტების, ბარათებით შექმნა) მეთოდები. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მასალის ათვისებას სხვადასხვა ტიპის სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისთვის. დიფერენცირებისთვის აქტიურად გამოიყენება ციფრული პლატფორმები (მაგ: „ვსწავლობთ თამაშით“, Minecraft, Scratch), სადაც მოსწავლეს შეუძლია საკუთარი ტემპით მუშაობა.მასწავლებლების მიერ დანერგილი მიდგომები უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა მოსწავლისთვის, რაც ამცირებს ბარიერებს სწავლის პროცესში და ზრდის თითოეული მოსწავლის მოტივაციას. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა სხვა საგნის პედაგოგებთან ერთად დაგეგმონ ინტეგრირებული დავალებები, რაც საშუალებას მისცემს განსხვავებული ინტერესების მქონე მოსწავლეებს, თავიანთი ტექნოლოგიური უნარები გამოიყენონ მათთვის საინტერესო სხვა სფეროებში (მაგ. ისტორია, ხელოვნება, ბუნებისმეტყველება).
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გასაუბრებით დასტურდება, რომ პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხდება კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება მათი შესაძლებლობის ფარგლებში. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომები გაიწეროს კურიკულუმებშიც.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო კათედრას შუმუშავებული აქვს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის შეფასების რუბრიკები სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათვალისწინებით. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. მტკიცებულებად წარმოდგენილია რამდენიმე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ზოგად წარმოდგენას ქმნის საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს განმავითარებელი შეფასების ეფექტიანობაზე სწავლების როგორც დაწყებით, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარების განვითარებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) შეფასების რუბრიკების შექმნისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი ,ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.

უცხოური ენები	გასაუბრება, კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების მასალები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი და ანგარიშები ადასტურებს, რომ შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში და განუყოფელი ნაწილია მოსწავლის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობის. კურიკულუმების ანალიზის შედეგად ვლინდება, რომ შეფასება ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას შეფასების პროცესში, კერძოდ მოსწავლეების მიერ კრიტერიუმების განხილვა, საკუთარი თავის და თანატოლების შეფასება ზეპირსიტყვიერი ან წერილობითი უკუკავშირი. გარდა ამისა, შეფასება ატარებს ავთენტურ ხასიათს, შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს, ეხმარება მათ განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ ცხოვრების მანძილზე დასჭირდებათ. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის შესაძლებლობები განსხვავებულია, შესაბმისად, . მოსწავლის მრავალი კუთხით შეფასება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მათი სხვადასხვა უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება, პასუხისმგებლობა, არგუმენტირება, მსჯელობა, პრეზენტირება, სასწავლო სტრატეგიების სწორად გამოყენება. პედაგოგების მიერ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიხედვით. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს. ინტერვიუს დროს გაირკვვა, რომ მასწავლებლები სისტემატურად აკვირდებიან სასწავლო პროცესს და ურთიერთთანამშრომლობით ხვეწენ და ავითარებენ შეფასების რუბრიკებს. შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები, საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება.

	წარმოდგენილია როგორც ზოგადი, ასევე კონკრეტულ დავალებებზე მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს და გარკვეულწილად უზრუნველყოფს მოსწავლის შედეგების შეფასებას. ასევე წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, რაც მიუთითებს, რომ პედაგოგები ცდილობენ მოსწავლეთა მიღწევების სისტემურ შეფასებას და პროგრესის დაკვირვებას. განმავითარებელი შეფასების ფარგლებში მოსწავლეებს ეძლევათ უკუკავშირი, რაც მიმართულია მათი ნამუშევრების გაუმჯობესებაზე და შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე. შეფასების პროცესში ასევე იკვეთება ყურადღება პრაქტიკულ დავალებებზე, რაც მნიშვნელოვანია ესთეტიკური აღზრდის სპეციფიკიდან გამომდინარე. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა ზოგიერთ შემთხვევაში გამოავლინა რიგი საკითხები რაც უნდა გაუმჯობესდეს: მაგ., ხელოვნების პედაგოგების მიერ დაწყებითი საფეხურის შეფასების რუბრიკები ზოგ შემთხვევაში მოძველებულია და არ ასახავს თანამედროვე საგნობრივ მიდგომებს; ზოგ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმები სრულად არ არის დაკავშირებული სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებთან, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა; ზოგიერთ შემთხვევაში შეფასება მოიცავს არასაგნობრივ კომპონენტებს (მაგ. მოწესრიგებულობა), რაც ამცირებს შეფასების ვალიდურობას; ზოგიერთი შემაჯამებელი დავალება უფრო ორიენტირებულია ფაქტობრივი ცოდნის გადამოწმებაზე და ნაკლებად მოითხოვს ანალიზს, ინტერპრეტაციასა და შემოქმედებით აზროვნებას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია შეფასების სისტემა გადაიხედოს და ყველა რუბრიკა დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს, რათა შეფასება გახდეს უფრო ვალიდური. სასურველია შემაჯამებელი და მიმდინარე დავალებები მეტად იყოს ორიენტირებული ანალიზზე, ინტერპრეტაციასა და შემოქმედებით აზროვნებაზე, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მაღალი დონის კოგნიტური უნარების განვითარებას და უფრო მეტად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

სახელმწიფო ენა	მასწავლებლებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და ზოგადად სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. სამივე საფეხურის კათედრა კომპლექსური დავალების შესაფასებლად იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილი რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: სასურველია, მასწავლებლრბმა თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით.
სპორტი	სკოლას სასწავლო პროცესში მოსწავლეთა შესაფასებლად, წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი ტიპის შეფასების რუბრიკები. ისინი შეესაბამება ესგ ს მოთხოვნებს და აფასებს თითოეულ სამიზნე ცნებას საგნობრივი სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების პედაგოგების მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ანალიზი ადასტურებს, რომ იგი სრულად პასუხობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.სწავლის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება განმავითარებელ შეფასებას, რომელიც მოსწავლეს აძლევს უკუკავშირს არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა იცის, არამედ იმის შესახებაც, თუ როგორ გაუმჯობესოს შედეგი. მასწავლებლების მიერ შემუშავებული რუბრიკები უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების სიღრმისეულ შეფასებას. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასა და კავშირების დამყარების უნარზე. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული დავალების ბარათებში. მოსწავლემ დავალებაზე

	მუშაობის დაწყებამდე იცის, რა მოეთხოვება (მაგ: „უსაფრთხო ინტერნეტის“ წესების პრეზენტაციისას რა კრიტერიუმებით შეფასდება მისი ნამუშევარი). შეფასების სისტემა ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსწავლემ გააცნობიეროს, რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების შესრულებისას. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა დანერგონ ციფრული პორტფოლიოების სისტემა, სადაც მოსწავლეები განათავსებენ თავიანთ ნამუშევრებსა და მათზე გაკეთებულ უკუკავშირებს წლის განმავლობაში. ეს დაეხმარება მოსწავლეებს, თვალსაჩინოდ დაინახონ საკუთარი პროგრესი დროში და გააძლიეროს შეფასების პროცესის დოკუმენტირება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტულ დავალებას მორგებული, რომლებიც ადასტურებს, რომ შეფასება ეყრდნობა საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. განმავითარებელი კომენტარით აღწერილია მოსწავლეთა განვითარების დინამიკა. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხური)
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები
- პროექტების გეგმა/ნიმუშები/რეფლექსიები
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- სასკოლო აქტივობების ამსახველი მასალა (გამოფენები, კონკურსები)
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის სოციალური გვერდი
- კათედრის სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს კურიკულუმით დაგეგმილ აქტივობებს. მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის

	მიღწევის საშუალებას. პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2025-2026 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს. სასწავლო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები გათვლილია მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეს ეძლევა საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება მასწავლებლების მიერ შერჩეული პროდუქტებით - პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით , სტატიებით და სხვა. კათედრა გეგმავს, რომ სასკოლო კურიკულუმის გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. სკოლაში ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი „მნათობი“. წარმოდგენილია კლუბის მუშაობის ამსახველი ფოტო მასალა. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის საკითხებს. სკოლაში განხორციელდა პროექტები: „სწორად არჩეული პროფესია წარმატებული მომავლის გარანტიაა“; “გლობალური დათბობა და საქართველო“; „ერთად დავიცვათ ჩვენი უფლებები - არა ტრეფიკინგს“; „გენდერული სტერეოტიპები და ემოციური თავისუფლება“. წარმოდგენილია პროექტები და შესაბამისი ფოტო მასალა. **რჩევა:** (დაწყებითი ,საბაზო,საშუალო საფეხური) სასურველია, ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

უცხოური ენები	ინტერვიუს შედეგად და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი სამივე საფეხურზე უცხოური ენების (ინგლისური, რუსული,) სამიზნე ცნებები: ტექსტი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალება და კულტურათა დიალოგი. აღნიშნული ცნებების დამუშავება ხდება ნაცნობ კონტექსტებზე დაყრდნობით, მკვიდრი წარმოდგეების რეალიზების გზით. პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ცოდნის კონსტრუირებაზე მიმართული შეკითხვები ემსახურება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების დამუშავებას. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების განვითარებას. როგორც უცხოური ენების პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხები ემსახურება სასწავლო პროცესის სწორ დაგეგმვას. და აქ განსაზღვრული სამიზნე ცნებები განსაზღვრავს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული საგნის შესწავლისას უნდა დაეუფლოს ესგ-ს შესაბამისად. გარდა ამისა, მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსები, დავალების ფორმატები და შეფასების სისტემა უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს რაც ადასტურებს პროცესის შინაარსობრივ შესაბამისაობას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	დაკვირვებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და რეალურად ხორციელდება სასწავლო პროცესში. მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა ტიპის აქტივობებში - პრაქტიკულ, შემოქმედებით და პროექტულ საქმიანობაში. პედაგოგებთან ინტერვიუში ასევე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობები (გამოფენები, მუსიკალური ღონისძიებები, კონკურსებში მონაწილეობა) რეალურად ტარდება და წარმოადგენს სასწავლო პროცესის ნაწილს. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ეფუძნება კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო თემების, ქვესაკითხებისა და საკითხების გააზრებასა და გაცნობიერებას. თემების გაანალიზებისა და გააზრებისათვის, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის/კომპლექსური დავალებები. სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული კონკრეტული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და სასწავლო აქტივობები. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. პედაგოგების დახმარებით, სასწავლო პროცესის წასახალისებლად, კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (როგორიცაა შიდასასკოლო ფესტივალები), სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების მიმართულებითაც და აქვთ საკმაო წარმატებებიც. მაგალითად ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში არიან რაიონის ჩემპიონები. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი სტრუქტურირებულია კურიკულუმში მოცემული თემატური ჩარჩოს მიხედვით. თითოეული სამიზნე ცნების (მაგ: „ალგორითმი“, „ინფორმაცია“, „კომპიუტერული მოწყობილობები“) დამუშავება ხდება წინასწარ დაგეგმილი ეტაპების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების თანმიმდევრულ მიღწევას. სწავლება აგებულია კომპლექსურ დავალებებზე, რომლებიც კურიკულუმის განუყოფელი ნაწილია. სასწავლო პროცესში ნათლად ჩანს კავშირი დაგეგმილ

	აქტივობებსა და მოსწავლის მიერ შესასრულებელ საბოლოო პროდუქტს შორის, რაც ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვა დასტურდება მასწავლებლის წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კურიკულუმის სამუშაო ვერსიები, დავალების ბარათები). **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, პედაგოგებმა გააძლიერონ საგნობრივი კათედრის ფარგლებში გამოცდილების გაზიარება დაგეგმარების პროცესზე, რათა მოხდეს წარმატებული პრაქტიკის (მაგალითად, რომელიმე კონკრეტული აქტივობის ეფექტურობის) ასახვა მომავალი წლის კურიკულუმებში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაწყებით კლასებში დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებით და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. ამ პროცესში მუშავდება სამიზნე ცნებები და სტანდარტის შედეგები. სწავლება მიმდინარეობს წარმოდგენილი კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება დავალების შეცვლა, კომპლექსური დავალებების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებში შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით არის წარმოდგენილი. ეს კარგად ჩანს წარმოდგენილ კურიკულუმებში და დაადასტურეს კათედრის წევრებმა საუბრისას. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესის განხორციელებისას ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, რაც გულისხმობს სასწავლო აქტივობების, მეთოდებისა და სტრატეგიების ადაპტირებას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრინციპი გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის კოორდინაციას, პრობლემების იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას, ხოლო შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძ. N 01-03/40) იძლევა მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობას.

მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დროული გამოვლენისა და ეფექტური რეაგირებისთვის სკოლას შექმნილი აქვს სხვადასხვა სახის დოკუმენტი. (მოსწავლის ადაპტაციის წესი (ბრძ. N01-03/72); ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N01-03/73), მოსწავლის რემედიაციის წესი (ბრძ. N01-03/40); მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძ. N01-03/40); დროებით არმყოფი თანამშრომლების ჩანაცვლების წესი (ბრძ. N01-03/04) ინტერვენციის გეგმები და სხვ.)

მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ხდება დაგეგმილი აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების მოდიფიცირება ან ჩანაცვლება, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

რჩევა: სასურველია, სკოლამ სხვადასხვა ბრძანებით დამტკიცებული წესები (ადაპტაციის, რემედიაციის თუ ინტერვენციის გეგმები) ერთიან სისტემად აქციოს. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცესები არ შემოიფარგლოს მხოლოდ საჭიროებაზე რეაგირებით და გადავიდეს სისტემური მდგრადობის ფაზაში, რაც გულისხმობს მონიტორინგისა და უკუკავშირის უწყვეტ ციკლს კურიკულუმის ხარისხის მუდმივი განვითარებისთვის.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც იძლევა საფუძველს, შეფასების სისტემა ჩაითვალოს შეფასების პრინციპების გათვალისწინებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბუნებისმეტყველების კათედრა იყენებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შექმნილია კონკრეტული თემისა და დავალებისათვის. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების ნიმუშების მიხედვით, შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილია როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები (ინტერესი და ჩართულობა, დისკუსიის, თამნამშრომლობის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები) ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება

	მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
უცხოური ენები	შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე. პედაგოგებთან ინტერვიუმ და შეფასების რუბრიკების გაცნობამ გამოკვეთა ის ფაქტი, რომ მოსწავლეებმა იციან თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა, რა მოდიფიცირებას ახდენენ მასწვალებლები შეფასების პროცესში , რას ემსახურება თითოეული შეფასების რუბრიკის კრიტერიუმი. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ხდება მოსწავლეებზე დაკვირვება და ანალიზი, ასევე ამის დამადასტურებელია შემაჯამებელი დავალებების ანალიზის შესახებ საუბარი, სადაც წარმოდგენილია მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერა, ქულათა სისტემა და სიტყვეირი კომენტარები. აღსანიშნავია, ასევე პედაგოგების ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის საშუალებთაც ხდება პედაგოგთა სამუშაოს/პრაქტიკის გაზიარება.ურთიერთსეფასება. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, წარმოდგენილ შეფასების ანალიზში ასახული იყოს რაოდენობრივი მაჩვენებლები. კონკრეტული თემების დამუშავებისას, გამოკვეთილი სირთულეების გადაჭრისა და დაძლევის გზები.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებით წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციის (რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი) და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა ფორმა, მათ შორის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. მოსწავლეებს ეძლევათ უკუკავშირი, რაც ხელს უწყობს მათი პროგრესის გაუმჯობესებას.

	თუმცა, დოკუმენტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ შეფასების სისტემა არ არის ერთგვაროვანი და ცალკეული დოკუმენტები სრულად ვერ აკმაყოფილებს ვალიდურობისა და გამჭვირვალობის კრიტერიუმებს. კერძოდ: • რუბრიკების ნაწილი მოძველებულია • კრიტერიუმები ყოველთვის არ არის დაკავშირებული სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს • ზოგ შემთხვევაში შეფასება მოიცავს არასაგნობრივ კომპონენტებს • ზოგიერთი დავალება მეტად ორიენტირებულია ფაქტობრივ ცოდნაზე **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, შეფასების რუბრიკები განახლდეს და დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და ქვეცნებებს.
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის მიხედვით, მოსწავლეები გათვითცნობიერებულნი არიან შეფასების მიზნობრიობაში, ისინი იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს. კომპლექსური დავალებებისთვის და შეფასების რუბრიკებისთვის მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის დანერგვას შეუწყობს ხელს. პედაგოგები ცდილობენ თავიანთი პრაქტიკული გამოცდილება დახვეწონ ამ კუთხით და შეფასების სისტემა გამოიყენონ მოსწავლეთა ცოდნის დონის განსასაზღვრად მრავალფეროვანი და სამართლიანი მიდგომებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მათემატიკის კათედრაზე იქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს.შეფასება ხორციელდება გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით. შეფასების რუბრიკები შესაბამისია ასაკის. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და განსმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით და გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტიდან. აფასებს საგნის თითოეული სამიზნე ცნების მიხედვით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შეფასების რუბრიკები პირდაპირ კავშირშია სწავლის შედეგებთან. ფასდება არა მეორეხარისხოვანი ფაქტები, არამედ სამიზნე ცნებების გააზრების ხარისხი, რაც უზრუნველყოფს შეფასების შინაარსობრივ სიზუსტეს. შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის ცნობილია წინასწარ, დავალების მიცემის ეტაპზე. მასწავლებლები დავალების ბარათებში დეტალურად განმარტავენ მოლოდინებს, რაც გამორიცხავს გაურკვევლობას და ზრდის მოსწავლეთა ნდობას პროცესის მიმართ. თითოეული მოსწავლე ფასდება მისი ინდივიდუალური ნამუშევრისა და პროგრესის მიხედვით, თანაბარი პირობების დაცვით. პედაგოგების მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარები არის პოზიტიური და ორიენტირებული მოსწავლის წახალისებაზე, რაც ქმნის უსაფრთხო და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია მასწავლებლებმა პერიოდულად ჩაატარონ „შეფასების ვერიფიკაცია“ კოლეგებთან ერთად (მაგალითად, ერთი და იმავე ნამუშევრის შეფასება სხვადასხვა მასწავლებლის მიერ), რათა კიდევ უფრო გამყარდეს შეფასების ობიექტურობა და მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კლასების (ქართული, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) შეფასების რუბრიკები ვალიდურია, რადგან შესაბამისია საგნობრივ სტანდარტებთან. სანდოა, რადგან წარმოდგენილია შესაბამისი კრიტერიუმებით. სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების ინსტრუმენტებზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები. ყოველივე დასტურდება წარმოდგენილი რუბრიკებით და კათედრის წევრებთან გასაუბრებით. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში, მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდან, დირექტორის ბრძანებით (N01-03/40) ამოქმედდა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტი მიზნად ისახავს სასწავლო პროცესში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფას, აგრეთვე მიღებული შედეგების ანალიზს სწავლა-სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ვინაიდან აღნიშნული მექანიზმი სკოლის პრაქტიკაში ახლახან დაინერგა, ამ ეტაპზე დოკუმენტურად ვერ დასტურდება გასული წლების შესაბამისი გამოცდილება. თუმცა, სკოლის განვითარების სტრატეგია ითვალისწინებს ამ მიმართულების სისტემურ გაძლიერებას. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს გადავიდეს შეფასების ჰოლისტურ მიდგომაზე, რაც გულისხმობს მოსწავლის მიღწევების კომპლექსურ და მრავალმხრივ გაანალიზებას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტ მორგება/ადაპტირებას.
რჩევა: სკოლაში შეფასების სისტემის სანდოობისა და ობიექტურობის განმტკიცების მიზნით, მიზანშეწონილია ვერიფიკაციის პროცესი სრულად დაეფუძნოს ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, რისთვისაც აუცილებელია მოქმედ დოკუმენტში დეტალურად გაიწეროს ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები და ნაშრომთა შერჩევის კონკრეტული სტრატეგია (მათ შორის, შერჩევის შემთხვევითობა, მაღალი და დაბალი შეფასებების პროპორციული გადანაწილება და გენდერული ბალანსი). ამასთანავე, სასურველია, სკოლამ აქტიურად გამოიყენოს დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლასთან გაფორმებული პარტნიორული მემორანდუმის რესურსი და განავითაროს „მეგობარი სკოლის" პედაგოგთა ჩართულობის პრაქტიკა, განსაკუთრებით იმ საგნებში, სადაც სკოლას მხოლოდ ერთი ან ორი სპეციალისტი ჰყავს; ეს უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მიუკერძოებლობასა და პროფესიული გამოცდილების გაზიარებას. **ინდიკატორი 2.2.1.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების სისტემურ აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. შეფასების ამსახველი ინფორმაცია ინახება როგორც მატერიალური სახით (მოსწავლეთა პირადი საქმეები), ასევე ელექტრონულ სისტემაში (ელექტრონული ჟურნალი), რაც უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობასა და მოძიების შესაძლებლობას. **ინდიკატორი 2.2.1.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხური)
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძ. N01-03/40)
- დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლასთან გაფორმებული მემორანდუმი
- მოსწავლის ადაპტაციის წესი (ბრძ. N01-03/72)
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N01-03/73)
- მოსწავლის რემედიაციის წესი (ბრძ. N01-03/40)
- დროებით არმყოფი თანამშრომლების ჩანაცვლების წესი (ბრძ. N01-03/04)
- მოსწავლის ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმი (ბრძ. N01-03/40)

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით. აგრეთვე კათედრაზე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში).ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს როგორც მათ მიერ, ასევე, მოსწავლეების მიერ დამზადებულ სასწავლო რესურსზე, რომელსაც აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, პლაკატები, გლობუსები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. სარგებლობენ ტელე სკოლის გაკვეთილებით. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით.
უცხოური ენები	უცხოური ენების სწავლება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლაში შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად. ენების სწავლებისას გამოყენებულია თანამედროვე, ასაკსა და ენის დონეზე მორგებული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს თემატურად თანმიმდევრულ, ინტეგრირებულ ენის განვითარების კომპონენტებს. სწავლებისას აქტიურად გამოიყენება ონლაინ რესურსებიც, რაც საგაკვეთილო პროცესს მრავალფეროვანს ხდის. რესურსად ასევე გამოყენებულია ბარათები, პოსტერები, აუდიომასალა და თემატურად შერჩეული YouTube-ს ვიდეოები, რომლებიც კურიკულუმში მითითებულია თითოეული თემატური ბლოკის ფარგლებში. საგაკვეთილო პროცესში ინტეგრირებულია როლური თამაშები, პრეზენტაციები, პროექტული სწავლება და დიალოგები, რაც ხელს უწყობს ენის გამოყენების პრაქტიკულ განვითარებას. შესაბამისად, როგორც ინგლისური, რუსული და ენის სწავლებისას კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები ეფექტიანად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, მე-12 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმში ნაჩვენები იყოს ბეჭდურ რესურსთან ერთად დამხამრე ციფრული რესურსების გამოყენების პრაქტიკა.

ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმების ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე რესურსები. საგაკვეთილო პროცესში აქტიურად გამოიყენება ვიზუალური და აუდიომასალა, სხვადასხვა ტექნიკა და მასალა (საღებავები, ფანქრები, პლასტელინი და სხვ.), ასევე მუსიკალური ფრაგმენტები და ვიდეორესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. პედაგოგები იყენებენ როგორც ტრადიციულ, ისე ციფრულ რესურსებს და ცდილობენ სასწავლო პროცესი იყოს მრავალფეროვანი და პრაქტიკაზე ორიენტირებული. **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში სასწავლო რესურსების შერჩევისას ძირითად რესურსად დასახელებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსად კი სხვადასხვა ლიტერატურული ნაშრომები და ტექსტები: გურამ კანკავა კონსტანტინე გამსახურდიას ,,დიდოსტატის მარჯვენა“აკაკი ბაქრაძე,,თვინიერების უარმყოფელი“ ვ. ჯავახაძე ,,უცნობი“,,გალაკტიონის ლექსის მუსიკა“ და სხვ; რაც შეესაბამება შესასწავლ საკითხებს და გრძელვადიან სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმის რესურსების ნაწილი მოწმობს და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ ინფრასტრუქტურას და სპორტულ ინვენტარს, ძირითად ლიტერატურას- გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, დამხმარე ვიდეორგოლებს და მათსავე შექმნილ ციფრულ რესურსს ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით, პრეზენტაციებს თეორიისათვის. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სააწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი, კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის

	საფეხურეობრივ შედეგზე გაყვანას. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	პედაგოგები სასწავლო პროცესში ეფექტურად იყენებენ სახელმწიფო საგანმანათლებლო პორტალებს (მაგ: school.emis.ge, buki.ge), რაც უზრუნველყოფს სწავლების შინაარსობრივ გამართულობას. პრაქტიკული უნარების განსავითარებლად და დავალებებზე მუშაობისას აქტიურად გამოიყენება მრავალფეროვანი პლატფორმები: დაბალ საფეხურზე (I-IV კლასი) — „ვსწავლობთ თამაშით“, Minecraft Education Edition, ხოლო ზედა საფეხურზე (V-VI კლასი) — Code.org, Scratch, Storyjumper და Bookcreator. აღნიშნული რესურსები ეხმარება მოსწავლეებს აბსტრაქტული ცნებების (მაგ: ალგორითმი, ციკლი) ვიზუალიზაციასა და პრაქტიკულ რეალიზებაში. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი ტექნიკით (კომპიუტერები, პროექტორი, ინტერნეტი). გარდა ციფრული რესურსებისა, მასწავლებლები იყენებენ მატერიალურ დამხმარე საშუალებებსაც (ბარათები, მაკეტები, სქემები), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა მეტად წაახალისონ მოსწავლეები, რათა მათ თავად შექმნან სასწავლო ციფრული რესურსები (მაგალითად, ვიდეო-გაიდები ან ელექტრონული წიგნები თანატოლებისთვის), რაც გააძლიერებს მათ მეტაკოგნიტურ უნარებსა და შემოქმედებითობას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის წევრებმა დაადასტურეს, რომ დაწყებითი კლასების (ქართული, მათემატიკა, ბუნება, მე და საზოგადოება I-IVკლ) წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულ რესურსებს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი 2.2.2.1 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას, სამივე საფეხურზე რესურსების შერჩევა ხდება საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ, პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, ასევე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ესა თუ ის რესურსი რამდენად შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრაზე განხილვის შედეგად (ზეპირად). ინტერვიუს დროს აღინიშნა,რომ სამომავლოდ იგეგმება სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე მოხდეს დამატებითი სასწავლო რესურსების ვალიდაცია. **რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური)** სასურველია, სამომავლოდ, საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ უზრუნველყოს დამატებითი დამხმარე რესურსების (მეთოდური ლიტერატურა, ანიმაცია, ფოტომასალა, ინტერნეტ რესურსები,დამატებითი სახელმძღვანელოები) ვალიდაცია. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	პედაგოგებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისინი ახდენენ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, ამას ადასტურებს ასევე კათედრის სხდომის ოქმში წარმოდგენილია სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძრვანელოების ვალიდურობის შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** სასურველია, კათედრის სხდომის ოქმის დანართში გამოჩნდეს კონკრეტული რესურსების ნუსხა.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებისა და მუსიკის მიმართულებით პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში ხდება დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია. პედაგოგები იყენებენ როგორც ტრადიციულ, ისე

	ციფრულ რესურსებს (ვიზუალური მასალა, აუდიო ფრაგმენტები, ვიდეორესურსები), რომელთა შერჩევაც ემყარება მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და საგნის სპეციფიკას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები და მათი მიზნობრიობა განხილულია კათედრათა სხდომებზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა სასწავლო-საგანმანათლებლო არხებიდან. ზემოთნახსენები ფაქტორები ცხადყოფს დამხმარე რესურსების მეტ-ნაკლებ ვალიდაციას. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ მასწავლებლები ახდენენ დამხამრე სასწავლო რესურსების ვალიდაციას. რესურსი ვალიდურია სასწავლო თემებისა და სამიზნე ცნებების მიმართებით. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	პედაგოგებთან გასაუბრებითა და კურიკულუმის სამუშაო ვერსიების ანალიზით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული ციფრული პლატფორმები (მაგ: Minecraft, Scratch, Code.org) წინასწარ არის შერჩეული მათი საიმედოობის, უსაფრთხოებისა და მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. მასწავლებლები რეგულარულად განიხილავენ ამ რესურსებს, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი ზუსტად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და თემებს. **ინდიკატორი 2.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

	რჩევა: სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან ამ გამოცდილი და საუკეთესო რესურსების ერთგვარი ციფრული ბიბლიოთეკა, რაც გაამარტივებს მათ გამოყენებას მომავალში და დაეხმარება ახალ კოლეგებს გამოცდილების სწრაფად გაზიარებაში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	პედაგოგებმა გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირება, მათ საჭიროებაზე მორგება, მათი შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინება და ა შ. **ინდიკატორი 2.2.2.2 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას გააჩნია შესაბამისი ფართი, სასკოლო ინვენტარი სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, თუმცა საბუნებისმეტყველო დისციპლინების სასწავლო შედეგების მისაღწევად სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა კვლევითი და პრაქტიკული უნარების გასავითარებლად აუცილებელია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფუნქციონირება. სკოლას ამ ეტაპზე სრულყოფილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ გააჩნია. საჭიროა, სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა, შესაბამისი თვალსაჩინოებებითა და

	რეაქტივებით აღჭურვა, რადგან ეფექტიანი სწავლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სკოლაში კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაა. **ინდიკატორი 2.2.2.3 მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რეკომენდაცია:** შესაბამისობის გეგმის თანახმად, რეკომენდებულია, სკოლამ დათქმულ ვადაში (29-12-2026) უზრუნველყოს შესაბამისი რესურსით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებით. კლას-კაბინეტებში განთავსებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისთვის შესაბამისი რესურსი: რუკები, პლაკატები, გლობუსი. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი. **ინდიკატორი 2.2.2.3 აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
უცხოური ენები	სკოლაში უცხოური ენების სწავლება ხორციელდება ისეთი მატერიალური ბაზის პირობებში, რაც ხელს უწყობს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლებისათვის გამოყენებული სახელმძღვანელოები და მათთან დაკავშირებული ვიზუალური, აუდიო, წერითი და ელექტრონული რესურსები სრულად შეესაბამება ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს. საგაკვეთილო პროცესისთვის სკოლა უზრუნველყოფს: ვიზუალური მასალებით (პოსტერები, ბარათები); ციფრული რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობას (ინტერნეტი, კომპიუტერი/პროექტორი); ინდივიდუალური და წყვილებში/ჯგუფებში მუშაობისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფას. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში წარმოდგენილია შესაბამისი მატერიალური რესურსი, რაც უზრუნველყოფს როგორც ვიზუალური ხელოვნების, ისე მუსიკის სასწავლო პროცესის განხორციელებას.

	არსებული რესურსები (სასწავლო მასალა, სივრცე, ტექნიკური საშუალებები) ძირითადად საკმარისია სასწავლო აქტივობების განსახორციელებლად და მოსწავლეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სახელმწიფო ენა	სასკოლო სივრცეში, სწავლა-სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ მატერიალური რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სკოლაში არსებული შესაბამისი მატერიალური რესურსით და ინვენტარით მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია გამართული ტექნიკით, რაც საშუალებას იძლევა თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად იმუშაოს ციფრულ დავალებებზე. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ ტექნიკური პარამეტრი (ოპერაციული სისტემა, მეხსიერება) სრულად პასუხობს იმ პროგრამების მოთხოვნებს, რომლებიც კურიკულუმშია გაწერილი (მაგ: Minecraft Education Edition, Scratch, Office 365). ლასებში მოსწავლეთა რაოდენობა შეესაბამება სასწავლო სივრცის ფართობსა და ტექნიკურ რესურსს. მოსწავლეებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ მათ აქვთ თავისუფალი წვდომა ონლაინ პლატფორმებზე. მატერიალური რესურსების ადეკვატურობა და მათი შესაბამისობა მოსწავლეთა რაოდენობასთან ქმნის მყარ საფუძველს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის საჭირო რესურსი: კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და სხვა, რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების

	მიღწევა. სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. ყოველივე წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 20 მასწავლებელი (18 - უფროსი; 2 - მოწვეული, (მუსიკის მასწავლებელი - 9 სთ; დაწყებითის მასწავლებელი - 8 სთ, რომელსაც ასევე შეთავსებული აქვს საქმისმწარმოებლის პოზიცია) და 1 სპეციალური მასწავლებელი; სსსმ მოსწავლეების მხარდაჭერა ხორციელდება უფროსის სტატუსის მქონე სპეციალური მასწავლებელის მიერ, რომლის ჩართულობით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ასევე კლასის დამრიგებლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან ერთად გაერთიანებულია ისგ ჯგუფებში. სკოლის დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის შესაბამისად. პერსონალის მართვასთან დაკავშირებით სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N 01-03/73), ასევე, მართვის გარკვეული მექანიზმები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში თანამშრომელთა პირადი საქმეების და eschool-ის ბაზის გაცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს,

სკოლაში მოქმედებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N 01-03/37), რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეტაპებსა და ჩართული მხარეების პასუხისმგებლობებს. მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასების მიზნით, აქტიურად გამოიყენება კათედრის წევრების ურთიერთდასწრებისა და მხარდამჭერი ჯგუფის მიერ საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების პრაქტიკა.

გარდა რამდენიმე პედაგოგისა. კერძოდ: ქიმიის სწავლება ხორციელდება ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ, რომელსაც აღნიშნულ საგანში დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია არ აქვს. ასევე, ბიოლოგიის მასწავლებელი ასწავლის

გეგორაფიას.(განათლება გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტი. ჩაბარებული აქვს ბუნებისმეტყველება და გეოგრაფიის გამოცდა 10-10 კრედიტზე) აღნიშნული გარემოება შესაბამისობაშია მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებულ გარდამავალ პერიოდთან, თუმცა საჭიროებს გათვალისწინებას სამომავლოდ, მოქმედი მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად.

ინდიკატორი 2.2.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხური)
- შეფასების რუბრიკები (განმავითარებელი და განმსაზღვრელი)
- შეფასების რუბრიკები
- განხორციელებული პროექტები და ფოტო მასალა;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ინდივიდუალური გეგმა;
- საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის სხდომის ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი N 1.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა
- კათედრის სხდომის ოქმი
- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N 01-03/73)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, ურთიერთშეფასებისა და დამრიგებლის ანგარიშის დოკუმენტაცია, მიუხედავად მისი აღწერითი ხასიათისა, იძლევა სასკოლო კულტურის ზოგად სურათს. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირებისა და მათი ინდივიდუალური მხარდაჭერისათვის პედაგოგები იყენებენ შემაჯამებელ დავალებებს. აღნიშნული დავალებების ფორმატსა და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტებზე შეთანხმება ხდება კათედრის სხდომების ფარგლებში. პედაგოგიურ კოლექტივთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის დიაგნოსტიკური წერების პრაქტიკა უფრო სისტემურად დაიგეგმოს და სრულფასოვნად ინტეგრირდეს კურიკულუმის განვითარების პროცესში. **ინდიკატორი 2.3.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: სასურველია, სკოლის პრაქტიკის გათვალისწინებით დაკონკრეტდეს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები/ინსტრუმენტები. ასევე, ურთიერთდასწრებისა და ხარისხის ჯგუფის დასწრების შემდგომ შეფასების დოკუმენტში მოხდეს მასწავლებლის პრაქტიკის ძლიერი და გასავითარებელი პრაქტიკის აღწერა, კონკრეტული რჩევებისა და რეკომენდაციების დაფიქსირება. რაც შეეხება კველევის პროცესს, სასურველია, კვლევის პროცესი დაიგეგმოს სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის საჭიროებისა და პრიორიტეტების დადგენის მიზნით (მაგ. მოსწავლეები, მშობლები).

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძ. N01-03/40) კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N01-03/37).

სკოლაში მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. აღნიშნული დასტურდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N01-03/77), სადაც საუბარია ხარისხის უზრურნველყოფის ციკლზე, რომელშიც საუბარია კურიკულუმებზე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასა და ხარისხზე, იმაზე რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება იმას, რომ შემოწმდეს თუ რამდენად სწორადაა შერჩეული სწავლების მეთოდები, რესურსები, შეფასების რუბრიკები, რამდენად შესაბამისობაშია დაწერილი და განხორციელებული კურიკულუმები ერთმანეთთან.

მასწავლებლები, ინდივიდუალურად, შემაჯამებელი დავალებების შედეგების ანალიზის საფუძველზე ახდენენ მოსწავლთა მიღწევის დიაგნოსტირებას. კონკრეტული საგნის სამიზნე უნარ-ჩვევებში მოსწავლის დაბალი აკადემიური მოსწრების დაფიქსირების შემთხვევაში დგება მოსწავლეზე მორგებული რემედიაციის გეგმა, (მოსწავლეთა რემედიაციის წესი (ბრძ.N01-03/40) მოსწავლის საჭიროებაზე დროული რეაგირებისა და მხარდაჭერის მიზნით. **ინდიკატორი 2.3.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: სკოლაში არსებული რემედიაციის პრაქტიკა მეტწილად ინდივიდუალურ და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, ამიტომ სასურველია, მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესი გახდეს უფრო სისტემური და ერთიანი. მიზანშეწონილია, რემედიაციის გეგმების შემუშავება, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და მათი განხორციელების მონიტორინგი რეგულარულად განიხილებოდეს კათედრული შეხვედრების ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი ჯგუფების მიერ საერთო მიდგომების ჩამოყალიბებასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში სკოლაში მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას, რაც დასტურდება ვიზიტის პერიოდში ექპერტების მიერ სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით (ბრძ. N01-03/77), და ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძ. N01-03/40). გარდა ამისა, გასაუბრებისას, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია ურთიერთდასწრების კომპონენტი, კათედრული შეხვედრები და იმის განხილვა თუ რა განხორციელდა წარმატებით, რა იყო მათთვის ხელისშემშლელი, რა უნდა დაიგეგმოს განსხვავებულად, როგორ გაუმჯობესონ სუსტი მხარეები და როგორ განამტკიცონ ძლიერი მხარეები. აღნიშნულს ადასტურებს კათედრის ჟურნალები და დამრიგებლის ჟურნალის ჩანაწერები; ვიზიტის დროს მასწავლებლებმა და სკოლის დირექციამ აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის მზად არიან მხარი დაუჭირონ ერთმანეთს და ურთიერთთანამშრომლობით გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი. დირექცია საჭიროებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მასწავლებლების მხარდაჭერას რესურსებით, ტრენინგებით და სხვა მათთვის საჭირო კომპონენტებით. **ინდიკატორი 2.3.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: მონიტორინგისა და შეფასების პროცესის სისტემური გამართვისთვის სასურველია, კონკრეტული აქტივობები იყოს მდგრადი და განმეორებადი. ამისთვის, სასურველია, თითეულმა კათედრამ აწარმოოს კათედრის პორტფოლიო და მასწავლებლის სემესტრული ანგარიშები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხური)
- ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძ. N01-03/40)
- მოსწავლეთა რემედიაციის წესი (ბრძ.N01-03/40)
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N01-03/37).
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (ბრძ. N01-03/77)
- დამრიგებლების ანგარიში
- დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N1
- კათედრის ჟურნალები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და წინსვლის შეფასება ეფუძნება კომპლექსურ, მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც სასკოლო საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობას გულისხმობს. მოსწავლეთა მიღწევების შეფასება ხორციელდება როგორც შემაჯამებელი დავალებების, ისე განმსაზღვრელი და განმავითარებელი კომპონენტების საშუალებით. სასწავლო პროცესის შეფასების სისტემა ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, რაც გამორიცხავს ერთმხრივობას და ქმნის მოსწავლის განვითარების სრულ სურათს. ამ მიზნით გამოიყენება წერითი ნამუშევრები, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები და დაკვირვების ჩანაწერები, აგრეთვე თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები. მასწავლებლები სისტემატურად აგროვებენ ინფორმაციას არა მხოლოდ აკადემიური შედეგების, არამედ მოსწავლეთა ჩართულობის, თანამშრომლობის, კომუნიკაციისა და შემოქმედებითი აქტივობის შესახებ. **ინდიკატორი 2.3.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: სასურველია, კათედრებზე დაიგეგმოს და საფეხურებრივ კურიკულუმებში ჩაშენდეს დიაგნოსტიკური წერები, როგორც მრავალფეროვანი შეფასების სისტემის ერთ-ერთი კომპონენტი.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. სასწავლო წლის სხვადასხვა პერიოდში განხორციელებული შემაჯამებელი, განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებები, ურთიერთდასწრება და ხარისხის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დაკვირვება უზრუნველყოფს სწავლის პროცესის მრავალმხრივ ანალიზს. ამავე მიზანს ემსახურება სწავლის მრავალფეროვანი მეთოდების - ესეს, პრეზენტაციისა თუ პროექტის - შესაბამისი შეფასების რუბრიკების გამოყენება.

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება კომპლექსურია და ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, ინდივიდუალური შესაძლებლობები, სოციალურ-ემოციური მდგომარეობა, ოჯახური გარემო, კულტურული კონტექსტი და უშუალოდ სასწავლო გარემო. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ

მოსწავლის აკადემიური შედეგები მჭიდრო კავშირშია მის ზოგად კეთილდღეობასთან, მოტივაციასა და თვითშეფასებასთან. შესაბამისად, შეფასების სისტემა არ არის ერთგანზომილებიანი; იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მიღწევების აღნუსხვით და ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. **ინდიკატორი 2.3.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: სწავლის პროცესის მრავალმხრივი ანალიზისა და ჰოლისტური მიდგომის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის სისტემური ფორმა, რომელიც დაეხმარება პედაგოგებს შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებისა და რუბრიკების კიდევ უფრო ეფექტურ გამოყენებაში.

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. შეფასების სანდოობა და ობიექტურობა კი მიიღწევა მონაცემთა შეგროვების რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდების სინთეზით. შეფასების ინსტრუმენტების არსენალი მოიცავს დაკვირვებას, ზეპირ გამოკითხვას, ტესტირებას, პროექტულ და კვლევით დავალებებს, ასევე მოსწავლეთ პორტფოლიოს წარმოებასა და მასწავლებლის პერიოდულ ჩანაწერებს. პროცესში აქტიურად გამოიყენება დაკვირვების ცხრილები, სოლო ტაქსონომია, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, რაც მოსწავლის ცოდნის გააზრების დონის სიღრმისეულად განსაზღვრის საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი 2.3.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლაში შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, პროგრესი, ჩართულობა და მიღწევები. ასევე გამოიყენება რემედიაციისა და ინდივიდუალური მიდგომების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად დასტურდება შეფასების პროცესში მონაცემთა სისტემური ანალიზისა და მისი შედეგების სტრუქტურირებული გამოყენება კურიკულუმის შემდგომი გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი 2.3.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: სასურველია, სკოლამ დანერგოს შეფასების შედეგების დოკუმენტირებისა და ანალიზის ერთიანი ფორმატი კათედრულ დონეზე. აღნიშნული მონაცემების სტრუქტურირებული გამოყენება საშუალებას მისცემს სკოლას, იდენტიფიცირებული ტენდენციები (ძლიერი და სუსტი მხარეები) პირდაპირ ასახოს კურიკულუმის განვითარების გეგმაში, რაც სწავლა-სწავლების ხარისხის მართვის პროცესს უფრო მტკიცებულებებზე დაფუძნებულს გახდის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები
- სასკოლოს სასწავლო გეგმა
- თვითშეფასების კითხვარი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
- საგნობრივი კურიკულუმები
- დამრიგებლების ანგარიში
- დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N1
- კათედრის ჟურნალები
- ვერიფიკაციის მექანიზმი - (ბრძ. N01-03/40)
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N01-03/37).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგია ახალი დამტკიცებულია და პრაქტიკულად რევიზიის პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა სკოლას აქვს შესაბამისი მზაობა, რადგან სკოლაში კურიკულუმის განვითარების საჭიროებები ძირითადად განისაზღვრება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მიღებული გამოცდილებისა და საგნობრივი კათედრების ფარგლებში ჩატარებული განხილვების საფუძველზე. კათედრების შეხვედრებზე იდენტიფიცირდება სასწავლო პროცესში არსებული სირთულეები და განისაზღვრება შესაბამისი

რეკომენდაციები სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად დასტურდება კურიკულუმის განვითარების საჭიროებათა სარეკომენდაციო პაკეტის სისტემური, ფორმალიზებული სახით არსებობა. **ინდიკატორი 2.4.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

რჩევა: სასურველია, სკოლამ მისთვის მისაღები ფორმით შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რომლის ფარგლებში დაგეგმვის პროცესში მიღებულ მიგნებებსა და რეფლექსიის შედეგებს გაასიტყვებს და ხელშესახებს გახდის.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადის საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარება და მისი ცალკეული ელემენტების გადახედვა ხორციელდება წინარე გამოცდილების, სწავლა-სწავლების პროცესში მიღებული დაკვირვებებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო აქტივობების, დავალებებისა და მიდგომების მოდიფიცირება, რაც მიუთითებს კურიკულუმის განხორციელების პროცესში მისი ადაპტაციის პრაქტიკაზე. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნაკლებად იკვეთება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის სისტემური შექმნისა და დოკუმენტირების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნებოდა მონიტორინგისა და შეფასების შედეგების სტრუქტურირებულ ანალიზს. **ინდიკატორი 2.4.1.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები (სამივე საფეხური)
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (ბრძ. N01-03/37).
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივი კათედრების ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები
- შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 24 აპრილი 2026 წელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: